ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 147-148 (2262) ოთხშაბათი, 24 ივლისი, 1996 წელი. ფასი 45, თბილისის გარეთ 50 თეთრი.

წლის პირველი ნახევრის შედეგების ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს ზუსტად განვსაზღვროთ მომავლის ორიენტირი და მთელი მეცადინეობა მოვახმაროთ ეკონომიკის, უმნიშვნელოვანეს მიმართულებებს

დავაჩქაროთ გარდაქმნები ახალ ეკონომიკურ სისტემაზე დაყრდნობით

1996 წლის პირველ ნახევარში ონომიკის ფუნქციონირებისა და ქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ძირითადი შედეგები და უახლოესი მომავლის ამოცანები განიხილეს 20 ივლისს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, ომელიც მიმდინარეობდა ქვეყნის ეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მჯდომარეობით. სხდომაზე მოლი იყვნენ პარლამენტის წევრები, აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების ხელძღვანელები, რეგიონალური და გილობრივი ადმინისტრაციების თაურები, მათი მოადგილეები საინანსო და ეკონომიკურ საკითებში, საწარმოთა და ფირმათა დიქტორები, მეწარმეები, საზოგაოებრიობის, მასობრივი ინფორციის საშუალებათა წარმომადგენები.

მოხსენებები გააკეთეს ეკონოკის მინისტრმა ვლადიმერ პაპავამ ფინანსთა მინისტრმა დავით კობიძემ. მათ მიერ წარმოდგელი ანალიზი ქვეყანაში საქმის თარების შესახებ შესაძლებლოს იძლევა გადაუჭარბებლად ითქს, რომ აშკარაა გასული წლის ვიდან დაწყებული ეკონომიური ზრდის პროცესის გაღრმავე. თუმცა, სამწუხაროდ, ამ პროს ჯერჯერობით თანაბარი ხასირა აქვს. მაგალითად, ეკონოკის მინისტრის მიერ მოყვანილი ნაცემებით, იმის მიუხედავად, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახერში, შარშანდელ შესაბამის პერიდთან შედარებით, მიღწეულია სარეწველო პროდუქციის წარმოების -პროცენტიანი ზრდა, დარგის პონციალი ჯერჯერობით 10-15 ოცენტის ფარგლებშია გამოყენელი.

ლეისოდ ქვეყნის ეკონომიკურეფორმების მთავარი მიმართუბაა სახელმწიფო ქონების განსალმწიფოებრიობა და საკუთრების ანსფორმაცია. 9,300 საშუალო მცირე საწარმოსაგან უკვე პრიტიზებულია 7,300. როგორც მოობილი 44 საჩეკო აუქციონიდან 2 აუქციონის შედეგები მოწმობს, საყიდად გამოტანილი იყო 181,1 ლიონი აქცია, რომელთა ღირებუბა 264,4 მილიონ ამერიკულ ლარს შეადგენს. უფასოდ, ან შეირებული ფასებით საწარმოთა ლექტივებს გადაეცათ 14,6 მიონი დოლარის დაახლოებით 10 ლიონი აქცია. გაიყიდა 82,3 მიონი დოლარი ღირებულების აქები. საქართველოს დაახლოებით 300 ათასმა მოქალაქემ ანუ ქვეის მცხოვრებთა საერთო რიცხვის 3 პროცენტზე მეტმა მიიღო საივატიზაციო ჩეკები. აუქციობზე რეალიზებულია 112,5 მილინი დოლარის 3.750 ათასი ვაური. ამასთან, ვაუჩერის საშუალო ირსმა 35 დოლარი შეადგინა. ქვენაში უკვე რეგისტრირებულია ათასობით მეწარმე, 1200-ზე ტი სააქციო საზოგადოება, რაც ოწმობს, რომ დამკვიდრდა თავიუფალი ეკონომიკური ურთიერთო, რომ საქართველო მტკიცედ დავა თავისუფალი მეწარმეობის ზას.

არადა, ითქვა სხდომაზე, ქვეყანა ერ კიდევ არ გამოსულა ეკონოკური კრიზისიდან, მოსახლეობის ეტი ნაწილის ცხოვრების პირობე კვლავაც მძიმეა. როგორც კერ, ისე სახელმწიფო საწარმოთა ლი უმრავლესობა არ ფუნქციონიბს, ხოლო, თუ მუშაობს, მინიმარი დატვირთვით. ერთობლივი შინაო პროდუქტის ძირითად ნაილს ქმნიან ენერგეტიკისა და პროდუქტების სფეროთა საწამოები. საკუთრების ტრანსფორაციას, პრივატიზაციას რესპუბლიაში ჯერ კიდევ არ გაუყვანია ეკომიკის აქტიური ფუნქციონირეს რეალურ გზაზე. სამომხმარებო საქმიანობის რეგულირებისა და მრეწველო პოტენციალის აღდგეს საქმეს აბრკოლებს ისეთი საელმწიფო პოლიტიკის უქონლობა, მელიც გაითვალისწინებს მიმდიარე კარდინალურ ცვლილებებს და ონომიკის მართვის ძრომოჭმული მეთოდების ნაცვლად საბაზრო ერკეტების მეშვეობით შექმნიდა ექანიზმს, რომელიც ხელს შეუწობს მეწარმეობის განვითარებას.

დღეს საქართველოს წინაშე მდგოერთ-ერთი ურთულესი მაკროეონომიკური პრობლემაა ბიუჯეტის ორმირება და მისი დეფიციტის ფარება, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ეკონომიკური სისმის სხვა პრობლემებთან. რორც ფინანსთა მინისტრმა განაცადა, თუ 1995 წელს სახელმწიფო მოსავლის მოცულობამ გრანტების ვალისწინებით 271 მილიონი რი შეადგინა, სამაგიეროდ, 1996 ლს გათვალისწინებულია მივიღოთ 68 მილიონი ლარი ანუ ზრდა ერადად და მეტად. საგადასახადო მოსულობებით გასული წლის ფაქბრივი მოცულობა 246 მილიოგაიზრდება და 378 მილიონ მიაღწევს. ამასთან, წლეულს იშვნელოვნად იცვლება სახელმწიშემოსავლის სტრუქტურაც, რაც გამოიხატა, რომ 1995 წელთან შედარებით ამ სტრუქტურაში შესამჩნევად შემცირდა შემოსავალი უცხოური გრანტების ხარჯზე და აქცენტი გადატანილია ბიუჯეტში საკუთარი საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსულობათა ხვედრითი წილის ზრდაზე. მაგალითად, თუ შარშან საერთო მოცულობაში გრანტების ხარჯზე შემოსავლებს 25 პროცენტი ეკავა, წლეულს გათვალისწინებული ასეთი შემოსავალი 8,8 პროცენტამდე შემცირდა. როგორც დავით იაკობიძემ თქვა, ეს ტენდენცია, ალბათ, მომავალშიც შენარჩუნდება. წლეულს სახელმწიფო შემოსავლების მოცულობა ერთობლივი საშინაო პროდუქციის მიმართ შეადგენს 8,5 პროცენტს, ხოლო მასში საგადასახადო შემოსულობათა პროდუქტის ხვედრითი წილი 6,7 პროცენტამდე გაიზრდება.

წლის პირველი ნახევრის შედეგებით ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში დავალება 101 პროცენტით შესრულდა, რაც 220 მილიონ ლარს შეადგენს, ესე იგი 2 მილიონით მეტს(ვიდრე გათვალისწინებული იყო. აქ განსაკუთრებით მაღალი შედეგებია მიღწეული მეორე კვარტალში, როცა ბიუჯეტში შემოსულობათა მოცულობამ 1,8-ჯერ გადააჭარბა პირველი კვარტალის ანალოგიურ მაჩვენებელს. მინისტრმა აგრეთვე აღნიშნა, რომ შემოსულობანი ამა წლის ექვს თვეში 2,3-ჯერ აღემატება გასული წლის იმავე პერიოდის სახელმწიფო შემოსავლის ფაქტობრივ მოცულობას. მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა გადასახადებისაგან შემოსულობათა მიხედვითაც, რომლებმაც თითქმის 115 მილიონი ლარი შეადგინა. ეს 2,2-ჯერ მეტია, ვიდრე შარშანდელ შესაბამის პერიოდში, რაც შეეხება ბიუჯეტის გასავალს, ფინანსთა სამინისტროს წინასწარი მონაცემებით, მან ამ პერიოდში 240 მილიონი ლარი, ანუ მისი საერთო ნაწილის 30,6 პროცენტი შეადგინა.

როგორც სხდომაზე ითქვა, გარკვეული შედეგებია მიღწეული ფულად-საკრედიტო სფეროშიც. საქართველოს ეროვნული ბანკი კვლავ ახორციელებს პოლიტიკას, რომლის მიზანია სავალუტო ბაზრის რეგულირება, ლარის კურსის სტაბილურობის უზრუნველყოფა, საიმედო საბანკო სისტემის ფორმირება, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ფინანსური სტაბილიზაციის კვალობაზე დაისახა ინფლაციური პროცესების შენელების ტენდენცია. სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის დეპარტამენტის მონაცემებით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სამომხმარებლო ფასების ინდექსი რესპუბლიკაში 12 პროცენტით გაიზარდა, საშუალო-თვიური ინფლაციის დონეს 1,9 პროცენტისათვის არ გადაუჭარბებია. წლის პირველი ნახევრის მაჩვენებლები საფუძველს გვაძლევენ ვივარაუდოთ, რომ 1996 წლის დამლევისათვის სამომხმარებლო ფასები ქვეყანაში 29 პროცენტამდე არ გაიზრდება, როგორც ეს წლის დამდეგს იყო პროგნოზირებული. გარკვეულ წილად ამას ხელს შეუწყობს ეკონომიკური რეფორმებისა და ფასების ლიბერალიზაციის ფარგლებში ფასწარმოქმნის პოლიტიკა, რომელიც ქვეყანაში მიზანმიმართულად ხორციელდება.

როგორც მოხსენებებში, ისე სხდომაზე მინისტრების, უწყებათა ხელმძღვანელების, სამხარეო და ადგილობრივ ადმინისტრაციათა მეთაურების მეწარმეთა გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებმა შეიძლება მოიტანოს რეალური, საგრძნობი შედეგები მხოლოდ ახალი ეკონომიკური ურთიერთობის მოთხოვნათა საფუძველზე. აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ღონისძიებათა კონცენტრაცია ისეთ აქტუალურ პრობლემათა გადასაჭრელად, როგორიცაა ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენება, უცხოური ინვესტიციების უფრო აქტიური მოზიდვა, ახალი პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა. მიბაძვის მაგალითად, კერძოდ, მოიყვანეს უკვე მოგვარებული თანამშრომლობა ცნობილ გერმანულ კომპანია „მარტინ ბაუერთან", რაც საქართველოსათვის სტრატეგიულად ისეთი მნიშვნელოვანი დარგის აღმავლობისა და შემდგომი განვითარების ფართო პერსპექტივას სახავს, როგორიცაა მეჩაიეობა. აგრარული სექტორის გარდა ხელსაყრელ ურთიერთობაზე დაფუძნებული ანალოგიური საქმიანი კავშირურთიერთობა მყარდება სხვა დარგებსა და სფეროებშიც — მრეწველობაში მათ შორის, მსუბუქ და გადამამუშავებელ მრეწველობაში, მეტალურგიასა და ენერგეტიკაში, ტრანსპორტზე და მშენებლობაში, ნავთობისა და გაზის, სხვა სასარგებლო წიაღისეულთა დაზვერვასა და მოპოვებაში.

საქართველოსათვის საგარეო ვაჭრობის როლი წინათ არასოდეს არ ყოფილა ესოდენ მნიშვნელოვანი, როგორც თანამედროვე ეტაპზეა, — აღინიშნა სხდომაზე. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შეიმჩნეოდა მისი მნიშვნელოვანი გააქტიურება. ამ პერიოდში ქვეყნის საგარეო-სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 403 მილიონი ამერიკული დოლარი. ეს 242 მილიონით მეტია, ვიდრე შარშანდელ შესაბამის პერიოდში. საგულისხმოა, რომ 1995 წელთან შედარებით ექსპორტი გაიზარდა 96 პროცენტით და 92 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი — 2,7-ჯერ და 311 მილიონი დოლარი შეადგინა, არსებითად გაფართოვდა საგარეო ვაჭრობის „გეოგრაფია". საკმარისია ითქვას, რომ ამ პერიოდში საქართველო მონაწილეობდა 68 ქვეყანასთან საგარეო-სავაჭრო ოპერაციებში. მის ძირითად სავაჭრო პარტნიორთა ხუთეულში შევიდნენ თურქმენეთი, რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, რუმინეთი.

შეეხნენ რა იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ექსპორტის ხვედრითი წილის ზრდას საგარეო-სავაჭრო ბრუნვაში, სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკაში გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციას უწინარეს ყოვლისა ის აძნელებს, რომ იგი დაბალი ხარისხისაა და მაღალი თვითღირებულება აქვს. ბუნებრივია, ეს ამცირებს მის კონკურენტუნარიანობას არა მარტო საგარეო, არამედ საშინაო ბაზარზეც. ამით, სხვათა შორის, არის განპირობებული ისიც, რომ ადგილობრივ ბაზარზე ჭარბობს საზღვარგარეთული საქონელი, რომელიც, უნდა, ითქვას, არ გამოირჩევა მაღალი ხარისხით, ზოგჯერ კი ჩამოუვარდება კიდეც სამამულო წარმოების ნაწარმს, მაგრამ შედარებით იაფია.

როგორც სხდომაზე მოყვანილი მონაცემები მოწმობენ, წლის პირველ ნახევარში ქვეყნის სამრეწველო კომპლექსმა გამოუშვა 266,8 მილიონი ლარის პროდუქცია. ეს, მართალია, 4 პროცენტით აღემატება შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელს, მაგრამ ინდიკატორული გეგმით გათვალისწინებული წლიური მოცულობის სულ 10,4 პროცენტს შეადგენს. თუმცა, აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის თითქმის ნახევარი მოდის კვებისა და გადამამუშავებელ მრეწველობაზე, რომელიც, როგორც წესი, სრული სიმძლავრით მუშაობას იწყებს წლის მეორე ნახევრიდან. ამ დარგებში საქმის ვითარებას კი ბევრად განსაზღვრავს ისეთი მნიშვნელოვანი სექტორის მდგომარეობა, როგორიცაა აგრარული. არახელსაყრელი ამინდის პირობების მიუხედავად, წლეულს საგაზაფხულო კულტურები დაითესა 430 ათას ჰექტარზე, ეს 30 ათასით მეტია შარშანდელ მაჩვენებელზე, მაგრამ სულ რესპუბლიკის მთელი სახნავი ფართობის 82,5 პროცენტს შეადგენს. უამინდობის გარდა, სრული მოცულობით საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების შესრულებას იმანაც შეუშალა ხელი, რომ არ იყო საჭირო რაოდენობის საწვავ-საპოხი მასალები და თესლი, სასუქები. ახლა ქვეყანაში მიმდინარეობს საშემოდგომო მარცვლეულის მოსავლის აღება. 11 ივლისის მდგომარეობით, თავთავიანები მომკილია 25,3 ათას ჰექტარ ფართობზე. ამასთან, საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 14 ცენტნერს არ აღემატება. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა მევენახეობაში, სადაც საერთო მოსავალი ნავარაუდევია 350 ათასი ტონის ფარგლებში. აქედან სამრეწველო გადამუშავება 100-120 ათასი ტონის ფარგლებში განისაზღვრა. სადღეისოდ რესპუბლიკაში მოკრეფილია 14 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, რაც თითქმის მესამედით ნაკლებია შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელზე. ჩამორჩენა აქ ძირითადად იმან გამოიწვია, რომ არ არის გასაღების ბაზრები და სიძნელეებს განიცდიან ჩაის ფაბრიკები, სადაც სათბობის დეფიციტის გამო მოკრეფილი ფოთლის მოცულობა წინასწარვე ლიმიტირებული.

გააანალიზეს რა საქმის ვითარება ეკონომიკის ამ და სხვა სფეროებში, ორატორებმა გამოთქვეს კონკრეტული წინადადებანი რომელთა მიზანია „ვიწრო" ადგილების ლიკვიდაცია როგორც დარგობრივი, ისე რეგიონალური თვალსაზრისით. წამოაყენეს ადგილებზე ისეთი მწვავე პრობლემების გადაჭრის აპრობირებული მეთოდები, როგორიცაა მოსახლეობის სოციალური დაცვა, განსაკუთრებით მისი ხელმოკლე ფენებისა, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების ობიექტების ფუნქციონირება, რაც გადამწყვეტწილად დამოკიდებულია ადგილობრივი ბიუჯეტების მდგომარეობაზე. სხვათა შორის, როგორც სხდომაზე აღნიშნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **ზურაბ ჟვანიამ**, უთუოდ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ, თუ წინათ ბიუჯეტები რეალურად ჰქონდათ მხოლოდ ქალაქებს თბილისსა და ქუთაისს, ამჟამად ისინი ყველგან კონკრეტული საქმეებისათვის მუშაობენ. როგორც მან თქვა, ადგილებზე საბიუჯეტო პოლიტიკის შემდგომ სრულყოფას ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის კანონი, რომლის პროექტიც წლეულს შემოდგომაზე იქნება გამოტანილი ქვეყნის პარლამენტის განსახილველად.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

გაანალიზა რა ნახევარი წლის შედეგები, მან აღნიშნა, რომ ახლანდელი საქართველოსათვის დამახასიათებელი მთავარი ეკონომიკური მოვლენაა ანტიინფლაციური ზრდა. ექვსი თვის მანძილზე მიღწეული მაკროეკონომიკური პარამეტრები მთლიანად იმ რადიკალური რეფორმების გაღრმავების კონცენტრირებული გამოხატულებაა, რომლებმაც ორგანულად მოიცვეს ეკონომიკის ყველა სექტორი. ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე პასუხისმგებლური რეფორმატორული აქცია ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში შემოღების შემდეგ იყო თვენახევრის წინათ განხორციელებული პურის ფასების სავარაუდო ლიბერალიზაცია, რომელმაც საბოლოოდ ჩამოაცილა საქართველოს ეკონომიკა სახელმწიფო სოციალიზმის სისტემას.

როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, წლის პირველ ნახევარში საკუთრების ტრანსფორმაციის სფეროში გამოიკვეთა რამდენიმე საეტაპო ნიშანსვეტი: განხორციელდა სახელმწიფო პურის მრეწველობის რეორგანიზაცია, მიღებულია პოლიტიკური გადაწყვეტილებანი ელექტროენერგეტიკის რეკონსტრუქციის შესახებ. პრეზიდენტი განსაკუთრებით შეეხო მასობრივი, ეგრეთ წოდებული, საჩეკო პრივატიზაციის პროგრამის წარმატებულ რეალიზაციას, რომელმაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბებას. გაცემული ვაუჩერების 92,8 პროცენტი გამოყენებულია პრივატიზაციისა და აქციონირების პროცესში, რაც, როგორც ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, პოსტსოციალისტურ ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

წლის პირველ ნახევარში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები და დონორი ქვეყნები კვლავაც აქტიურად უჭერდნენ მხარს საქართველოს. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ თებერვლის დამლევს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დაამტკიცა ქვეყნისათვის 246 მილიონი ამერიკული დოლარის გამოყოფა სტრუქტურულ გარდაქმნათა გაფართოებული მექანიზმის სამი წლის პროგრამის ფარგლებში, კრედიტი 60 მილიონი დოლარის ოდენობით გამოყო მსოფლიო ბანკმა აგრეთვე სტრუქტურული გარდაქმნებისათვის და 4,9 მილიონი დოლარი — ტექნიკური დახმარებისათვის. განსაკუთრებით აღინიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ევრობანკის, ევროგაერთიანების აქტიურ დახმარებას, სხვათა შორის, ახლახან განხილული იყო ტასისის ოთხწლიანი პროგრამა, რომლის ღირებულება 30 მილიონ ეკიუს შეადგენს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების სააგენტოსთან ხელმოწერილია 4 მილიონი ამერიკული დოლარის 15 პროექტი.

როგორც ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, შეჩერდა მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითების ხანგრძლივი პროცესი, უფრო მეტიც, ამ სფეროში, სახეზეა ჯერჯერობით, თუმცა, მეტად მოკრძალებული, მაგრამ უკვე შესამჩნევი წინსვლა. კერძოდ, იანვართან შედარებით, საარსებო მინიმუმის დონე შემცირდა 2,5 პროცენტით, მაშინ როცა შარშანდელ ანალოგიურ პერიოდში დაფიქსირებული იყო 48,5 პროცენტით ზრდა. ახლა საშუალო ხელფასი სახელმწიფო სექტორში, რომელიც 24,5 ლარს შეადგენს, ფარავს ნორმატიული მინიმალური ხელფასის 55 პროცენტს. საგულისხმოა, რომ ანალოგიური მაჩვენებელი შარშან 4 პროცენტს არ აღემატებოდა. პროგრესი ცხადია, მაგრამ, ამავე დროს, მიმდინარე წლის ამოცანათა რეალიზაციის თვალსაზრისით, რომლებიც ასახავენ მხოლოდ პოტენციურ შესაძლებლობათა მინიმუმს, მიღწეულის მასშტაბი და დონე საკმარისად ვერ ჩაითვლება.

ითქვა, რომ მრეწველობის ცალკეული დარგები და საწარმოები

(დასასრული მე-2 გვ.)

საქართველოს მთავრობის გაფართოებული სხდომა

ბავშვები საქართველოდან საბერძნეთში დაისვენებენ

23 ივლისს 31 ობოლი ბავშვი და სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილები საქართველოდან ერთი თვით დასასვენებლად საბერძნეთს გაემგზავრნენ. ამ ღონისძიების ინიციატორი და სულისჩამდგმელია საბერძნეთის ეროვნული ფონდი „იაპოე". ფონდის პრეზიდენტს, საბერძნეთის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს გიორგოს იაკოვუს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან და ამითაც აიხსნება ბატონ გიორგოს იაკოვუს განსაკუთრებული ყურადღება ჩვენი ქვეყნისადმი.

ნორჩების ვიზიტს საბერძნეთში საქართველოს მხრიდან ორგანიზაცია გაუკეთა საერთაშორისო საზოგადოებამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის", რომლის პრეზიდენტი ქალბატონი ნანული შევარდნაძეა. საზოგადოებამ სიამოვნებით იკისრა ბავშვების მომზადება პელოპონესის ნახევარკუნძულზე იონის ზღვის სანაპიროზე გასამგზავრებლად, შეიძინა მათთვის აუცილებელი ნივთები და ნორჩები ოთხ აღმზრდელთან, ექიმთან და თარჯიმანთან ერთად გააცილა აეროპორტში.

ცნობისათვის: ეს ფონდი ფინანსურად, სურსათითა და სხვადასხვა კულტურული თუ დასვენების პროგრამებით ეხმარება ბერძნულ დიასპორებს მთელ მსოფლიოში. სწორედ ამის მაგალითია ის, რომ სამი წლის წინათ აფხაზეთის ომის დროს სოხუმიდან გემით 1600 ბერძენი გაიყვანეს საქართველოდან. ქვეყანაში არსებულმა მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ განაპირობა ბერძნების წასვლა რესპუბლიკის სხვა რაიონებიდანაც.

ნანა ბელაშვილი,
საქინფორმის კორ.

სურათზე: თბილისის აეროპორტში.
ბესიკ კეზერაშვილის ფოტო.

სინათლე ჩვენს ფანჯრებში

აჰ, მთვარევ, მთვარევ, დამწვართ იმედო...

მართალია სასიმღერო ლექსის ეს სტრიქონი სიყვარულით დამწვრებს ეძღვნება, მაგრამ იმათაც მშვენივრად ესადაგება, ვის ფანჯრებშიც სინათლე აღარ ციაგებს და ზაფხულის მოკლე ღამეებში ბადრი მთვარის იმედად დარჩა.

არადა, — რაც მოგივა დაგითმო...

განა არ ვიცით, ვალს რომ გადახდა უნდა? ვიცით, მაგრამ გადასახდელად ჯიბეში ხელის ჩაყოფა გვესიკვდილება, თითქოს შიგ მორიელი გვჯდეს.

ჰოდა, დაიწყო ფართო შეზღუდვები ელექტროენერგიის გადაუხდელობით გამოწვეული დებიტორული დავალიანების გამო.

ელექტროენერგიის მიწოდება უკვე მთლიანად შეუწყდათ ლენტეხის, თიანეთის, ხობის, წალენჯიხის, აბაშის, ჩხოროწყუს, წალკის რაიონებს.

მალე ელექტროდენი შეიძლება მხოლოდ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს მიაწოდონ თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ზუგდიდში, კასპში, მარნეულში, თელავში, სენაკში, სამტრედიაში, ახალქალაქში, გურჯაანში, ხაშურში, ჭიათურაში, საჩხერეში, ჩოხატაურში, ტყიბულში.

ეს საჯარიმო სანქციები მანამდე გაგრძელდება, სანამ მოვალეები დროულად არ გადაიხდიან ივნის-ივლისში მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულებას და დებიტორულ დავალიანებასაც არ დაფარავენ.

ბუნებრივია, „საქენერგოს" ამ იძულებით ნაბიჯს მოსახლეობის შემფოთება მოჰყვა, არის ხელების შლა და მეცხადება, მთავრობა გვახრჩობსო, არ გვაქვს და როგორ გადავიხდითო.

თუ არ გაქვს, იმდენი უნდა მოიხმარო, რამდენიც გაქვს!

თორემ, არ მაქვსო და დღიანღამიანად რომ ყველა წერტილს ჩართავ და საახალწლო ნაძვისხესავით აჩახჩახებ, შენს გადასახდელს სხვა რომ არ გადაიხდის, ხომ იცი!

როცა გშია, ვინმე გულმოწყალე ლუკმას კი მოგაწვდის, მაგრამ შენი დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს, — ნურას უკაცრავად. მით უფრო, — სახელმწიფო, ან, სულაც — „საქენერგო", რომელიც ამ ამოუქარავი დავალიანების გამო თვითონაც სულს ლაფავს.

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო ენერგოკომპანია „საქენერგომ" გვთხოვა მკითხველს ვაცნობოთ, რომ

ივნისში დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების გადახდაზე **კარგად იმუშავეს:** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, მესხეთის, ქვემო ქართლის, კახეთის, რეგიონების შესაბამისმა სამსახურებმა; ახმეტის, ლაგოდეხის, ბოლნისის, ახალციხის, თერჯოლის, გარდაბნის რაიონების მუნიციპალურმა ენერგოკომპანიებმა; „საქენერგოს" ელექტროენერგიის გადაცემისა და რეალიზაციის თელავის, მესხეთის, აჭარის საწარმოებმა.

განსაკუთრებით **ცუდად იმუშავეს:** სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონების სამსახურებმა, ჩხოროწყუს, ონის, აბაშის, ლანჩხუთის, საჩხერის, წალენჯიხის, ჭიათურის, ტყიბულის, ჩოხატაურის, მცხეთის, ხობის, თიანეთის რაიონებმა.

გადაიხადეთ, თორემ ჩაქრება სინათლე თქვენს ფანჯრებში!

ოლიმპიადა-96

ოლიმპიური თამაშები— პროგრესის გრანდიოზული დათვალიერება

ეს რომ ასეა, კიდევ ერთხელ ადასტურებს ატლანტის XXVI ოლიმპიური თამაშები. ახალგაზრდობის წრთობის, სიჩაუქის, უმაღლეს სპორტულ მიღწევათა დემონსტრირების გარდა, აქ ვლინდება მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და, გნებავთ, ტექნიკური ამწიფე, ორგანიზებულობა, მოქნილობა, საჭირო მომენტში ადამიანის ძალების კონცენტრირების უნარი და სხვა უამრავი ნიუანსი.

ამიტომაც ცდილობს ოლიმპიადაში მონაწილე მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის ყველა ქვეყანა, ორგანიზატორი სახელმწიფოს ჩათვლით, მილიონობით „ცოცხალ" თუ ტელემაყურებელს უჩვენოს, რომ „ძალა შესწევს ქადილისა".

ატლანტის ოლიმპიადის გახსნის უმშვენიერესმა და მართლაც გრანდიოზულმა ცერემონიალმა, ჩემი აზრით, თვით მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშების გახსნის დიდი სპექტაკლიც დაჩრდილა. მონაწილეთა პარადი, მათი ჩამოსვლა ოლიმპიურ სარბიელზე — ესეც ხომ თანამედროვე ქვეყნის სიძლიერის კულტურული ტრადიციების, მოდის, დიზაინის, მაღალი გემოვნების დემონსტრაცია გახლდათ...

მაგრამ, მთავარი და გადამწყვეტი „უბანი" ოლიმპიური ასპარეზია — სტადიონი, საწყლოსნო ბილიკი, დარბაზი, მანეჟი, სასროლეთი...

სწორედ აქ ერკინებიან ერთმანეთს ქვეყანათა ფიზიკური აღზრდის, წრთობის, დაოსტატების სისტემები და მეთოდები, მონაწილე ათლეტთა ფიზიკური ჯანი და ნებელობითი მომზადების დონე, მათი ხასიათები, გრძნობები, ვნებები... და სწორედ ამ ტიტანურ ჭიდილში იჭედება ოლიმპიური მედლები, რომელთა წონა ყველა სხვა სპორტულ ჯილდოსთან შედარებით განუზომლად მაღალია.

მეხუთე დღეა ოლიმპიადა-96 მიმდინარეობს, დღე დღეს მისდევს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთვის სასიხარულო ცნობა ცოტა თუ მოგვდის. და იცით, რატომ? პირველივე იმედიანი დღე გაუგონარი დოყლაპიობის გამო, რომ იტყვიან, დავთარსეთ — ოლიმპიური „ოქროს" ნაღდი პრეტენდენტი სარბიელს მიღმა დაგვრჩა, ფსიქოლოგიურმა სტრესმა კი, როგორც ჩანს, კარგა ხნით მწყობრიდან გამოიყვანა წკიპზე შემდგარი სხვა ათლეტებიც — როგორღაც გამოაცარიელა მათი ძალა და გული. შემართება, განწყობა კი დიდ სპორტში, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი ფაქტორი არის. ამიტომაც გვიწევს დავაფიქსიროთ სამწუხარო სტატისტიკა რუბრიკით: „ასპარეზობა დაასრულეს", — მონაწილეთა გვარებს გასწვრივ კი ვხედავთ შედეგებს: გელა პაპაშვილი — დაიკავა VI ადგილი, ბაკურ გოგიტიძე — დაიკავა XIV ადგილი, ტარიელ მელელაშვილი — XX ადგილი, გიორგი წმინდაშვილი — დამარცხდა პირველივე წრეში, მევლუდ ლობჟანიძე — დამარცხდა პირველივე წრეში, თენგიზ მესხაძე — დამარცხდა პირველივე წრეში...

აღმასვლა ხშირად დამარცხებით იწყება, იმედი ღვივის ჩვენს გულში: ალბათ, მოეგებიან გონს ჩვენი ოლიმპიელები, უნდა მოეგონ, ვალდებულნი არიან: ოკეანეს აქეთ — საქართველოა!

ანზორ ბასილაია.

მოკრივეები არ ხუმრობენ

დავით ხახალეიშვილის თავს დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ქართველი ოლიმპიელები, როგორც ჩანს, ნელ-ნელა გამოდიან შოკიდან და ზოგიერთ მათგანს უკვე მედლების მოპოვების მანსიც გაუჩნდა.

აღსანიშნავია, მოკრივეთა წარმატებული სტარტი — ჯერჯერობით რინგზე გამოსული ოთხი ჩვენი თანამემამულიდან სამმა შთამბეჭდავი გამარჯვებით გაგვახარა. ერთი მათგანია ადრე თურქეთის სახელით მოასპარეზე, შარშან სამშობლოში დაბრუნებული ქუთაისელი სპორტსმენი აკაკი კაკაურიძე, რომელმაც ატლანტაში სადებიუტო ბრძოლა დამაჯერებლად მოუგო ჩილელ რიკარდო არევალოს — 10:3.

იმავე დღეს თავი ისახელა ბარსელონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა, ამჟამად რუსეთის ნაკრები გუნდის წევრმა, მესტიელმა რამაზ ფალიანმა, რომელმაც იოლად სძლია კორეელ მეტოქეს და შემდეგ წრეში გავიდა...

ოლიმპიური თამაშების მესამე დღის მშვენებას ძალოსანთა უშელავათო პაექრობა წარმოადგენდა. ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა თურქმა ნაიმ სულეიმანოღლუმ ორჭიდის ჯამში 2,5 კილოგრამით აჯობა საბერძნეთის წარმომადგენელს და საპატიო წოდებას მესამედ დაეუფლა. შეგახსენებთ, რომ პირველად კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ეს სახელოვანი ათლეტი ბულგარეთის სახელით ავიდა.

დავაჩქაროთ გარდაქმნები ახალ ეკონომიკურ სისტემაზე დაყრდნობით

(დასასრული)

წლითიწლობით თმობენ პოზიციებს იმ სახეობის პროდუქციის მიხედვით, რომელსაც წინათ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გზავნიდნენ. ამას მოწმობს ნატურალური გამოსახულებით მანგანუმის მადნის, ფერომანგანუმისა და სილიკომანგანუმის, მცირე სიმძლავრის ელექტროაპარატურის, ელექტროშესადუღი მოწყობილობის, ლითონსაჭრელი ჩარხების, ამწევების, სატვირთო ავტომობილების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მუყაოს, საშენი მასალების, თამბაქოს ნაწარმის, მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის, ხილბოსტნეულის, კონსერვების, ღვინოების, ჩაისა და სხვათა წარმოების მნიშვნელოვანი შემცირება. ბევრი რამ აქ ენერგეტიკული კრიზისით აიხსნება, მაგრამ, ახლა, როცა არ არის ასეთი შეფერხებები ელექტროენერგიის მიწოდებაში, ბევრმა საწარმომ ვერა და ვერ შეძლო გაეზარდა საწარმოო სიმძლავრეთა დატვირთვა ანდა საერთოდ მათი ამოქმედება, რადგან არა აქვთ საბრუნავი სახსრები, საწყისი კაპიტალი. როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, ამ შემთხვევაში ხშირად იმას იმიზეზებენ, რომ განვითარებული არ არის საკრედიტო ბაზარი ქვეყნის შიგნით. პრეზიდენტის აზრით, ეს სერიოზული ფაქტორია, მაგრამ ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის უმოქმედობის არა ერთადერთი მიზეზი. მთავარია, მისი აზრით, საწარმოთა მეტი ნაწილის კონკურენტუნარიანობა. რადგან უკვე აღარ არსებობს დახურული, გეგმიანი საბჭოთა ბაზარი და საქართველო სწრაფი ტემპით ინტეგრირდება მსოფლიო სამეურნეო კავშირებში, ნებისმიერი საწარმოს ფუნქციონირება შესაძლებელი ხდება მხოლოდ მისი კონკურენტუნარიანობის პირობებში. სამრეწველო კრიზისიდან გამოსვლისათვის სრულიად სამართლიანად იქნა აღიარებული, რომ უნდა დაჩქარდეს საწარმოთა განსახელმწიფოებრიობა. საქართველომ აქ მნიშვნელოვნად გაუსწრო მეტწილ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის შედეგად მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი ძირეული სისტემური გარდატეხისა ჯერჯერობით არ ჩანს. ექვსი თვის მანძილზე პრივატიზებულ საწარმოებში წარმოების მოცულობა მარშანდელთან შედარებით შემცირდა 10 პროცენტითა და მეტად. ყოველივე აქედან გამომდინარეობს დასკვნა: საერთაშორისო დონეზე აღიარებულ საკმაოდ წარმატებულ მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებასთან ერთად უნდა ვიქონიოთ დასაბუთებული გაწონასწორებული სამრეწველო პოლიტიკა. ანუ, როგორც ხაზგასმით აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, მრეწველობის რეაბილიტაციის კონკრეტული პროგრამა.

ამ პრობლემათა განხილვის დროს, საერთაშორისო ექსპერტთა აზრით, საჭიროა მთელი ძალისხმევა მოვახმაროთ ისეთი პოლიტიკის განხორციელებას, რომლის მიზანი იქნება საერთაშორისო კონკურენტუნარიანი ექსპორტის ზრდა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მაშინვე მოვიზიდოთ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციები, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სტრუქტურები. ქვეყნის პრეზიდენტს მიაჩნია, რომ, თუ ყურადღებას გადავიტანთ ექსპორტის ზრდაზე, მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო პარამეტრები შესაბამისობაში მოვა, რადგან ისინი დაკავშირებულია წარმოების, შემოსავლების, ინვესტიციების, იმპორტისა და დასაქმების საკითხებთან. უნდა გავითვალისწინოთ თქვა მან, რომ პოტენციური საერთაშორისო ინვესტორები გაცილებით მეტ ინტერესს იჩენენ ისეთ ხელსაყრელ პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკისა თუ სტრატეგიისადმი, რომლებიც ძირითადად მთელ ყურადღებას მიაპყრობენ არსებულ ან პოტენციურ საექსპორტო ბაზრებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ევროპის, სამხრეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამასთან დაკავშირებით, ედუარდ შევარდნაძემ ეკონომიკის სამინისტროს წინადადება მისცა უმოკლეს ვადებში შეიმუშაოს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის სახელმწიფო პროგრამა.

პრეზიდენტი შეეხო მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების საკითხებს და ხაზგასმით აღნიშნა, კერძოდ, რომ მათ მხარდაჭერაზე ორიენტირებული პოლიტიკა შესაძლებლობას იძლევა თუნდაც ნაწილობრივ გადაწყდეს ისეთი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, როგორიცაა მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფა. აღიარებული კრიტერიუმების მიხედვით, ქვეყნის ყოველ 30-50 მცხოვრებზე უნდა მოდიოდეს ერთი ასეთი საწარმო. ამის გათვალისწინებით, საქართველოს მცირე ბიზნესის პოტენციალი შეადგენს 130 ათას მცირე საწარმოს. როცა შენიშნა, რომ ეს პრობლემა პერსპექტიული ხასიათისაა, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა: მისი გადაჭრისათვის ზრუნვა სადღეისო საქმეა. მან ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა განვახორციელოთ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია პროგრამული პარამეტრების მიღწევა წლის მეორე ნახევარში. არსებული გამოანგარიშებით, სამრეწველო პროდუქციის წარმოების 10-პროცენტიანი ზრდის უზრუნველსაყოფად წლის დამლევამდე დარჩენილ პერიოდში უნდა გავზარდოთ წარმოების დონე 14,6 პროცენტით. კონკრეტული ამოცანები დაისახა მრეწველობის ცალკეული დარგებისა და რეგიონების წინაშე. 10-პროცენტიანი ზრდა უნდა გახდეს მინიმალური ზღვარი ნებისმიერი რაიონისა და ქალაქისათვის, იმათ კი, ვისაც უფრო სწრაფი ტემპი აქვს, უნდა იზრუნონ მათი შენარჩუნებისათვის.

როცა შეეხო საქმის ვითარებას სოფლის მეურნეობაში, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ამ დარგში პროდუქციის წარმოების შემცირების, კონკურენტუნარიანობის უქონლობის გამო საქართველომ დაკარგა არა მარტო ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების ბაზრები, არამედ შეიმჩნევა საქართველოს პროდუქციის ინტენსიური გამოდევნა საშინაო ბაზრიდანაც. მზა ნაწარმის გარდა, ქვეყანაში შემოდის დიდძალი თურქული კარტოფილი, ხახვი, კიტრი, პამიდორი, საზამთრო და სხვა. გამოსავალი აქ არის არა საგადასახადო ბარიერების შემოღება, როგორც ამას დარგის ზოგიერთი წარმომადგენელი მოითხოვს, არამედ საკუთარი მწარმოებლისათვის ხელშეწყობა. არადა, წლითიწლობით ვერ ხერხდება სამცხე-ჯავახეთიდან, სვანეთიდან და სხვა მთიანი რეგიონებიდან გასაყიდად გათვალისწინებული ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების გამოტანა.

პრეზიდენტმა გააანალიზა არსებული ვითარება და ჩამოაყალიბა პრობლემათა გადაჭრის თავისეული ხედვა ისეთ მნიშვნელოვან სფე ში, როგორიცაა ენერგეტიკა, მომპოვებელი მრეწველობა, ნო და ადგილობრივი თვით სახლვაო, მიწისზედა და სა ტრანსპორტი, ვაჭრობა, საქმე, ფულად-საკრედიტო პოლ მოსახლეობის სოციალური და სხვები. ედუარდ შევარდნაძემ შნა, რომ წლის პირველი ნახ შედეგების შეჯამებისას რეალ რად გამოიკვეთა როგორც დადებ ისე უარყოფითი ტენდენციები, მლებითაც ხასიათდებოდა გა პერიოდში მიღებული მაკროეკონ კური მაჩვენებლები. ეს შესაძ ლობას გვაძლევს უფრო ზუსტად ვსაზღვროთ წლის მეორე ნახ ორიენტირები და, მაშასადამე, ლი მეცადინეობა მოვახმაროთ ვნელოვან მიმართულებებს. პრე დენტმა წამოაყენა წინადადებ წესდეს სახელმწიფო ჯილდოები ყნის ეკონომიკურ გარდაქმნ განსაკუთრებული წვლილისათვის.

ედუარდ ედიბერი

თენგიზ გრიგალაშვილ

საქინფორმის

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ" საქართველოს კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ" ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. „რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დებულების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 22 იანვრის № 22 დადგენილების შესაბამისად დადებული სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულებები 1996 წლის 31 დეკემბრამდე მოყვანილ იქნას შესაბამისობაში „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ" საქართველოს კანონთან, 1997 წლის 1 იანვრიდან ამ კანონთან შეუსაბამო ხელშეკრულებები ბათილია.

3. მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსთან ერთად უზრუნველყონ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულებების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.

4. საქართველოს ტერიტორიის ნაწილის დროებით მაკონტროლებელი სეპარატისტული სტრუქტურების მიერ მიღებული მიწის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებული აქტები ბათილია.

5. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის მაქსიმალური ვადა განსაზღვრულია 49 კალენდარული წლით.

6. ერთი იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ იჯარით აღებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ზღვრულ ფართობს ადგენს და რაიონებს შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით, მათ შორის საზამთრო და საზაფხულო საძოვრებით სარგებლობის საკითხს არეგულირებს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1996 წლის 28 ივნისი.

საქართველოს კანონი
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ" შემუშავებულია „იჯარის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად და ადგენს სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გაცემის წესს, ვადას, იჯარის ქირას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს და იჯარის სხვა პირობებს.

2. სასოფლო-სამეურნეო იჯარა არის კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზნით სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის ხელშეკრულების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოსაყენებლად არსებული წესის შესაბამისად ნებადართული მიწის (შემდგომ „სასოფლო-სამეურნეო მიწის"), შენობა-ნაგებობების, მოწყობილობა-დანადგარების და სხვა მატერიალური ქონების ვადიანი და სასყიდლიანი მფლობელობა და სარგებლობა. მოიჯარე დამოუკიდებლად ეწევა სამეურნეო საქმიანობას.

მუხლი 2. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ობიექტები

სასოფლო-სამეურნეო იჯარის ობიექტებია:

ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწები, გაკულტურებული და ბუნებრივი სათიბი და საძოვარი);

ბ) არსებული წესის შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული ან გამოსაყენებლად ნებადართული წყლის ფონდის და ტყის ფონდის მიწები:

გ) საბაღე, საბოსტნე და სააგარაკო ნაკვეთები;

დ) მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და სხვა არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების ის ნაკვეთები, რომლებიც არსებული წესის შესაბამისად გამოყენებულია ან შეიძლება გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

ე) სოფლის, რაიონული ცენტრისა და ქალაქის ფარგლებში მოქცეული მიწის ის ნაკვეთები, რომელთა მიზნობრივი დანიშნულება ჯერ არ არის შეცვლილი და სასოფლო-სამეურნეო მიზნით მათი გამოყენება არსებული წესის შესაბამისად ნებადართულია;

ვ) სასოფლო-სამეურნეო მიზნით მიწის საიჯარო სარგებლობასთან დაკავშირებული საცხოვრებელი და სამეურნეო შენობა-ნაგებობები. მოწყობილობა-დანადგარები, სამეურნეო ინვენტარი და სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოსაყენებელი სხვა ქონება.

მუხლი 3. სასოფლო-სამეურნეო იჯარის სუბიექტები

1. სასოფლო-სამეურნეო იჯარის სუბიექტებია:

ა) მეიჯარე — სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრე ან მისგან უფლებამოსილი პირი;

ბ) მოიჯარე — სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით ამღები ფიზიკური პირი, ფიზიკურ პირთა ჯგუფი ან იურიდიული პირი.

2. ქალაქის მმართველობის ორგანოს გამგებლობის ტერიტორიის ფარგლებში მოქცეული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების იჯარით გაცემის უფლებამოსილი პირი არის მმართველობის შესაბამისი საქალაქო ორგანო ან მისგან უფლებამოსილი პირი.

3. ქალაქის მმართველობის ორგანოს გამგებლობის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებული რაიონის საზღვრებში მოქცეული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების იჯარით გაცემის უფლებამოსილი პირი არის მმართველობის შესაბამისი რაიონული ორგანო ან მისგან უფლებამოსილი პირი.

მუხლი 4. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება, მისი გაფორმებისა და რეგისტრაციის წესი

1. მოიჯარე მიწათსარგებლობის უფლებას მოიპოვებს ხელშეკრულების საფუძველზე. იჯარის ხელშეკრულება არის მეიჯარისა და მოიჯარის საიჯარო ურთიერთობათა განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელიც იდება განსაზღვრული ვადით ნებაყოფლობისა და მხარეთა თანხმობის საფუძველზე, წერილობითი ფორმით, ამ კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. იჯარის ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს:

მიწის გარდა სხვა საიჯარო ქონების შემადგენლობა და ღირებულება, იჯარის ვადა, მიწისა და სხვა ქონების გამოყენებისათვის იჯარის ქირის ოდენობა და გადახდის წესი, მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა, იჯარის ვადის გასვლის შემდეგ იჯარის ობიექტების დაბრუნების პირობები, იჯარით აღებული ობიექტების მოვლისა და გამოყენების პირობები. საიჯარო ურთიერთობის დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ მხარეებმა ერთობლივად უნდა აღწერონ იჯარით აღებული მიწისა და სხვა ობიექტების რაოდენობა და მდგომარეობა და დააფიქსირონ ქონების აღწერის ოქმში.

3. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია საიჯარო ნაკვეთის გეგმა, რომელსაც ადგენს მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სამსახური.

4. მეთესლეობის, სანერგე, სანაშენე, ჯიშთა გამოცდის (მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მეფუტკრეობის, მეთევზეობის), სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების საცდელ-სასელექციო მეურნეობები და ჯიშთა გამოცდის სადგურები, სასწავლო-ექსპერიმენტული მეურნეობები და ნაკვეთები, მსხვილი მეცხოველეობის კომპლექსები და სასათბურე კომბინატების მიერ გამოყენებული, ან გამოსაყენებელი სახელმწიფო საკუთრების მიწები იჯარით გაიცემა ამ სტრუქტურებთან შეთანხმებით ნებართვის საფუძველზე. სამომთაბარეო საძოვრები და სათიბები იჯარით გაიცემა აგრეთვე ნებართვის საფუძველზე. ამ ნებართვას გასცემს საქართველოს (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების) სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო. სახელმწიფო ტყის ფონდში არსებული სათიბებისა და საძოვრების იჯარით სარგებლობის ნებართვას გასცემს საქართველოს (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების) სატყეო დეპარტამენტის შესაბამისი ადგილობრივი სამსახური.

სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები 10 წელზე მეტი ვადით იჯარით გაიცემა მხოლოდ საქართველოს მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის ნებართვით საქართველოს (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების) სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსა და სატყეო დეპარტამენტთან (ტყის ფონდის მიწებზე) შეთანხმებით.

ნებართვის გამცემ ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს იჯარის ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვლა, თუ:

ა) იჯარის ქირა დაწესებულია მოქმედი წესისაგან გადახვევით;

ბ) მიწის იჯარით გაცემა იწვევს მიწათსარგებლობის მონოპოლიზაციას, დაქუცმაცებას, სრულად გამოყენების შემაფერხებელი პირობების წარმოშობას. გამოყენების დაწესებული რეჟიმის დარღვევას.

ნებართვის გამცემმა ორგანომ მოიჯარეს პასუხი უნდა აცნობოს მიწის იჯარით გაცემაზე ნებართვის მოთხოვნის მიღებიდან ერთ თვეში. თუ ნებართვის გამცემი ორგანო აღნიშნულ ვადაში არ წაუყენებს მოიჯარეს ხელშეკრულების გაუქმების, ან მასში ცვლილებების შეტანის მოთხოვნას ან არ გასცემს ნებართვას, მაშინ ნებართვა მიიჩნევა გაცემულად. ამასთან მის გაცემაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ამ ორგანოს ეკისრება. ნებართვის გაცემის წესის დარღვევით გამოწვეული სადავო საკითხები უნდა გადაწყდეს არსებული ზოგადი წესების შესაბამისად.

ამ პუნქტში დასახელებულ შემთხვევებში ნებართვა წარმოადგენს იჯარის ხელშეკრულების რეგისტრაციის (ან რეესტრში შეტანის) საფუძველს; ყველა სხვა შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულების რეგისტრაციისათვის ნებართვა საჭირო არ არის.

სასოფლო-სამეურნეო იჯარის ნოტარიალურად დამოწმებულ ხელშეკრულებას რეგისტრაციაში ატარებს მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის შესაბამისი საქალაქო და რაიონული სამსახური. ხელშეკრულება ძალაში შედის რეგისტრაციის თარიღიდან, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობები არ არის გათვალისწინებული.

5. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ვადა განისაზღვრება მეიჯარისა და მოიჯარის შეთანხმებით და ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად: იჯარის ვადა უნდა დაფიქსირდეს იჯარის ხელშეკრულებაში.

თუ არსებობს სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გაცემის ისეთი დასაბუთებული პროექტები, რომელთა განხორციელების შედეგად მოსალოდნელია თვალსაჩინო შედეგის მიღება და მხარეები ვერ შეთანხმდნენ იჯარის ვადაზე, მიწის იჯარის გაცემის ვადას აწესებს მიწის იჯარით გაცემის ნებართვის გამცემი ცენტრალური ორგანო.

6. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულება ფორმდება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმით.

7. სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა იჯარით გაიცემა შემდეგი წესით;

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით აღების მსურველი ფიზიკური და იურიდიული პირი განცხადებით მიმართავს ამ კანონის მესამე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში დასახელებულ ორგანოს, რომელთანაც შექმნილია განცხადებების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია საქართველოს (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების) სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, საქართველოს (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების) სატყეო დეპარტამენტის, მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის სახელმწიფო დეპარტამენტის, სახელმწიფო ქონების მართვის, საფინანსო, იურიდიული სამსახურების წარმომადგენლებისაგან. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კომისიას ემატება იმ სოფლის (სოფლების) წარმომადგენლობა, რომლის გამგებლობასაც მიეკუთვნება იჯარით გასაცემი მიწის ნაკვეთი.

კომისია ორგანიზაციას უწევს იჯარით გასაცემი ქონების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას, იღებს და რეგისტრაციაში ატარებს განცხადებებს, წერილობით ატყობინებს განმცხადებლებს, მიღებულია თუ არა განცხადება განსახილველად.

კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სადავო საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბარი განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით და ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. კომისიის გადაწყვეტილებას ამტკიცებს რაიონის გამგეობა.

საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნების შემდეგ კომისია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს საშუალებას აძლევს წინასწარ გაეცნოს იჯარით გასაცემ ობიექტს. მეიჯარე ვალდებულია შექმნას ობიექტის წინასწარ გასაცნობად საჭირო პირობები.

განცხადებების მიღება მთავრდება კომისიის სხდომამდე სამი დღით ადრე.

კომისიამ განმცხადებელს პასუხი უნდა აცნობოს განცხადების მიღებიდან ერთ თვეში.

8. თუ მიწის იჯარით აღებას თხოულობს ერთზე მეტი პირი და ვერ ხერხდება მოიჯარის გამოვლენა, მეოთხე მუხლის მე-7 პუნქტში დასახელებული კომისია იჯარას გასცემს კონკურსის წესით.

კონკურსის ჩატარების წესი რეგულირდება „სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 20 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 და მე-8 პუნქტებით.

მუხლი 5. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ქირა და მისი გადახდის წესი

1. იჯარით აღებული მიწით და სხვა ქონებით სარგებლობისათვის მოიჯარე მეიჯარის სასარგებლოდ იხდის სასოფლო-სამეურნეო იჯარის ქირას.

2. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ქირა შედგება მიწის იჯარის ქირისა და იჯარით გაცემული მატერიალური ქონების იჯარის ქირისაგან. მიწის გარდა სხვა ქონების იჯარის ქირა ცალკე სტრიქონით აღირიცხება იჯარის ხელშეკრულებაში.

3. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ქირაში არ შედის საიჯარო ნაკვეთში არსებული სასარგებლო წიაღისეულით, მიწისქვეშა წყლებით, მრავალწლიანი ნარგავებით და ნაკვეთზე არსებული სხვა მატერიალური ქონებით სარგებლობისათვის საზღაური (ან ამორტიზაციის ანარიცხები). მიწის იჯარის ქირა ცალკე სტრიქონით აღირიცხება იჯარის ხელშეკრულებაში.

4. იჯარის ქირის ოდენობა განისაზღვრება იჯარის ხელშეკრულებით, ამასთან სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ყოველწლიურ ქირად ითვლება ამავე მიწით სარგებლობისათვის მოქმედი წესით დადგენილი გადასახადი.

5. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ქირა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით. ერთ-ერთ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს იჯარის ქირის ოდენობის შეცვლა სასოფლო-სამეურნეო მიწით სარგებლობისათვის გადასახადისა და ამორტიზაციის ნორმების, რეგულირებადი სახელმწიფო ფასებისა და ტარიფების შეცვლისას, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

თუ სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოიშვა ისეთი გარემოებები, რომლებიც ხელს უშლიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, მაშინ დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა. ეს წესი არ ვრცელდება იჯარის ხელშეკრულების ვადაზე.

6. იჯარის ქირის გადახდა არ ათავისუფლებს მოიჯარეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადისაგან, თუ მოქმედი კანონმდებლობით და იჯარის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7. იჯარის ქირის გადახდის ვადა და წესი განისაზღვრება იჯარის ხელშეკრულებით.

8. იჯარის ობიექტების აღწერის ოქმისა და საიჯარო ნაკვეთების გეგმის შედგენის, იჯარის ხელშეკრულების ნოტარიალურად დამოწმებისა და რეგისტრაციის ხარჯებს გაიღებს მოიჯარე.

მუხლი 6. მოიჯარისათვის ქონების გადაცემა

მეიჯარე ვალდებულია იჯარის ობიექტები მოიჯარეს გადასცეს საიჯარო ნაკვეთების გეგმის, ქონების აღწერის ოქმში დაფიქსირებული მდგომარეობისა და რაოდენობის შესაბამისად. იჯარის ობიექტები მოიჯარეს გადაეცემა იჯარის ხელშეკრულების რეგისტრაციის დღიდან მხარეებს შორის შეთანხმებულ ვადაში. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში მოიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს მისთვის იჯარის ობიექტების გადაცემა და მათი დაგვიანებით მიღების შედეგად გამოწვეული ზარალის ანაზღაურება ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით მიყენებული ზარალის ანაზღაურება. დავის წარმოშობის შემთხვევაში საკითხი წყდება ზოგადი წესების შესაბამისად.

მეიჯარე პასუხს არ აგებს იჯარით გადაცემული ობიექტების იმ ზიანისათვის, რომელიც აღნუსხულია იჯარის ობიექტების აღწერის ოქმში ან მიყენებული იქნა მეიჯარისაგან დამოუკიდებლად.

მუხლი 7. იჯარის ობიექტების გაცემა ქვეიჯარით

1. ქვეიჯარა არ ვრცელდება სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე.

2. მოიჯარეს უფლება აქვს მიწის გარდა იჯარით აღებული სხვა ობიექტი ან მისი ნაწილი მეიჯარის თანხმობით გასცეს ქვეიჯარით, თუ მოქმედი კანონმდებლობით ან იჯარის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ამასთან იჯარის ხელშეკრულებისათვის მოიჯარის პასუხისმგებლობა მეიჯარის წინაშე კვლავ უცვლელი რჩება.

მოიჯარეს უფლება აქვს იჯარით გასცეს საიჯარო ნაკვეთზე მის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები.

მუხლი 8. იჯარით აღებული ობიექტების გამოყენება და მოვლა

1. მოიჯარე ვალდებულია გამოიყენოს სასოფლო-სამეურნეო მიწა, მრავალწლიანი ნარგავები და იჯარის სხვა ობიექტები მათი დანიშნულებისა და ხელშეკრულების შესაბამისად, მოუაროს იჯარით აღებულ ობიექტებს. მოიჯარე, იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად, დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავის საქმიანობის მიმართულებებს და განკარგავს თავის წარმოებულ პროდუქციასა და მიღებულ შემოსავალს.

2. მეიჯარე უფლებამოსილია თავისი ხარჯით შეაკეთოს იჯარით გაცემული შენობა-ნაგებობები, მოწყობილობა-დანადგარები და სხვა მატერიალური საშუალებები, თუ მოქმედი კანონმდებლობით ან იჯარის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მეიჯარის ვალდებულება, შეაკეთოს იჯარის ობიექტები აისახება იჯარის ხელშეკრულებაში. მოიჯარეს უფლება აქვს განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან მეიჯარესთან შეთანხმებული აუცილებელი შეკეთება და მოითხოვოს მეიჯარისაგან საამისოდ გაწეული ხარჯების ანაზღაურება ან დაფაროს იჯარის ქირის ხარჯზე.

3. მეიჯარეს უფლება აქვს დაათვალიეროს იჯარით გაცემული ობიექტი, რაც წინასწარ უნდა შეატყობინოს მოიჯარეს.

4. მეიჯარის თანხმობით მოიჯარეს უფლება აქვს თავისი უფლებამოსილება იჯარის ვადით გადასცეს მეუღლეს ან სრულწლოვან შვილს.

5. საიჯარო მიწის ნაყოფიერი ფენის, აგრეთვე, გზების, თხრილების, საირიგაციო არხების და ღობეების სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოსაყენებლად უვარგის მდგომარეობამდე (თუ ეს სტიქიის შედეგი არ არის) მიყვანის შემთხვევაში მოიჯარე ვალდებულია ხელშეკრულების ვადის დამთავრებამდე საკუთარი სახსრებით გამოასწოროს დაზიანება ან აუნაზღაუროს მეიჯარეს ზარალი.

მუხლი 9. საკუთრება იჯარის ობიექტებზე

1. იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთი რჩება მეიჯარის საკუთრებად.

2. იჯარის ობიექტის გამოყენებით შექმნილი პროდუქცია და შემოსავალი, აგრეთვე ამ შემოსავლით შეძენილი ქონება ეკუთვნის მოიჯარეს, თუ იჯარის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

3. სათანადო ხარჯთაღრიცხვის მეიჯარესთან შეთანხმების შემდგომ საიჯარო ნაკვეთზე მოიჯარის გაშენებული მრავალწლიანი ნარგავები, აგრეთვე, მოიჯარის აშენებული შენობა-ნაგებობები ეკუთვნის მეიჯარეს, თუ იჯარის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მოიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს ამ მრავალწლიანი ნარგავების და შენობა-ნაგებობების ნარჩენი ღირებულების ანაზღაურება.

საიჯარო ნაკვეთებზე მეიჯარესთან შეუთანხმებლად მოიჯარის გაშენებული მრავალწლიანი ნარგაობა და მოიჯარის აშენებული შენობა-ნაგებობები ეკუთვნის მეიჯარეს.

4. მოიჯარის საკუთრებაა მისი სახსრებით გაკეთებული ყველა გაუმჯობესება, რომელთა გამოყოფა შესაძლებელია იჯარით აღებული ობიექტების დაუზიანებლად. თუ მოიჯარემ მეიჯარესთან შეთანხმებით საკუთარი სახსრებით მოახდინა ისეთი გაუმჯობესება, რომელთა გამოყოფა იჯარით აღებული ობიექტების დაუზიანებლად შეუძლებელია, მეიჯარე ვალდებულია ხელშეკრულების ვადის დამთავრების შემდეგ მოიჯარეს აუნაზღაუროს განუყოფელ გაუმჯობესებათა ღირებულება, ხოლო იმ განუყოფელი გაუმჯობესების ღირებულება, რომელიც მოიჯარემ მეიჯარის უნებართვოდ მოახდინა, არ ანაზღაურდება.

მუხლი 10. იჯარის /ობიექტის გამოსყიდვა

1. მიწის გარდა იჯარის სხვა ობიექტების სრული ან ნაწილობრივი გამოსყიდვის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული აკრძალვა აისახება იჯარის ხელშეკრულებაში.

2. სასოფლო-სამეურნეო იჯარის სხვა ობიექტების გაყიდვის შემთხვევაში მოიჯარეს გააჩნია შესყიდვის უპირატესი უფლება: მოიჯარე ფიზიკურ პირს შეუძლია ეს უფლება გადასცეს სრულწლოვან შვილებს და მეუღლეს. შესყიდვის უპირატესი უფლება არ მოქმედებს, თუ იჯარის ობიექტების გასხვისება ხდება მეიჯარის შვილებზე და მეუღლეზე ან ადგილი აქვს მათ იძულებით გასხვისებას სახელმწიფო და საზოგადოებრივი მიზნებისათვის.

მუხლი 11. იჯარის ხელშეკრულების განახლება, შეცვლა, შეწყვეტა და გაუქმება

1. იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მხარეებს უფლება აქვთ გააგრძელონ მისი მოქმედების ვადა.

ხელშეკრულების განახლებისას მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულების პირობები.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შეიძლება შეიცვალოს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, მოქმედი კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

2. თუ ვადის გასვლის შემდეგ არც ერთ მხარეს არ შეუტანია ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეცვლის განცხადება, იგი ითვლება გაგრძელებულად იმავე ვადით და იმავე პირობებით. იჯარის ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება, თუ საიჯარო მიწის ნაკვეთი ან სასოფლო მეურნეობა გამოსაყენებლად უვარგისი აღმოჩნდა. იჯარის ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ საიჯარო ნაკვეთი არსებული წესის შესაბამისად ამოღებული და გადაცემულია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, ასევე, თუ მეიჯარემ საიჯარო ნაკვეთის ფარგლებში დაიწყო წიაღით უნებართვო სარგებლობა ან აღმოჩნდა სასარგებლო წიაღისეულის მნიშვნელოვანი მარაგი, იშვიათი (უნიკალური) არქეოლოგიური ძეგლი.

3. იჯარის ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებით შეიძლება ვადამდე გაუქმდეს. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით იჯარის ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება დასაშვებია მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

თუ მოიჯარე გაკოტრდა, მისი ქონების გამყიდველი პირი ვალდებულია წინასწარ მოითხოვოს იჯარის ხელშეკრულების გაუქმება.

მეიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს იჯარის ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება, თუ მოიჯარე:

ა) დანიშნულებისამებრ არ იყენებს იჯარის ობიექტებს და არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

ბ) განზრახ ან დაუდევრობით აუარესებს იჯარის ობიექტების მდგომარეობას;

გ) არ იხდის იჯარის ქირას ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლიდან სამი თვის განმავლობაში; თუ იჯარის ქირის გადახდის ვადა ხელშეკრულებით დადგენილი არ არის, მაშინ იჯარის ქირის გადახდის ვადად ითვლება სამეურნეო წლის ბოლო;

დ) არ შეაკეთებს იჯარის ობიექტებს, როდესაც ეს იჯარის ხელშეკრულებით ევალება;

მოიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება, თუ

ა) მეიჯარე არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობას იჯარის ობიექტების შეკეთების, მატერიალური რესურსებით ან მომსახურებით მოიჯარის უზრუნველყოფის მხრივ;

ბ) საიჯარო მიწის ნაკვეთი და იჯარის სხვა ობიექტები გამოუსადეგარი გახდება იმ გარემოებათა გამო, რისთვისაც მოიჯარეს პასუხისმგებლობა არ ეკისრება;

გ) მოიჯარის დაინვალიდების, არაქმედუნარიანად ცნობის ან იმ შემთხვევაში, როდესაც მას ჩადენილი დანაშაულისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ან სხვა სასჯელი, რომლის გამოც, შეუძლებელია იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება. ამ შემთხვევაში იჯარის ახალი ხელშეკრულების დადების ან პირობების შეუცვლელად ხელშეკრულების გაგრძელების უპირატესი უფლება აქვთ მოიჯარესთან ერთად მცხოვრებ ან მომუშავე ოჯახის წევრებს.

იჯარის ხელშეკრულების განახლება, შეცვლა, შეწყვეტა და გაუქმება, ხდება წერილობით.

4. მეიჯარე, რომელსაც სურს საიჯარო მიწა და იჯარის სხვა ობიექტები იჯარის ვადის გასვლამდე გადასცეს სხვა პირს, ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს მოიჯარეს ერთი წლით ადრე ან ხელშეკრულების მხარეებს შორის შეთანხმებულ ვადაში.

ამ პუნქტში აღნიშნული ცვლილებები შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ აუცილებელი პირობით, თუ მოიჯარე თანახმაა და მხარეები მოახდენენ საბოლოო ანგარიშსწორებას ერთმანეთთან.

5. არსებული წესით საიჯარო ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გადაცემის ან სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მისი იძულებითი განსხვისებისას მოიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის გამო მისთვის მიყენებული ზარალის კომპენსაცია.

მუხლი 12. იჯარის ხელშეკრულების მოქმედება მესაკუთრის შეცვლის და მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში

1. მიწის გარდა იჯარის სხვა ობიექტების საკუთრების უფლების გადასვლა მეიჯარისაგან სხვა პირზე, ასევე მიწის მესაკუთრე ფიზიკური პირის ან მიწის იჯარით გაცემის უფლებამოსილი პირის შეცვლა არ არის იჯარის ხელშეკრულების პირობების შეცვლის ან მისი გაუქმების საფუძველი.

მესაკუთრის მიერ უფლებამოსილი მეიჯარე იურიდიული პირის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, მისი უფლებები და მოვალეობები გადადის მის უფლებამონაცვლეზე, თუ მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები გადადის მის მემკვიდრეზე, თუ იგი თანახმაა გახდეს მოიჯარე და ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მეიჯარეს უფლება არა აქვს უარი უთხრას ასეთ პირს ხელშეკრულების მოქმედების დარჩენილ ვადაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების გადაცემაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულების დადება განპირობებული იყო მოიჯარის პირადი თვისებებით და ეს ასახულია იჯარის ხელშეკრულებაში.

მუხლი 13. უპირატესობა და შეზღუდვა სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით აღების დროს

1. სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო მიწების საიჯარო სარგებლობაში მისაღებად კონკურსში თანაბარი პირობების შემთხვევაში უპირატესობა აქვთ:

ა) სოფლის, რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ან ფიზიკურ პირებს, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით, ნებადართული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნის მიზნით;

ბ) მიწის იჯარის ხელშეკრულების იმ პროექტს, რომლითაც გათვალისწინებულია სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მიღწევა ან კულტურული ფლორის ადგილობრივი (ეროვნული) გენოფონდის შენარჩუნება, წარმოების მოწინავე ტექნოლოგიის გამოყენება, მიწის გაუმჯობესება, დანაწევრებული ნაკვეთების გამასივება, აგროტექნიკურ ღონისძიებათა ეფექტიანი განხორციელების ხელსაყრელი პირობების შექმნა;

გ) იჯარით გასაცემი მიწებით მოსარგებლე კოოპერატიულ ან სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ან არასასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულების კოლექტივებს, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით, ნებადართული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნის მიზნით;

დ) სტიქიური მოვლენებისა და სხვა მიზეზით კომპაქტურად ჩასახლებულ პირთა კომლს.

2. საიჯარო მიწის ნაკვეთზე განთავსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობების იჯარით გაცემისას უპირატესი უფლება ენიჭებათ მიწით მოსარგებლეს და მოიჯარეს.

3. მიწის იჯარით გაცემისას აკრძალულია ფართობის ყოველგვარი დანაწილება, რაც შეაფერხებს მექანიზაციის რაციონალურად გამოყენებას და აგროტექნიკურ ღონისძიებათა ეფექტიან განხორციელებას.

4. სასარგებლო წიაღისეულის და დაცული ტერიტორიების, იშვიათი და უნიკალური არქეოლოგიური და ისტორიული ძეგლების გავრცელების საზღვრებში მიწა იჯარით გაიცემა მხოლოდ შესაბამისად გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს თანხმობით.

მუხლი 14. მეიჯარისათვის იჯარის ობიექტების დაბრუნება

იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოიჯარე ვალდებულია მეიჯარეს იჯარის ობიექტები დაუბრუნოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში.

მიწის და იჯარის სხვა ობიექტებისათვის მიყენებული ზარალი მოიჯარემ მეიჯარეს უნდა აუნაზღაუროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თუ მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ არ დააბრუნებს იჯარით აღებულ ობიექტებს, მაშინ მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს დათქმული საიჯარო ქირის გადახდა საიჯარო ობიექტების დაბრუნების დაყოვნებისათვის, აგრეთვე, სარგებელი, რომელიც, მოიჯარემ მიიღო ამ ხნის განმავლობაში ან რომელსაც იგი მიიღებდა მთელი საიჯარო წლის განმავლობაში. მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს სხვა ზარალის ანაზღაურებაც.

მუხლი 15. იჯარის პერიოდში წამოჭრილი სადავო საკითხების განხილვა

იჯარის პერიოდში მეიჯარესა და მოიჯარეს შორის ხელშეკრულების პირობების შესრულების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ წამოჭრილ სადავო საკითხებს განიხილავს და წყვეტს სასამართლო.

მუხლი 16. მოიჯარის ქონებრივ უფლებათა დაცვა

მოიჯარის უფლებებს იჯარით აღებულ ობიექტებზე იცავს კანონი. საიჯარო ურთიერთობის პერიოდში იჯარის ობიექტებს დაზიანებით წარმოშობილ ზარალს მხარეები ანაზღაურებენ იჯარის ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1996 წლის 28 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელმწიფო საქმიანობის სამი ყველაზე მთავარი საზრუნავია—სამშობლოს უშიშროება, სამშობლოს კეთილდღეობა და სამშობლოს სახელი

ჩვენ შევქმნით ძლიერ, მაღალპროფესიულ ქართულ სპეცსამსახურს

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის შოთა კვირაიას მოხსენება მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე 1996 წლის 19 ივლისს

სამსახური, რომლის მოვალეობაა სახელმწიფოს კონ- ტიტუციის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანო- ის უზრუნველყოფა, დაკომპლექტებული უნდა იყოს მა- ალი ზნეობრივი და პროფესიული თვისებებით აღჭურ- ილი კადრებით.

ყველასათვის ცნობილია, თუ რა მძიმე მემკვიდრეობა აიღო სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ. ჩემს ინა მოხსენებაში ხაზგასმით ითქვა სამინისტროს თა- მშრომელთა ერთი ნაწილის ანტისახელმწიფოებრივი ქმიანობის შესახებ, რომელსაც სათავეში ედგა მისი ფილი ხელმძღვანელი იგორ გიორგაძე. მაშინ ჯერ კი- სრულად არ იყო გამოაშკარავებული მათი ბინძური ქმიანობა, თუ ვის და რას ემსახურებოდნენ ისინი. ისა და პრეზიდენტის ღალატი, სამხედრო გადატრია- მზადება, რუსეთის რეაქციული ძალებისათვის არმის მომზადება, მოსახლეობის დაშინება ტერო- პირადი განდიდების მანია და მომხვეჭელობა იყო ცხოვრების ძირითადი წესი.

ჩვენს მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე, ცნო- რი პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიაში „ორმაგი აგენტის დასასრული" — თვალნათლივ აისა- გიორგაძის მრავალსახეობა.

უცხო სპეცსამსახურების აგენტი, სამინისტროს საკა- პოლიტიკისათვის მიუღებელი პრინციპებით აკომპ- ბდა პირად შემადგენლობას საეჭვო რეპუტაციის პირებით და მათზე დაყრდნობით ამკვიდრებდა ანამოაზრეების ცხოვრების წესს. ახლა, ალბათ, დადგა ამი, რუსეთის სპეცსამსახურები გაერკვნენ, თუ ვინ საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს იგორ რგაძეს, რა ძალები აფინანსებენ მას, ვინ დგას უკან. არ არის გამორიცხული, რომ ამ ბნელმა რეა- მა ძალებმა თვით რუსეთის პრეზიდენტზე მიიტა- იერიში.

დასტურებულია, რომ ი. გიორგაძის თანამოაზრე, რსულში შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო შემდგო- მისი მოადგილე — თემურ ხაჩიშვილი უცხო ქვეყნის სამსახურის აგენტი იყო. მისი პიროვნების ღრმა ვლამ საშუალება მოგვცა გვემხილებინა „მხედრიონ- ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, წარსულში რამდენჯერ- ნასამართლევი, იმავე სამსახურის აგენტი — თემურ სხულია.

1991 წელს მორიგი დანაშაულის ჩადენისათვის თ. მა- ულია დაპატიმრებული იყო. ცხადია, უცხო სპეცსამსა- ის საქმიანობის იმ უბანზე, რომელსაც მასხულია უზ- ველყოფდა, ეს კი ფრიად მნიშვნელოვანი უბანი იყო, უმი შეიქმნა. ამიტომ საჭირო გახდა ისეთი პიროვ- მოძებნა, რომელიც თავისი მორალურ-ფსიქოლოგი- თვისებებით, დააკმაყოფილებდა მის მოთხოვნებს შეძლებდა მასხულიას საქმიანობის ეფექტურად გაგრ- ბას. საკანში მყოფ მასხულიას აზრად მოუვიდა, მის მაგივრობას წარმატებით გასწევდა მისი ყო- ლი მძღოლი თემურ ხაჩიშვილი. როგორც დრომ გვი- ნა, მასხულიას და მისი ხელმძღვანელობის არჩევანი ზუსტი აღმოჩნდა.

ქვეყანაში ქაოსისა და დესტაბილიზაციის გასაღვივე- უცხო სპეცსამსახურები და მისი აგენტურა ყო- რად უწყობდნენ ხელს „მხედრიონის" გაძლიერე- მის რიგებში მოკალათებული კრიმინალური ელემენ- ის აღზევებას. მაშინ, როდესაც შინაგან საქმეთა სა- სტრომ და მისმა ხელმძღვანელობამ ბრძოლა გამოუცხ- კრიმინალებს, შეუდგნენ მათი კანონსაწინააღმდე- საქმიანობის აღკვეთას და დაიწყეს პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება, — დღის წესრიგში და- ა ამ პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო მოღვაწეების იკური ლიკვიდირება, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მოკრატიული გარდაქმნების განხორციელებას. ამ მხრივ რისტული საქმიანობის № 1 ობიექტად შეირჩა ელმწიფოს მეთაური.

იმის მიუხედავად, რომ უშიშროების სამსახური გადა- ების გზაზე იდგა, სახელმწიფოს მეთაურის მიმართ რისტული აქტის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო გახდა ისეთი დანაყოფის უვნებელყოფა, რომელიც იყო ტერორიზმთან ბრძოლის ცენტრი.

სწორედ ამ მიზნით ტერორიზმთან მებრძოლი ცენტ- უფროსად დაინიშნა პოლკოვნიკი ელდარ გოგოლაძე. მოადგილედ — ვიცე-პოლკოვნიკი გელა სულაძე. „ალ- "-სა და „ომეგა"-ს მეთაურებად კი პაპუაშვილი და ზერელი, რომლებიც ტერორისტული აქტის უშუალო მო- ლეებად მოგვევლინენ.

როგორც დგინდება, გ. სულაძემ მასხულიასგან დაწვ- ით იცოდა 29 აგვისტოს მოსალოდნელი ტერორი- აქტის შესახებ, რაც მან სიტყვიერად მოახსენა გოგოლაძეს, ამ უკანასკნელმა კი არავითარი რეაგი- არ მოახდინა, თუმცა ვალდებული იყო ცენტრალური ის აღსაკვეთად განეხორციელებინა სათანადო ღონისძიება.

ზუსტად ასრულებდა რა ი. გიორგაძის დავალებებს, ველთა ნაკრების წევრებთან ანგარიშსწორების ით, მან სპეცდანაყოფ „ომეგა"-ს გამოყენებით გა- იელა „მხედრიონის" ხელმძღვანელობის შეკვეთა. კერძოდ, „ომეგა"-ს მეთაურმა ნ. კვეზერელმა რაზმის წე- ს მიაწოდა ინფორმაცია, თითქოს მკლავჭიდელებმა მაყალიბეს დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც „გა- ვლინა" ე. გოგოლაძემ. ამის შედეგად, 1994 წლის 8 ოქტომბერს, თავისი მოქმედების კანონიერებაში და- ებულმა „ომეგა"-ს წევრებმა, დააკავეს მკლავჭი- ნაკრების წევრები: ლერი სალღიანი, მსოფლიოს ჩემპიონი, ჯიმი მერაბიშვილი და ბესიკ ციხი- ილი. მკლავჭიდელთა ნაკრების წევრთა პიროვნებებზე "-ს მებრძოლებს მიუთითებდა ი. გიორგაძის მი- სპეციალურად მოვლინებული „მეკავშირე", მაშველთა ის ხელმძღვანელი — გიგა გელაშვილი. მხედრიონ- ხელმძღვანელებზე გადაცემის შედეგად ჯ. მერაბი- და ბ. ციხიშვილი გარდაიცვალნენ, გ. სულაძე, ზერელი, გ. პაპუაშვილი, ე. გოგოლაძე და სხვები ატიმრებული არიან. გამოძიება გრძელდება.

სახელმწიფოს მეთაურის მიმართ უშედეგო ტერორმა დააბნია მასხულია და მისი თანამზრახველები. მათ თავიანთ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში გააძლი- ისეთი მექანიზმის გამოყენება, რომელიც იდეოლო- დივერსიის სახელით არის ცნობილი. აღნიშნული მექანიზმის ძირითადი ამოცანა იყო კომუნისტური წყო- ების რესტავრაციის პროპაგანდა საზოგადოებაში მიმდინარე მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების საფუძველზე. ამის ნათელი დადასტურებაა უცხო სპეც- სამსახურებთან დაახლოებული პირის ვაჟა ხაჭაპურიძის პიროვნება, რომელიც წარსულში საქართველოში ეთნოკონ- ფლიქტების ერთ-ერთ ურთულეს რეგიონში — შიდა ქა- რთლში რწმუნებულის მოვალეობას ასრულებდა. ნერგავდა უცხო სპეცსამსახურთან ერთად შემუშავებულ კონფლიქ- მოგვარების კონცეფციას, რომელიც პრაქტიკულად გადაუჭრელს ტოვებდა ამ პრობლემას. ამას დღევანდე- ბა აშკარად ამტკიცებს. თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ ვაჟა ხაჭაპურიძე უკვე ღიად ეწეოდა ფართო აგიტაციას საქართველოს ერთიანი კომპარტიის სასარ- ებლოდ. ამჟამად იგი დაკავებულია. მის ბინაში აღმო- ნილია ბეჭდური პროკლამაციები, რომლებიც შეიცავენ ბული ხელისუფლების ძალადობის გზით დამხობის მო- ებს. მასვე აღმოაჩნდა 1994 წელს გაცემული ის ერთიანი კომპარტიის წევრის მოწმობა. გამო- იბით ირკვევა, რომ ხაჭაპურიძემ მიითვისა სახელმ- კუთვნილი ავტომანქანა „გაზ-31". დაკავებისას უპოვეს „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი, რომე- ფლობდა და ატარებდა უკანონოდ. ხაჭაპურიძემ, ქართლში მუშაობის პერიოდში თავისი პირადი და- საფარქვეშ შექმნა 20-კაციანი უკანონო შეიარა- ფორმირება, რომლის მიერაც არაერთი დანაშაუ- ჩადენილი.

აღსანიშნავია, რომ ვ. ხაჭაპურიძის დაკავების შემ- საქართველოს ხელისუფლების სახელზე მოვიდა რუ- ერთიანი კომპარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის შენინის წერილი. ამ წერილში იგი ამტკიცებს, რომ ხაჭაპურიძე უშიშროების სამინისტროს მხრივ განიცდი- უსამართლო დევნას და მოითხოვდა მის განთავისუ- ებას.

იმის მიუხედავად, რომ 29 აგვისტოს ტერაქტის შემ- თ. მასხულიას თანამზრახველთა დიდი ნაწილი დაა- ეს, იგი მაინც არ ყრიდა ფარ-ხმალს და სამინის- დარჩენილ მის წარმომადგენლებზე დაყრდნობით აგრძელებდა თავის საქმიანობას. კერძოდ, გამოვ- და დაკავებულია მასთან კავშირში მყოფი, სუს- ზვერვის სამმართველოს თანამშრომელი, ლეიტენან- ვილად ნეფარიძე, რომელიც აქტიურად ეხმარებოდა ულიას მისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებაში. ქმის გამოძიება გრძელდება.

აღსანიშნავია, რომ მასხულია აქტიურად მონაწილე- ნავთობპროდუქტების უკანონო ბიზნესში, რისთვი- ჩამოაყალიბა ფირმები: „მედუზა", „კდკ", „შილდი", ილდი", „რუსთაველი ჟღ" და „თემოენდეპროს" — ში.

ამ ფირმების საშუალებით მასხულია ცდილობდა რეს- კაში ნავთობპროდუქტებით ბიზნესის საქმეში ოლიის მოპოვებას. ამ საქმიანობის პროცესში მა- იამ და მისმა პარტნიორმა ერთ-ერთი უცხო ქვეყნის სამსახურის ყოფილმა თანამშრომელმა ოლეგ ნიკიტინმა (რომელიც გუშინ დავაკავეთ) მიითვისეს მლნ. 600 ათასი ამერიკული დოლარი. მასხულიას კომერციულ საქმიანობას მფარველობდა ი. გიორგაძე, რისთვისაც ყოველთვიურ გასამრჯელოდ 50 ათას დოლარს ღებულობდა. ამავე წარმომავლობისაა ის „ლინკოლნები", „კადილაკები", „დოჯ"-ები და „მერსედესები", რომლებიც გიორგაძემ შემდგომში მიითვისა.

განხორციელებული ოპერატიული ღონისძიებებით ასევე გამოვლენილია უცხო სპეცსამსახურის 6 თანამშრომელი, რომლებიც შენიღბულად აგრძელებდნენ მუშაობას ჩვენს სამინისტროში. ისინი განთავისუფლებულნი არიან. უცხო სპეცსამსახურის აგენტურა გამოვლენილია არამარტო ჩვენს რიგებში. — დღეისათვის დაფიქსირებულია ათობით ამგვარი პიროვნება, რომელთა მიმართ ხორციელდება სათანადო ოპერატიული ღონისძიებები.

ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობის შესუსტება ხდებოდა არამარტო ტერორითა და ცრუ იდეოლოგიით, არამედ ეკონომიკური დივერსიებითაც. ქვედანაყოფი, რომელსაც ხმა უნდა აღემაღლებინა ამ მანკიერების წინააღმდეგ, დაკომპლექტებული აღმოჩნდა უპრინციპო თანამშრომლებით. მიღებული ინფორმაციის რეაგირების გარეშე დატოვებით, რომელიც შეიძლება პირადი დაინტერესებით ყოფილიყო ნაკარნახევი, აღუკვეთავი რჩებოდა შესაძლო დანაშაული. უშიშროების ორგანოების ოფიცრისათვის შეუფერებელი საქციელისათვის ჩვენი სამსახურიდან გავათავისუფლეთ და სისტემიდან დავითხოვეთ ეკონომიკური კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი თემურ თევზაძე, მისი მოადგილე, ვიცე-პოლკოვნიკი თამაზ ღომთაძე და ოპერთანამშრომლები — მაიორი ვლადიმერ ციქიშვილი და უფროსი ლეიტენანტი ზაქარია ამირეჯიბი, ხოლო განყოფილების თანამშრომლები აყვანილნი არიან კადრების განკარგულებაში. ეს სამაგალითო უნდა იყოს სხვა უწყებებისა და სამინისტროებისათვის, რადგანაც ჩვენ უყურადღებოდ არ დავტოვებთ ანალოგიურ ფაქტებს და ყველა ღონეს ვიხმართ მათი აღკვეთისათვის.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი რიგებიდან საანგარიშო პერიოდში დათხოვნილია 87 ოფიცერი, მათგან 34 — სამსახურებრივი შეუფერებლობით.

საკადრო პოლიტიკაში გატარებულმა თვითწმენდის პროცესმა, რომელიც ახლაც გრძელდება, საშუალება მოგვცა ჩვენი რიგები შეგვევსო გამოცდილი, მოაზროვნე თანამშრომლებით. შედეგიც არ აყოვნებს. სწორედ ამ მიმართულებით წარმართავს თავის საქმიანობას კონტრდაზვერვის სამმართველო და მისი დანაყოფები.

ქვეყნის საწინააღმდეგოდ მიმართული სადაზვერვო-ძირგამომთხრელი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ელემენტს სეპარატიზმის გაღვივება და რელიგიურ ფაქტორზე დაყრდნობილი იდეოლოგიური დივერსია წარმოადგენს.

სეპარატისტული ტენდენციები დემოგრაფიული თვალსაზრისით გამოვლენილია ისეთ რთულ რეგიონში, როგორიცაა სამცხე-ჯავახეთი. ცხოვრებაში მათ გამტარებლად გვევლინებიან ანტიქართული მიმართულების, ჩვენთვის ცნობილი არარეგისტრირებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები.

აღსანიშნავია, რომ პრობლემის სერიოზულობიდან გამომდინარე, ისევ რეგიონის მოსახლეობის პოზიტიურად განწყობილ ნაწილზე დაყრდნობით, ჩვენ ვახორციელებთ კომპლექსურ ღონისძიებებს მისი ლოკალიზებისა და დადებითად გადაჭრისათვის. გატარებულმა პოლიტიკამ ამ რეგიონში საშუალება მოგვცა განგვემუხტა მოსახლეობაში არსებული დაძაბულობა, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ხელოვნურად ჰქონდა შექმნილი წანამძღვრები.

გვინდა განვაცხადოთ, რომ ქართველი და სომეხი ხალხების ძმობასა და კეთილმეზობლობას ისტორიული საფუძველი აქვს, და მას ვერას დააკლებს ერთი მუჭა სეპარატისტების მცდელობა, რომლებიც თავიანთ კარიერისტულ მიზნებს პოლიტიკური ლოზუნგების უკან მალავენ.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისა და არსებული დაძაბულობის განმუხტვისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სომხეთისა და საქართველოს პრეზიდენტების ვიზიტს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მხოლოდ ჩვენი და სამხარეო ადმინისტრაციის ძალისხმევა საკმარისი არ იქნება რეგიონში არსებული ვითარების სრული სტაბილიზაციისათვის. ამ საქმეში აქტიურად უნდა ჩაებან რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელობა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ სამცხე-ჯავახეთის პრობლემის მოგვარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ჩვენი თანამშრომლობა და პირდაპირი დიალოგი სომეხ კოლეგებთან, ჩვენი მეგობრული კავშირები სომხეთის შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და უშიშროების მინისტრებთან.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კვლავ აქტუალურია ე. წ. „თურქი-მესხების" შესაძლო დაბრუნების საკითხი. იმის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტმა ახლახან შექმნა „თურქი-მესხების" პრობლემის შემსწავლელი სახელმწიფო კომისია, საჭიროა ყველა განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდოს ამ უაღრესად ფაქიზ საკითხს. არავინ არ უნდა წამოეგოს აღნიშნული პრობლემით სპეკულირების მსურველთა ანკესზე. მით უმეტეს, რომ „თურქი-მესხების" კოზირის გამოყენებას საქართველოსთან მიმართებაში უახლოეს პერიოდში შეეცდება ყველა დაინტერესებული მხარე, რომელსაც სასიცოცხლო სტრატეგიული ინტერესები აქვს კავკასიაში.

ამასთან დაკავშირებით, ჩატარებულია სამუშაოთა მთელი კომპლექსი, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ოპერატიული ღონისძიებებით და მოიცავს ცხოვრების ყველა სფეროს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ბრძოლა ეკონომიკის სფეროში განხორციელებულ დივერსიებთან. გამოვლენილია ზესტაფონის სააქციო საზოგადოება „ფერო"-დან პირთა ჯგუფის მიერ პირადი გამორჩენის მიზნით, ათეულ-ათასობით ტონა სილიკომანგანუმის გატანის ფაქტები. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

გამოვლენილი და აღკვეთილია „რუსოილი"-სა და ქუთაისის „სახალხო ნავთობათა რეწვის საზოგადოების" სახელით 10 ათასი ტონა საწვავის კონტრაბანდის ფაქტი.

ასევე გამოვლენილი და აღკვეთილია საბანკო სისტემაში რესპუბლიკაში პირველივე კომპიუტერული თაღლითობის შემთხვევა, რომლის შედეგადაც მითვისებული იყო 50 ათასი დოლარი.

რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების გეგმების რეალიზების პროცესში უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის სამმართველომ განვლილ პერიოდში არაერთი დარღვევის ფაქტი გამოავლინა. მაგალითად, კომპანია „მედსერვისში" გამოვლინდა მთელი რიგი დარღვევები, რის შედეგადაც კომპანიას დაეკისრა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება, რომელიც სოლიდურ თანხას შეადგენს. ამ ფაქტებზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები.

ქვეყნის შეიარაღებული ძალების აღმშენებლობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამხედრო კონტრდაზვერვის მუშაობას, მისი ძირითადი მოვალეობაა თავდაცვისა და სხვა ძალოვანი სტრუქტურების სამხედრო ქვედანაყოფების კონტრდაზვერვითი უზრუნველყოფა. ტრადიციულად მისი ადგილი სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში იყო და ამჟამადაც ასეა. სამხედრო კ/დ სამმართველოს მიერ გამოვლენილია სასაზღვრო ჯარების „ლილოს" სასწავლო ცენტრიდან იარაღისა და საბრძოლო მასალების დიდი რაოდენობით დატაცების ფაქტი. გატარებული ოპერატიული ღონისძიებებით ამოღებულია დატაცებული 12 ერთეული კალაშნიკოვის ავტომატი, მაკაროვის პისტოლეტები, ხელყუმბარები, ე. წ. ელექტროშოკები, ტყვია-წამალი. დაკავებულია სასაზღვრო ჯარების 6 სამხედრო მოსამსახურე.

გარდა ამისა, სამხედრო კონტრდაზვერვის სამმართველოს მიერ თავდაცვის სამინისტროს პერიოდულად მიეწოდება ინფორმაცია რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებულ სამხედრო ნაწილებში არსებულ მორალურ-ფსიქოლოგიურ ვითარებაზე, ფეთქებადი ნივთიერებების შენახვის მდგომარეობაზე, სამხედრო კომისარიატებში არსებულ სიტუაციაზე და სხვა. სწორედ ჩვენი ინფორმაციების უყურადღებოდ დატოვებამ გამოიწვია სოფელ ოსიაურში დისლოცირებულ ნაწილში 300 საარტილერიო ჭურვის აფეთქება, რესპუბლიკის კომისარიატში ნეგატიური ფაქტების გამოვლენა და სხვა.

ასეთ პირობებში გაკვირვებას იწვევს თავდაცვის სამინისტროს ზოგიერთი ხელმძღვანელის დამოკიდებულება სამხედრო კონტრდაზვერვის სამმართველოს თანამშრომელთა მიმართ, რომელიც ხელშეწყობის ნაცვლად მაქსიმალურად ზღუდავს მათ მოქმედებას თავის ობიექტებზე. ეს მაშინ, როცა იქ არსებული განუკითხაობის ფონზე საიუველირო მაღაზიის ძარცვის ფაქტზე დააკავეს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები.

ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო ისეთ რთულ სტრუქტურას, როგორიცაა დაზვერვა. მისი როლი ნებისმიერი სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში კომენტარებს არ საჭიროებს. საქართველოს დაზვერვა დღესდღეობით ვერ უპასუხებს მის წინაშე მდგომ ამოცანებს. მართალია უშიშროების სამინისტროს აკადემიაში უკვე შევქმენით მზვერავთა მომზადების ცენტრი, მაგრამ კვლავ ძალზე სუსტია სადაზვერვო საქმიანობის უზრუნველმყოფელი მატერიალური ბაზა. ამ საკითხის გადაჭრაში, როგორც ყოველთვის პრეზიდენტის იმედი გვაქვს.

დღესდღეობით უშიშროების სამინისტროში მკაცრად არის განსაზღვრული მუშაობის პრიორიტეტული მიმართულებები.

პირველი რიგის ამოცანათა შორის უმთავრეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ტერორიზმთან, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, კორუფციასთან და საერთაშორისო ნარკობიზნესთან ბრძოლას, რისთვისაც თავიდან შევქმენით შესაბამისი სამსახური. თავიდან იმიტომ, რომ ყოფილი ხელმძღვანელობის პირობებში ეს დანაყოფი თვით წარმოადგენდა ტერორისტული აქტების დაგეგმვისა და განხორციელების კერას. ამჟამად ტერორიზმთან ბრძოლის ბიურო დაკომპლექტებულია შესაბამისი კადრებით და კონკრეტული შედეგების მისაღწევად მიმდინარეობს მუშაობა.

ტერორიზმისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის გაფართოებამ აიძულა მთელი რიგი ქვეყნების სპეცსამსახურები გადასულიყვნენ ორგანიზებული დამნაშავეობის ამ ფორმებთან კოლექტიური ბრძოლის მეთოდებზე, ამ მხრივ საქართველოს სუს-ი მჭიდროდ თანამშრომლობს შავი ზღვის აუზის ქვეყნების სპეცსამსახურებთან, საერთაშორისო ნარკობიზნესის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში. არის შავი ზღვის აუზის ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ცენტრის აქტიური წევრი.

პრობლემის სერიოზულობას და მისდამი ხელისუფლების დამოკიდებულებას ადასტურებს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის მიღება.

წლეულს აპრილში ანკარაში გამართულ კონფერენციაზე ქართული მხარე ბატონი ე. შევარდნაძის ინიციატივით გამოვიდა წინადადებით — განვითარდეს ანალოგიური თანამშრომლობა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებშიც, რასაც ჩვენი პარტნიორები დიდი ყურადღებითა და გაგებით შეხვდნენ. ამ საკითხებს მიეძღვნება ა. წ. სექტემბერში ანკარაში დაგეგმილი სპეციალური თათბირი.

ვითარდება თანამშრომლობა **დსთ** წევრი ქვეყნების სპეცსამსახურებს შორისაც. აპრილში დაიდო ხელშეკრულება თანამეგობრობის მასშტაბით ოპერატიულ მონაცემთა ბანკის შესაქმნელად.

ნარკოტიკების ბრუნვის შესახებ ჩვენს მიერ მოპოვებული ოპერატიული მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველო, მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო, საერთაშორისო ნარკომაფიის მიერ განიხილება როგორც აზიიდან, განსაკუთრებით კი ე. წ. ოქროს ნახევარმთვარის ქვეყნებიდან, ევროპასა და აშშ-ში ნარკოტიკების გადაზიდვის ერთ-ერთ მოკლე და ხელსაყრელ სატრანზიტო გზად.

კრიმინოგენული ვითარების ერთგვარი სტაბილიზაციის მიუხედავად, იგი კვლავ ინარჩუნებს შესაძლო გართულების ელემენტებს.

იკლო განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა რაოდენობამ. შეიარაღებული ფორმირებების, „საძმოების" და ბანდების თარეში შესუსტდა, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების ანალიზი ნათლად მეტყველებს, რომ დამნაშავეთა სამყაროს ძირითადმა ნაწილმა იატაკქვეშეთში გადაინაცვლა. დაფიქსირებულია მათ მიერ ლეგალურ ბიზნესში თანხების დაბანდების ტენდენცია როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ეკონომიკაში. ბოროტმოქმედთა ნაწილმა, მათ შორის „მხედრიონის" ყოფილმა წევრებმა დატოვეს ქვეყნის ფარგლები და თავიანთ სათარეშო ასპარეზად გაიხადეს პოლონეთი, რუმინეთი, გერმანია, თურქეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, რუსეთი, ავსტრია (რეკეტი, ხალხისა და ავტომანქანების გატაცება, თაღლითობა, ნარკოტიკებით ვაჭრობა და კონტრაბანდა). ამჟამად ისინი იქიდან აკონტროლებენ მათ მიერ აქ დატოვებული მაფიური კლანების საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ ქართველი კრიმინალების საქმიანობამ ხსენებულ ქვეყნებში თავისებური „შედეგი" გამოიღო. ბოლო ხანებში საზღვარგარეთ მოკლულია შავი სამყაროს 16 ქართველი „ავტორიტეტი". მათ შორის უკანასკნელი იყო ავიაკომპანია „ორბი"-ს ერთ-ერთი მფლობელი — დავით სანიკიძე, რომელიც ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მოკლეს.

არსებული ოპერატიული მასალებით ირკვევა, რომ დღეს სწორედ ეს „უცხოელი" ქართველები გვევლინებიან რესპუბლიკაში საეჭვო წარმოშობისა და ხარისხის კონტრაბანდული პროდუქციის შემომტანებად.

მარტში აღიკვეთა ფირმების „ვავ-ჩაი ინტერნეიშენელ" და „მაო"-ს მიერ დაგეგმილი კონტრაბანდული ოპერაციები, რომლითაც საქართველოში უნდა შემოეტანათ დაბალი ხარისხის სპირტიანი სასმელების დიდი პარტია. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. დაკავებულია კომპანია „მაო"-ს პრეზიდენტი მ. ლდონტი. ამოღებულია უცხოური მარკის ავტომანქანები და ნარკოტიკები. გადაკეტილია კონტრაბანდული ტვირთების შემოტანის რამდენიმე არხი, რის შედეგადაც ფოთში ამოღებულია კონტრაბანდული წესით შემოტანილი ბენზინის სახდელი ქარხანა.

ჩამოთვლილ დანაშაულობებთან ბრძოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა და რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში სათანადო ცვლილებების შეტანა.

ზემოთ ჩამოთვლილ საქმეებს იძიებს საგამოძიებო სამმართველო, რომელსაც როგორც ყველა დანაყოფს, უშუალოდ შეეხო რეორგანიზაციის პროცესი. ხელმძღვანელობა შეიცვალა, შეივსო და დაკომპლექტდა სამმართველოს ძირითადი განყოფილებები. არის პრობლემაც — პირადი შემადგენლობის 70 პროცენტი ახალგაზრდა, ნაკლებ გამოცდილების მქონე თანამშრომლებია. თუმცა ეს მათ ხელს არ უშლით წარმოებაში ამჟამად არსებული სერიოზული საქმეების გამოძიებაში.

გარკვეული მუშაობაა ჩატარებული პერიფერიებში არსებული რაიონული აპარატების ასამოქმედებლად.

სამინისტროს საქმიანობის წინა ეტაპზე სერიოზული ნაკლოვანებებია გამოვლენილი ტერიტორიული ორგანოების, რაიონული და საქალაქო განყოფილებების საქმიანობაში.

პრეზიდენტის დავალების თანახმად საზღვრისპირა რაიგანყოფილებების გასაძლიერებლად შევიმუშავეთ სპეციალურ ღონისძიებათა კომპლექსი. კერძოდ, დაინერგა რაიონებიდან ცენტრში ოპერატიული ინფორმაციის მიწოდებისა და ანალიზის სისტემა, რომელმაც მნიშვნელოვნად გაგვიადვილა თითოეული ტერიტორიული ორგანოს საქმიანობის კონტროლი. იმ რეგიონებში, რომლებიც ესაზღვრებიან ეთნოკონფლიქტურ ზონებს, არსებული რთული ოპერატიული ვითარების გათვალისწინებითა და მართვის ცენტრალიზაციის მიზნით შექმნილია სამინისტროს რეგიონალური სტრუქტურები, რის შედეგადაც განმტკიცდა კავშირი ადგილობრივ მოსახლეობასა და ადმინისტრაციასთან. ამან, საბოლოო ჯამში, ოპერატიული ვითარების გარკვეული სტაბილიზაცია გამოიწვია.

განვლილ პერიოდში ტერიტორიული ორგანოების მიერ აგენტურულ-ოპერატიული მუშაობის გააქტიურებით გამოვლენილი და აღკვეთილია ყვარლის რაიონიდან დაღესტანში დიდი რაოდენობით ალკოჰოლიანი სასმელების კონტრაბანდის ფაქტი, ლაგოდეხის რაიონში ამოღებულია „მხედრიონელთა" მიერ გადამალული დიდძალი საბრძოლო მასალები, სამცხე-ჯავახეთში, საზღვარზე გადასვლის დროს, თურქეთის ორი მოქალაქისაგან, ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად ამოღებულია 272 ალმასის დაუმუშავებელი თვალი.

ნაწილობრივ გაუმჯობესდა ტერიტორიული ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაგრამ პრობლემები ჯერ კიდევ ბევრია.

განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი იმ დადებით ტენდენციებს, რომლებიც რეალურად აისახება ჩვენი საჯარისო ფორმირებების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

გადახალისდა პირადი შემადგენლობა, შეიცვალა კადრების შერჩევის პრინციპი, აღდგა და შეძენილია მძიმე ტექნიკა, გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. სათანადო დონეზე დადგა დისციპლინის საკითხი.

განხორციელებული ღონისძიებებით ჩამოყალიბდა და სრულყოფილი სახე მიიღო სადესანტო-მოიერიშე ბრიგადამ.

იგივეს ვიტყოდი სპეციალურ საბრძოლო დანაყოფებზე „ალფა"-ზე, „ომეგა"-სა და „დელტა"-ზე, რომლებიც სადღეისოდ გაიწმინდა სახელგატეხილი, საეჭვო რეპუტაციის მქონე თანამშრომლებისაგან და დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციური, სამშობლოს ერთგული მებრძოლებით. მათ მიერ განხორციელებულმა გონივრულმა ოპერაციებმა ნათლად დაგვარწმუნა მაღალ ოსტატობასა და შესაფერის მომზადებაში.

ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ შეიარაღებული ფორმირებების ბრძოლისუნარიანობა მნიშვნელოვანწილად უკავშირდება მებრძოლთა საყოფაცხოვრებო პირობებს. უშიშროების სამინისტროს სადესანტო-მოიერიშეთა ბრიგადის და სპეცდანიშნულების რაზმების შექმნისთანავე ეს საკითხი დადგა დღის წესრიგში. პრეზიდენტისა და ხელისუფლების მხარდაჭერით, სამინისტროს გამოეყო დამხმარე მეურნეობა ქარელის რაიონში, სადაც მოგვყავს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები. ძირითადი აქცენტი გადატანილია ხორბლის მოყვანაზე, რომლის საშუალო მოსავალმა ერთ ჰექტარზე 30 ცენტნერი შეადგინა. 120 ჰექტარზე მივიღეთ 400 ტ. ხორბლის მარცვალი... ალბათ, ახლო მომავალში სოფლის მეურნეობის სამინისტროს გავუწევთ ჯანსაღ კონკურენციას.

ახლა კი სერიოზულად!.

ერთის მხრივ, სასიხარულოა, რომ ჩვენი საჯარისო ფორმირებები თითქმის უზრუნველყოფილია პურპროდუქტებით, მაგრამ სამწუხაროა, რომ საზოგადოდ მარცვლოვანი კულტურების მოყვანის პროცესი რესპუბლიკაში ასეთი ეფექტიანობით არ ხასიათდება. შესაბამისი უწყებების მხრიდან ამ საკითხისადმი სახელმწიფოებრივმა მიდგომამ, შესაძლოა გარკვეულწილად დააკმაყოფილოს რესპუბლიკის მოთხოვნილება მარცვლეულ კულტურებზე.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა უშიშროების სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც სავალალო მდგომარეობაში გახლდათ. განვლილ პერიოდში შევიძინეთ სატრანსპორტო საშუალებების საკმაო რაოდენობა, რომლის დეფიციტიც აშკარად უარყოფით გავლენას ახდენდა ოპერატიულ საქმიანობაზე.

გამოყოფილი თანხების მეტი ნაწილი მოხმარდა ისეთი მნიშვნელოვანი დანაყოფის აღორძინებას, როგორიც არის ოპერატიულ-ტექნიკური სამსახური. შეძენილია კომპიუტერული და თანამედროვე ტიპის სპეციალური ტექნიკა, რომლითაც მნიშვნელოვნად შეივსო არსებული საშუალებების არსენალი.

უშიშროების სამსახურის საქმიანობა წარმოუდგენელია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ფართო დანერგვის გარეშე. დღესდღეობით სამინისტროს სტრუქტურაში მოქმედებს მძლავრი სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრებით.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფაში თავისი წვლილი შეაქვს უშიშროების სამინისტროს აკადემიას, რომლის სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი ქვეყნის უშიშროებისათვის მებრძოლთა რიგების უწყვეტი შევსების საიმედო გარანტია.

ახალი თაობის აღზრდის პროცესში აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა ძალისხმევას წითელ ზოლად გასდევს ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვები: „სახელმწიფო საქმიანობის სამი ყველაზე მთავარი საზრუნავია — სამშობლოს უშიშროება, სამშობლოს კეთილდღეობა და სამშობლოს სახელი".

აფხაზეთის პრობლემა ყოველი ჩვენთაგანის დიდი გულისტკივილია. ამიტომ მისი დროული და ეფექტური მოგვარება ჩვენი ყოველდღიური ზრუნვის საგანია. ამ მხრივ გაწეულ მუშაობაში აქცენტი გადატანილია წინმსწრები ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებაზე რეგიონში მიმდინარე პროცესების შესახებ. ამ მონაცემების ყოველმხრივმა ანალიზმა, მათი განვითარების პროგნოზირებამ, საღად მოაზროვნე აფხაზებთან კონტაქტების პრაქტიკამ გვიჩვენა: მომწიფდა დრო, როდესაც საჭიროა პირდაპირი, უშუალო დიალოგის გამართვა აფხაზეთის ხელისუფლების ხელმძღვანელობასთან.

ამ საკითხთან მიმართებაში მინდა გამოვყო საქართველოს ტელევიზია, რომლის კოლექტივი ყოველ ღონეს ხმარობს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ობიექტური ასახვისა და საზოგადოებაში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნისათვის.

ჩვენი ღრმა რწმენით, ყოველი აქ მყოფთაგანი, მათ შორის, რა თქმა უნდა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებიც ერთ დიდ საქმეს ვაკეთებთ, რომელსაც საქართველოს მტკიცე, დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მშენებლობა ჰქვია. ამიტომაც მოვუწოდებ ჩვენი პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებს, უფრო მჭიდროდ ითანამშრომლონ ჩვენთან, უშიშროების სამინისტროს პრეს-ცენტრთან, გაზეთის „სრულიად არასაიდუმლოდ" რედაქციასთან. ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში მზად ვართ გაგიწიოთ ნებისმიერი დახმარება ქვეყნის შიგნით და მის გარეთ მომხდარი მოვლენების სწორი ასახვისათვის.

კონფლიქტის მოგვარების საქმეს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მეგრელ-აფხაზური სეპარატისტების მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელსაც მნიშვნელოვანწილად ექსპრეზიდენტის მომხრეები შეადგენდნენ. ჯგუფს ხელმძღვანელობდა იური ბაძალუა. წარსულში არაერთხელ ნასამართლევი, იგი — 1992-95 წლებში ეწეოდა აქტიურ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას, კერძოდ, მეთაურობდა ლოთი ქობალიას უკანონო შეიარაღებული ფორმირებების გალის მე-6 ბატალიონს, მონაწილეობდა სადგურ ინგირში აფხაზეთის მეომრებისათვის გაგზავნილი ტვირთების დატაცებაში. 1993 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მისი ბატალიონი იბრძოდა სამთავრობო ძალების წინააღმდეგ.

1994 წლიდან ი. ბაძალუა გადავიდა გალის რაიონის ტერიტორიაზე, სადაც სისტემატურად ეწეოდა მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის ძარცვას. ბაძალუას „დამსახურება" სათანადოდ შეაფასეს აფხაზმა სეპარატისტებმა და დანიშნეს იგი გალის საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორის მოადგილედ. ბაძალუას მიერ ყოველდღიურად აკრეფილი ხარკი ათეულ მილიონობით მანეთს აღწევდა. ამ თანხას იგი უნაწილებდა დაურ კირთაძის ყაჩაღური ფორმირების წევრებს. ფულის განაწილებისას ხშირად იქმნებოდა კონფლიქტური სიტუაციები, რადგანაც ბაძალუა ითვისებდა სოლიდურ თანხებს. ა. წ. 2 მაისს ამავე ნიადაგზე ი. ბაძალუას მორიგი კონფლიქტი ჰქონდა კირთაძის ბანდის წევრ ზუხბასა და კიდევ 3 აფხაზთან. რამდენიმე საათის შემდეგ იგი მოკლული იპოვეს საკუთარი სახლის ეზოში.

ბაძალუას სიკვდილის შემდეგ მეგრულ-აფხაზური სახელმწიფოს შექმნის იდეა, თავისი დროშით, გერბით, ანბანით და გაზეთით — წარსულს ჩაბარდა, ამოღებულია ხსენებული ატრიბუტიკის დასამზადებლად საჭირო მოწყობილობა.

ჩვენ გამოვავლინეთ ქართველები, რომლებიც კონფლიქტში მონაწილეობდნენ სეპარატისტთა მხარეს. ბევრმა მათგანმა ჯილდოც კი დაიმსახურა. დარწმუნებული ვარ, რომ მოღალატეები და ნაძირალები სათანადოდ დაისჯებიან. ასეთთა რიცხვს განეკუთვნებოდნენ აწ გარდაცვლილები: იზორია, ნარმანია, ლობჟანია, კვირკველია და სხვები, რომლებიც თავიანთი შეიარაღებული თანამზრახველების დახმარებით აკონტროლებდნენ ვითარებას გალის რაიონში, ხელს უწყობდნენ სეპარატისტების პოლიტიკის განხორციელებას. ეხმარებოდნენ მათ მოსახლეობისაგან ხარკის აკრეფაში. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ამჟამად პატიმრობაში მყოფი ზუგდიდის მკვიდრნი: ზაურ გრიგოლია, თამაზ ჭკადუა და ენვერ თირქია. ისინი შემზარავი დანაშაულის ჩადენაში იმხილებიან, კერძოდ, ქართველი ახალგაზრდების გატაცებასა და აფხაზი „ბოევიკებისათვის" გადაცემაში, რაც შემდგომ გატაცებულთა ახლობელ-ნათესავებისაგან ფულის გამოძალვით მთავრდებოდა. თაღლითობისათვის 12 წლით ნასამართლევმა გრიგოლიამ და მისმა თანამზრახველებმა პარტნიორებად გაიხადეს დაურ კირთაძე და მისი ბანდის წევრები — გარიკ გოგოხია და ანატოლი ჯინჯოლია.

გრიგოლიამ, ჭკადუამ და თირქიამ გადაიყვანეს სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ოჩამჩირეში, თსუ ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი ოლეგ ასანიძე, რომელიც კირთაძის ბანდამ დაატყვევა. ამის შემდგომ გრიგოლიამ რამდენჯერმე მიაკითხა ო. ასანიძის მამას, ჭიათურაში დამსახურებულ მეშახტეს თენგიზ ასანიძეს, რომელსაც შვილის მშვიდობით გამოყვანის საფასურად რამდენიმე ათეული ათასი დოლარი მოსთხოვა, როდესაც გაირკვა, რომ თ. ასანიძეს ასეთი თანხა არ აღმოაჩნდა, გრიგოლიამ მას სახლ-კარის გაყიდვა შესთავაზა. ბოლოს ათი ათას დოლარზე შეთანხმდნენ. უშიშროების სამინისტროს მიერ განხორციელებული აქტიური ღონისძიებების შედეგად, დიდი რისკის ფასად, მოხერხდა ოლეგ ასანიძის უვნებლად გამოყვანა ოჩამჩირიდან, სადაც იგი 6 თვის განმავლობაში ტყვედ იყო გარიკ გოგოხიას ოჯახში. თანხა ამოღებულია, დამნაშავეები — გრიგოლია, ჭკადუა და თირქია — დაკავებულია. ძიების პროცესში გაირკვა, რომ ანალოგიური დანაშაული მათ ჩადენილი აქვთ ქუთაისელი კვანტალიანის მიმართაც.

ამავე კატეგორიას ეკუთვნის გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის მკვიდრი ჟორა მიკიჩიანი. მან გაავრცელა ხმები, რომ აქვს ურთიერთობა აფხაზ სეპარატისტთა სპეცსამსახურებთან და სათანადო გასამრჯელოს ხარჯზე შეუძლია უგზოუკვლოდ დაკარგულ ქართველ მეომართა მოძებნა. ამ გზით მიკიჩიანმა გამოსტყუა აბაშაში მცხოვრებ ჭაქვაძეების ოჯახს 1400 დოლარი, ფოთელი დუნდუების ოჯახს 1000 დოლარი. წლეულს 2 ივნისს მიკიჩიანი უშიშროების ორგანოებმა დააკავეს.

დიდ იმედებს ვამყარებთ იმ საღად მოაზროვნე აფხაზებზე, რომლებიც განერიდნენ ომს. ეს ის კატეგორიაა, რომელსაც სურს ქართველებთან მშვიდობიანი ცხოვრება, ჩვენი კონტაქტები გაგრძელდება. დიდ იმედებს ვამყარებთ აგრეთვე ჩვენს რუს კოლეგებზე, ჩვენს მეგობრულ დამოკიდებულებაზე რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურისა და საგარეო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელებთან, ბატონებთან ანატოლი კოვალიოვთან და ვიაჩესლავ ტრუბნიკოვთან, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრთან — ბატონ ანატოლი კულიკოვთან.

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ინიციატივა, კერძოდ კი გალის რაიონის ერთობლივი გაკონტროლების წინადადება თვალნათლივ მიანიშნებს იმაზე, რომ ჩვენ შეგვიძლია მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა სამშვიდობო მოლაპარაკების წარმართვის პროცესში. ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში მზად ვართ პრეზიდენტის ნებისმიერი დავალების შესასრულებლად.

მიუხედავად ამ პოზიტიური ძვრებისა, დაზვერვითი და კონტრდაზვერვითი მუშაობის პროცესში მოპოვებულ ინფორმაციათა ანალიზი სრულებითაც არ გვაძლევს დამშვიდების უფლებას, რადგანაც სეპარატისტთა სპეცსამსახურები აქტიურად მუშაობენ სადაზვერვო ინფორმაციის მოსაპოვებლად საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ოპერატიული ღონისძიებების შედეგად გამოვლენილია სეპარატისტთა სპეცსამსახურების მიერ გადაბირებულები, რომლებსაც პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის ინფორმაციის მოპოვება ევალებოდათ.

გვინდა კიდევ ერთხელ განვაცხადოთ, რომ აფხაზეთი ჩვენი სისხლი და ხორცია, რომ არც ერთი ქართველი არ შეურიგდება სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევას. დიდი იმედი გვაქვს იმისა, რომ აფხაზთა მხარე გონს მოეგება.

ვითარების გარკვეული სტაბილიზაცია შეიმჩნევა სამაჩაბლოშიც, საქართველოს პრეზიდენტისა და ხელისუფლების დაძაბული მუშაობის შედეგად, სამაჩაბლოს პრობლემის მოგვარების საკითხში, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, მნიშვნელოვანი წინსვლა შეიმჩნევა. პრობლემის საბოლოო გადაჭრის ერთადერთ სწორ გზად, აფხაზეთის ანალოგიურად, ქართულ-ოსური დიალოგის გაღრმავება მიგვაჩნია. ეს პროცესი წარმატებით მიმდინარეობს მოსახლეობისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელთა დონეზე. ეტაპობრივი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძისა და ლუდვიგ ჩიბიროვის შეხვედრას.

პრობლემის მოგვარების კონტექსტით ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ქართულ-ოსური კავშირების აღდგენას. ამის ნათელი მაგალითია წლეულს მარტში თბილისში ბატონების ე. შევარდნაძისა და ა. გალაზოვის შეხვედრა, სადაც დაისახა კავკასიური დიალოგის წარმართვის შემდგომი გზები.

გამოვთქვამ რწმენას, რომ ოსურ მხარესაც კეთილი ნების ტენდენციები იმძლავრებენ და სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესი დაჩქარდება.

მინდა აღვნიშნო, რომ სპეცდავალებებს ძირითადად ახორციელებს სამინისტროში არსებული პროფესიონალთა ჯანსაღი ბირთვი. სწორედ მასზე დაყრდნობით არის მიღწეული ის გარკვეული პოლიტიკური შედეგები, რომლებმაც განაპირობეს რუსეთის, აშშ, გერმანიის, საფრანგეთის, თურქეთის, ჩინეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელობის ჩვენს სამინისტროსთან საქმიანი კონტაქტების დამყარებისა და თანამშრომლობის სურვილი.

და, ბოლოს, — ყოველივე აქედან გამომდინარე, თამამად შემიძლია განვაცხადო: ჩვენ მტკიცედ ვადგავართ იმ გზას, რომელიც ახლო მომავალში მიგვიყვანს ძლიერი, მაღალპროფესიული ქართული სპეცსამსახურის შექმნამდე.

ქვეყანაში არსებული რეალური მდგომარეობა გვარწმუნებს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ დიდ ვალში ვართ სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე

საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის **რევაზ ყიფიანის**

გამოსვლა მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე 1996 წლის 19 ივლისს

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პროკურატურას თვისებრივად ახალ ვითარებაში მოუხდა საქმიანობა.

საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის უდიდესი ძალისხმევით, ქართველი ხალხის სიბრძნისა და კეთილგონიერების წყალობით ქვეყნის სტაბილურობამ და უსაფრთხოებამ, საბოლოოდ მიიღო შეუქცევადი ხასიათი.

დღეს სახელმწიფო მთლიანად აკონტროლებს ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესს, მყარდება სათანადო წესრიგი, თანდათან უმჯობესდება კრიმინოგენული მდგომარეობა, წერტილი დაესვა, უკანონო შეიარაღებული ფორმირებისა და დანაშაულებრივი კლანების ალვირახსნილ თარეშს.

მეორე მხრივ, საქართველოს კონსტიტუციამ ახლებურად გაიაზრა და განსაზღვრა პროკურატურის ადგილი და როლი სახელმწიფო მექანიზმში.

მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სახელმწიფო ორგანო, რომელიც ახორციელებდა უმაღლეს ზედამხედველობას კანონების ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, გარდაიქმნა სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებად.

პროკურატურის სტატუსის შეცვლამ, კანონმდებლობის მიერ მისი ფუნქციების ახლებურად განსაზღვრამ, ბუნებრივია შეზღუდა პროკურატურის კომპეტენციის ფარგლები, შეასუსტა მისი როლი და გავლენა, დამნაშავეობის წინაალმდეგ ბრძოლისა და სამართალდარღვევების პროფილაქტიკის საქმეში.

მესამე, დღემდე არ არის მიღებული კანონი საქართველოს პროკურატურის შესახებ, რომელიც დააკონკრეტებდა, კონსტიტუციაში გაცხადებულ კანონმდებლის ნებას და საშუალებას მოგვცემდა, დროულად დაგვეწყო ჩვენი საქმიანობის ძირეული გარდაქმნა, მისი შესატყვისება ახალ კანონმდებლობასთან.

ამგვარად შეიქმნა გარკვეული სამართლებრივი ვაკუუმი, რომელმაც, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი უხერხულობა შეუქმნა, არამარტო პროკურატურის მუშაკებს.

მეოთხე, როდესაც თვისებრივად ახალ ვითარებაში საქმიანობაზე მოგახსენეთ, მხედველობაში გვქონდა ე. წ. ადამიანური ფაქტორიც. საქართველოს პროკურატურის ტრადიციულად ძლიერი და ბრძოლისუნარიანი, რიგი სტრუქტურული დანაყოფებისა, ფაქტობრივად უფუნქციოდ დარჩა. ბევრი მაღალკვალიფიური, საქმის ერთგული მუშაკი სადღეისოდ უმოქმედოდ არის, არ არის გარკვეული მათი ბედი.

ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს კონსტიტუციის რევიზიას ან მისი ცალკეული დებულებების გადასინჯვას მოვითხოვდეთ. კონსტიტუციაში ყველაფერი სწორად არის ჩამოყალიბებული. კონსტიტუცია უზენაესია, მაგრამ მაინც ზოგადი კანონია, რომელშიც ყველაფრის გათვალისწინება, უბრალოდ შეუძლებელია.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს საქართველოს პროკურატურის შესახებ ორგანულ კანონში, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის, იმგვარად გააზრება და ჩამოყალიბება, რომ იგი სრულყოფილად შეესაბამებოდეს ქვეყნის უმაღლეს ინტერესებს, სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპს. ჩვენ ვთხოვთ საქართველოს პარლამენტს კანონპროექტის განხილვისას, მაქსიმალურად გაითვალისწინოს ეს მომენტი.

რაც შეეხება პროკურატურისათვის მისი უმთავრესი ფუნქციის — ქვეყანაში კანონიერების შესრულების ერთიანი და უმაღლესი ზედამხედველობის განხორციელების გაუქმებას. პირადად მე, ეს გადაწყვეტილება გაუმართლებლად მიმაჩნია.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უახლოეს, ან შორეულ პერსპექტივაში მაინც აუცილებლად დადგება ამ გადაწყვეტილების გადასინჯვის საკითხი. ისევე, როგორც ეს მოხდა რუსეთში, ყაზახეთში და ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

ნაჩქარევად მიღებულ კონსტიტუციაში, ჩვენი სხვა დიდი პრობლემებიცაა. მაგალითად ვადების საკითხი. დაწესდა პატიმრობის ვადა 9 თვე, კი ბატონო, ვისა აქვს უფლება იდავოს, მაგრამ განსაკუთრებულ, საგანგებო ვითარებაში, ვადის ამოწურვის და საქმის სასამართლოში გაგზავნის წინ, ახალი, უფრო მძიმე დანაშაულის ფაქტი რომ გამოვლინდეს, ან პატიმრობაში მყოფმა რომ მკვლელობა ჩაიდინოს, ვინმეს, პარლამენტს ან პრეზიდენტს, გამოსავლის სახით არ უნდა შეეძლოს დამატებითი ვადის დაწესება? მძიმე დანაშაულის ჩამდენი პატიმარი უნდა გავათავისუფლოთ?

რაც ზემოთ მოგახსენეთ, მხოლოდ ჩემი პირადი პოზიცია არ გახლავთ, ეს საქართველოს პროკურატურის მუშაკთა საერთო აზრია. მე, როგორც საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, იურისტმა და მოქალაქემ, ვალდებულად ჩავთვალე თავი, ეს აზრი, შეძლებისდაგვარად, ობიექტურად მომეტანა თქვენამდე.

ეს თემა გასდევდა ლაიტმოტივად, რამდენიმე დღის წინ ჩატარებულ, საქართველოს პროკურატურის კოლეგიის გაფართოებულ სხდომას, რომელმაც განიხილა და შეაჯამა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შედეგები.

დღეს, ჩემს გამოსვლაში, ვეცდები ვილაპარაკო პრობლემებსა და მათი გადალახვის გზებზე. სტატისტიკური ციფრებით თქვენს ყურადღებას არ გადავღლი, თუმცა რამდენიმე მონაცემი მაინც უნდა მოვიტანო.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად არის შემცირებული, რეგისტრირებულ დანაშაულობათა საერთო რაოდენობა, სერიოზული კლებაა ისეთი განსაკუთრებით საშიში დანაშაულობისა, როგორიცაა განზრახ მკვლელობა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა, იარაღის [illegible] და სხვა.

უკანასკნელი [illegible] მანძილზე პირველად არის მიღწეული [illegible] საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი— 85,2 პროცენტი.

საანგარიშო [illegible] გაიხსნა 1991-95 წლებში რეგისტრირებული 1329 დანაშაული, მათგან განზრახ მკვლელობის 74, ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანთა გატაცების 58 და ყაჩაღობის 399 ფაქტი.

საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა და უშიშროების [illegible] ხელმძღვანელთა და საგამოძიებო [illegible] მუშაკთა მაღალკვალიფიციური, ინტენსიური და [illegible] მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა, [illegible] საზოგადოებრივი რეზონანსის მქონე ისეთი [illegible] საშიში დანაშაულობების გახსნა, როგორიცაა საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეთა მიმართ [illegible] ტერორისტული აქტები, საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ამ საქმეზე გამოძიების დამთავრება [illegible] მიმდინარე წლის 10 მაისს და მის შემდეგ, [illegible] ტომის მოცულობის საქმის მასალებს ეცნობიან ბრალდებულები, მათი დამცველები და კანონით დაუშვებელია, [illegible] მათი შეზღუდვა, თუ ხელოვნურად არ გააჭიანურეს საქმის გაცნობა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ბატონების ანზორ ბაღუაშვილის, ანზორ დაცუზბაიას და სხვათა წვლილი, აფხაზეთში ქართველთა გენოციდისა და სამშობლოს მოღალატეთა საქმეების გამოძიებაში.

აღნიშნულ საქმეებზე მუშაობა, ხშირად გამომძიებლებისა და ოპერატიული მუშაკების პირად სიმამაცესთან, გამბედაობასთან და ზოგჯერ სიცოცხლის რისკთანაც იყო დაკავშირებული. სასიხარულოა, რომ არცერთ მათგანს უკან არ დაუხევია და მე თავს უფლებას მივცემ, ამ მაღალი ტრიბუნიდან, მადლობა ვუთხრა მათ.

მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინაალმდეგ ბრძოლის საქმეში, გარკვეული პოზიტიური ძვრები აშკარაა, მაგრამ ქვეყანაში არსებული რეალური მდგომარეობის ანალიზი, გადაუჭრელ პრობლემათა სიმრავლე და საზოგადოებრივი აზრი გვარწმუნებს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ დიდ ვალში ვართ სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს კორუფციის წინაალმდეგ ბრძოლის მდგომარეობა. ვაშაძე, დარჩია, მირიანაშვილი და ასობით გამოაშკარავებული სხვა დამნაშავე, კორუფციის იმ უდიდესი აისბერგის მხოლოდ მცირე ხილული ნაწილია, რომელთანაც შეჯახების გარეშე, ჩვენს სახელმწიფოს დიდი საფრთხე ემუქრება.

კორუფციასთან ბრძოლის რა შედეგებზე შეიძლება საუბარი, როდესაც საანგარიშო პერიოდში მექრთამეობის სულ 13 ფაქტია გამოვლენილი.

არ გამოვრიცხავ, რომ საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი მინისტრთა კაბინეტის საქმიანობის შესწავლის შედეგებზე რეაგირება, სათავეს დაუდებს, კორუფციასთან ბრძოლის თვისებრივად ახალ ეტაპს, ამხილებს უმაღლეს ეშელონებში მოკალათებული მაღალი თანამდებობის პირების მავნებლურ „მოღვაწეობას“ და საშუალებას მოგვცემს [illegible] კორუფციის რეალური მასშტაბები საქართველოში.

შემოწმების შედეგებზე, პროკურატურამ მოამზადა ვრცელი დასკვნა, რომელიც უკვე წარედგინა ბატონ პრეზიდენტს.

დღეს კი შეიძლება ითქვას, რომ მთავრობის უკანონო აქტების რეალიზაციით, ქვეყნისათვის მიყენებულია მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი ზიანი. დაინგრა ფაბრიკა-ქარხნები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მეურნეობები. მოიშალა საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინა, ალზევდა მაფია და თოფიანი კაცის დიქტატურა. კრიმინალების მიერ დატაცებული, გაფლანგული და მითვისებული იქნა ათეულ წლობით შექმნილი ეროვნული სიმდიდრე. თითქმის მთლიანად გაიძარცვა სახელმწიფო მატერიალურ-სამობილიზაციო რეზერვიც კი, ჯართად იქცა და საზღვარგარეთ ჩალის ფასად გაიყიდა, ძვირად ღირებული სტრატეგიული დანიშნულების ნედლეული, სამხედრო ტექნიკა, საზღვაო გემები, ქართული კონიაკი, ღვინო, სპირტი, ხე-ტყე, ძვირფასი ლითონები და სხვა ფასეულობანი.

მოიშალა ფულად-საკრედიტო სისტემა და საბანკო ურთიერთობები, საეჭვო პირებზე და ფირმებზე მინისტრთა კაბინეტის მიერ კრედიტების ხელაღებით და დაუსაბუთებლად გაცემამ, საბინაო-საკრედიტო და საფინანსო კონტროლისა და დისციპლინის მოშლამ, ქვეყანაში გააბატონა ჰიპერინფლაცია, რაც საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაუცველობის და უკიდურესი სიდუხჭირის მიზეზი გახდა.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ჩირქი მოვცხოთ მთლიანად, ყოფილი მინისტრთა კაბინეტის კოლექტივს. არის ფაქტები, როდესაც მიუხედავად დიდი ზეწოლისა, მისი ცალკეული მუშაკები იჩენდნენ პრინციპულობას და არ ასრულებდნენ უკანონო დავალებებს, მაგრამ შემოწმებული აქტების მცირე ნაწილის ანალიზითაც, უკვე იკვეთება თენგიზ სიგუას, თენგიზ კიტოვანის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირების, კანონშეუსაბამო საქმიანობა, რომელთა გვარების დასახელებისაგან დღეს თავს ვიკავებ საქმის გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე.

ბატონებო!

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა დათმობილი ადამიანის კანონიერი უფლებებისა და თავისუფლების დაცვის საკითხებს. ამ მიმართებით ბევრი რამ გაკეთდა, უშუალოდ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაში, კანონიერების დაცვის უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად ამისა, დღემდე არ არის ალმოფხვრილი, დანაშაულის აღრიცხვიდან დამალვის ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა. მარტო საანგარიშო პერიოდში პროკურატურამ 300-ზე მეტი დამალული დანაშაული გამოავლინა. მათ შორის მკვლელობის მცდელობის, ადამიანის გატაცების, ბოროტი ხულიგნობის, ყაჩაღობის და გაუპატიურების მრავალი ფაქტი.

დადგა დრო, მივუბრუნდეთ ადრე არსებულ პრაქტიკას, როდესაც დანაშაულის დამალვის ყოველ ფაქტზე, როგორც წესი, აღიძვრებოდა სისხლის სამართლის საქმე და დამნაშავენი პასუხს აგებდნენ კანონის წინაშე.

ჯერ კიდევ გრძელდება ადამიანის კანონიერი უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის ისეთი ფაქტები, როგორიცაა მოქალაქის უკანონო დაკავება. მასზე ფიზიკური ზემოქმედება, სასურველ მტკიცებულებათა ხელოვნური შექმნა, მოკვლეული მასალების გაყალბება, უფლებამოსილების გადამეტება, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და სხვა.

არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ სრული განუკითხაობაა ჩხრეკების ჩატარების საქმეში. საანგარიშო პერიოდში, პროკურატურის მიერ გამოვლენილი უკანონო ჩხრეკის 80 ფაქტი, არ ასახავს რეალურად შექმნილ საგანგაშო მდგომარეობას.

კონსტიტუციის თანახმად, არავის არა აქვს უფლება ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება, ან კანონით გათვალისწინებული, გადაუდებელი აუცილებლობა. სამწუხაროდ, კანონით არც გადაუდებელი აუცილებლობის კრიტერიუმებია განსაზღვრული და არც ჩხრეკის ჩატარების შესახებ, სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წესი.

ფაქტობრივად, დღეს ჩხრეკა ალარც პროკურორის სანქციით ტარდება და არც სასამართლო გადაწყვეტილებით.

ხშირ შემთხვევაში, უკანონო მოქმედების შესანიღბად და გასამართლებლად, ჩატარებულ ჩხრეკას „ბინის დათვალიერებად“ ან „ნივთმტკიცების ამოღებად“ ნათლავენ. (ჩხრეკის ჩატარებისას არ იწვევენ თანამოწმეებს, ან თუ იშვიათად პოლიციის მუშაკები მათ ნაცვლად თვითონ აწერენ ხელს შესაბამის ოქმებს).

განსაკუთრებულ გულისტკივილს და შეშფოთებას იწვევს სამართალდამცავ ორგანოებში ისეთი მახინჯი მოვლენის არსებობა, როგორიცაა კორუფცია. ჩვენს რიგებში მექრთამეობის, გამომძალველობის, მომხვეჭელობის წინააღმდეგ ბრძოლის პარამეტრები და ამ მიმართებით არსებული მდგომარეობა, აბსოლუტურად არ შეესაბამებიან ერთმანეთს; რამდენად მწარეც უნდა იყოს, ჩვენ თვალი უნდა გავუსწოროთ ამ სიმართლეს.

თუ არა ანგარებით, სხვა რით შეიძლება ახსნა, საქმეთა გაყალბების, ფალსიფიკაციის, ბოროტ დამნაშავეებისათვის ხელის შეწყობის ფაქტები.

საილუსტრაციოდ მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს:

1994 წლის 28 დეკემბერს, 1995 წლის 11 თებერვალს და 29 მარტს, საგამოძიებო დეპარტამენტის სიღნაღის განყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმეები, მოქალაქეებზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტებზე (სულ 6 ეპიზოდი), რომლებიც შემდგომში ერთ საქმედ გაერთიანდა.

1995 წლის 14 აპრილს, სისხლის სამართლის საქმე წარმოებაში მიიღო შს კახეთის სამხარეო საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელმა მ. მურაჩაშვილმა. ამ ფაქტს მოკლედ შეეხო ბ-ნი კ. თარგამაძე.

ნაცვლად იმისა, რომ ჭეშმარიტების დასადგენად ეზრუნა უტყუარ მტკიცებულებათა შეკრებაზე, მ. მურაჩაშვილი თვითონ დაადგა მასალების გაყალბების გზას და ცდილობდა ბოროტმოქმედი პირებისათვის აეცდინა პასუხისმგებლობა. კერძოდ: გადაასწორა საგამოძიებო მოქმედებათა ოქმის თარიღები, საქმის მასალებიდან ამოიღო ბრალდებულ გ. სიყმაშვილის ადრინდელი ჩვენებები, დაზარალებულთა ჩვენებები და ამოცნობის ოქმები, სამ ბრალდებულს შეუცვალა აღმკვეთი ღონისძიება-პატიმრობა, ძებნილი ბრალდებულის ძმას გადასცა დაზარალებულთა კუთვნილი, გატაცებული და ნივთმტკიცებად ცნობილი 49 დასახელების ოქროს, ვერცხლისა და ბრილიანტის სამკაული.

გამომძიებელი მ. მურაჩაშვილი, მიმდინარე წლის ივნისის თვეში, ჩვენ დავაპატიმრეთ.

ალბათ სწორი იქნება, თუ დღეს კომენტარებისაგან თავს შევიკავებთ. დაველოდოთ გამოძიების შედეგებს, ჩვენც გვაინტერესებს, სახელმწიფო მოხელის მიერ ჩადენილი ეს დანაშაული, ერთი პიროვნების „ნამოღვაწარია“, თუ საგამოძიებო სამსახურში ფარულად მიმდინარე პროცესების ლოგიკური შედეგი.

გასული წლის შეჯამებისას საგანგებო ყურადღება დაეთმო არასრულწლოვანთა დამნაშავეობისა და სამართალდარღვევების პროფილაქტიკის პრობლემას. სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა და კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.

1987 წლიდან დღემდე არასრულწლოვანთა დანაშაულის ხვედრითი წილი დანაშაულთა საერთო რაოდენობაში 2,5 ჯერ გაიზარდა, ხოლო საანგარიშო პერიოდში მატების მაჩვენებელმა 20,7 % შეადგინა.

2,5-ჯერ არის გაზრდილი მკვლელობის, მისი მცდელობის და გაუპატიურების შემთხვევები, 10-ჯერ სხეულის მძიმე დაზიანების ფაქტები, ბოლო არ უჩანს ე. წ. „საქმეთა გარჩევას“ უბნებს შორის, რომლებიც, როგორც წესი სავალალო შედეგით მთავრდება.

გამოიკვეთა მოზარდთა შორის ნარკომანიის, ლოთობის, პროსტიტუციის და ვენერიულ დაავადებათა სწრაფად გავრცელების და რაც ყველაზე მეტად შემაშფოთებელია, დანაშაულის „გაახალგაზრდავების“ საგანგაშო ტენდენცია. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში 14-15 წლის დამნაშავეთა რაოდენობამ 5,8 %-ით იმატა.

უახლოეს წარსულში ქვეყანაში გამეფებულმა ქაოსმა და განუკითხაობამ თავისი დაღი დაასვა მოზარდების ფსიქიკას. არასრულწლოვანთა დანაშაული გავადა და გაბოროტდა. 14 წლის თვაურმა და 16 წლის თათიაშვილმა, დანით დახოცეს დედა-შვილი მაისურაძეები, მანამდე კი დანით დაჭრილები გააუპატიურეს და დაღუპულთა სისხლით კედელზე წააწერეს „დამიჭირეთ!“.

მომავალი თაობის, ჩვენი შვილების და შვილიშვილების გადასარჩენად, კიდევ ერთხელ უნდა ავახმიანოთ „კაკაბეთის ზარები“ და ფეხზე დავაყენოთ სრულად საქართველო.

ამ მხრივ დიდ იმედებს ვამყარებთ ბატონი პრეზიდენტის დავალებით შემუშავებულ და მიღებულ, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინაალმდეგ ბრძოლისა და სამართალდარღვევების პროფილაქტიკის ეროვნულ პროგრამაზე.

ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც უნდა შევეხოთ: გვეყოფა ის, რომ უცხოეთის წითელი თუ სხვა ფერის ჯვრის წარმომადგენლები, მოდიან სისტემატურად და ითხოვენ შეხვედრას პატიმრებთან, რა უნდა გვქონდეს საწინააღმდეგო, თუ მათ აინტერესებთ პატიმრის პირობები, კვების და სისუფთავის საკითხები, ან ხომ არა აქვს ადგილი მათ მიმართ ფიზიკურ თუ სხვა ზემოქმედებას, ან ხომ არ ილახება მათი უფლებები, მაგრამ როდესაც ისინი გამოკითხვას აწარმოებენ და ჯერ კიდევ ქვეშ მყოფ პატიმარს ეკითხებიან, ჩაიდინა დანაშაული, რატომ ან რა მიზნით, ეს დაუშვ რა ხელის შეშლაა,

ამ ბოლო დროს უცხოელები ითხოვენ, რა თან მათ შეხვედრას არ დაესწროს არა თუ დი ან პროკურორი, იზოლატორის ზედამხ გიც კი, რაც არ გამორიცხავს ყაჩაღის გან საფრთხის შექმნას, მაგრამ მთავარი სხვაა, დიდ ბოლიშს ვიხდი ზოგიერთთან, გამორიცხული, რომ მან გაიტანოს სახელმწ ლოება, რასაც ფლობს, ყოფილი მაღალი თან უკვე განაწყენებული პატიმარი და საფრთხ საქართველოს უშიშროებას, ეს არაორდინა ებია, მათში სახელმწიფოს ინტერესებია.

ჩვენ, ამის კატეგორიული წინააღმდეგი დავუშვებთ.

მიმძიმს, მაგრამ კიდევ ერთ, ძალიან მტ კითხს უნდა შევეხო.

ისევე, როგორც ამ 20-30 წლის წინათ, ძლავრდა პროტექციონიზმი, რომ შეუძლებელი მალური მუშაობა.

კაცს ვერ დანიშნავ თანამდებობაზე და ვერ სუფლებ, რომ არ წამოვიდეს მთელი ტალღა თუ ზეპირი შეტევისა, მიუხედავად იმისა, რომ ტუციამ მხოლოდ გენერალურ პროკურორს მი დანიშნოს ან გადააადგილოს ქვემდგომი პრო

კაცს ვერ დააპატიმრებ და ვერ გაათავის იგივე არ მოხდეს.

ამ ბოლო დროს კი, ზოგიერთი თანამდებ იმ საკითხებშიც ერევა, თუ ვინ უნდა გამო თუ ის სისხლის სამართლის საქმე.

თუ გაბედე და უარი უთხარი, მტრად გ საერთოდ რას არ ითხოვენ, რაში არ ერევი მის, რომ ზოგიერთის მიმართ, რომელიც ბელი ან სხვა სამეურნეო ხასიათის დანა არის დაპატიმრებული, გარკვეული გარემოების რაღლებას იჩენს, მაგრამ შეიძლება, რომ ადამ ლებების დაცვის მოტივით მთხოვო ყაჩა ბანდიტობისა და ტერორიზმისათვის დაპატიმ ხვა, მხოლოდ იმ მიზნით, რომ მას დაბადებ ულოცოს?

ეს რა უბედურებაა, 44 წელი პროკურატურ მაში ემუშაობ და ასეთის მომსწრე არა ვარ.

კი ბატონო, გამოგზავნონ წერილი, მოითხ ვიხილავ, ვუპასუხებ. არა, აგიტქბავს რეკავს, ში, სახლში, გამოგიყვანს მდგომარეობიდან, და შრომის უნარს დაგაკარგვინებს.

დღეს მე პირველად გამოვდივარ ამ რანგში, ვასრულებ გენერალური პროკურორის მოვალეო ტომ თქვენი ნებართვით, ამჯერად თავს შევიკავ ნებათა დასახელებისაგან, ხოლო თუ ასეთი ძლდება, გაძლევთ პირობას, რომ უკან არ

ბატონო პრეზიდენტო! ვიცი რა თქვენი ლება ასეთი საკითხებისადმი, ნება მომეცით ნოთ 1972-75 წლები, იმ დროს, თქვენს მო ბულმა ცნობილმა დადგენილებამ „პროტექციონ ნაალმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, წლის განმავლობაში ისეთი მტკიცე წესრიგი რომ ის პირები, ვისაც უფლება არ ჰქონდა, დნენ საგამოძიებო და სასამართლო საქმიანო დესაც საქართველოს კპ ცკ-ის ყოფილი მეორე ალბერტ ჩურკინის პასუხისგებაში მიცემის საკი ბოდა, საკავშირო პროკურატურამაც ვერ გაბედ არაობიექტური ჩარევა და სიმართლემ გაიმარჯ იქნებ, გავიხსენოთ ძველი, რაც კარგია, არ კარგოს.

ბატონებო!

შეზღუდული რეგლამენტის გამო მოკლებული ლებლობას, მოგახსენოთ საქართველოს პრო საქმიანობის სხვა ასპექტებზე, არსებულ სერიო ლოვანებებსა და სამომავლო ამოცანებზე, რომლ ქტიკულად, მთელი მოცულობით გვაქვს გააზრ დამუშავებული.

და მაინც, არ შემიძლია არ შევჩერდე, ჩვენ ზე მტკივნეულ და სასიცოცხლოდ აუცილებელ კითხზე, რომელიც პროკურატურის მუშაკების მ ლური და სოციალური პირობების გაუმჯობესებ

ძნელია დღევანდელ პირობებში, 15-20 ლარ შავე პროკურორს, ან გამომძიებელს მოსთხოვ სადმი თავდადება და თავგანწირვა.

საბაზრო ეკონომიკას თავისი უღმობელი აქვს.

თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ ვერ შევაჩერებთ ტურის კადრების დენადობის დაწყებულ პრო გიერთ გამომძიებელს ურჩევნია პოლიციის რ შაკად იმუშაოს, სადაც მას 4-5-ჯერ მეტი ხე ნება.

ჩვენ გულწრფელად მივესალმებით საქართველოს მენტის მიერ გამოჩენილ ყურადღებას მონათლ ყებებისადმი და დარწმუნებული ვართ, რომ გუ ლოს მიიტანენ პროკურატურის მუშაკების არა გაჭირვებას, არამედ სახიფათო, თავგანწირულ და მათი ანაზღაურების პირობები საგრძნობლ ჯობესდება...

მოვლენის წინ

კონსტიტუციიდან კონსტიტუციონალიზმისაკენ

დღეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები პრეზიდენტის, პარლამენტისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეების თანდასწრებით ფიცს დადებენ. არის თუ არა ეს იმის მაუწყებელი, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავისი ფუნქციების შესრულებას შეუდგება? საზოგადოდ, რა მნიშვნელობა ენიჭება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მიერ ფიცის დადების წესს? — ვესაუბრებით უზენაესი სასამართლოს უფროს კონსულტანტს ევა გოცირიძეს.

— „**საქართველოს** საკონსტიტუციო სასამართლოს“ კანონის შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება მის მიერ ფიცის დადებიდან იწყება. ეს იმას ნიშნავს, რომ დღეიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი იქნება, პირველად საქართველოს ისტორიაში, განახორციელოს სასამართლო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ფუნქცია — სასამართლო კონტროლი.

ფიცის დადება ლამის ყველა ქვეყანაშია შემოღებული. ეს თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ განუზომელია კონსტიტუციური სასამართლოს მოსამართლეთა პასუხისმგებლობა, იმდენად განუზომელი, რომ ვერაფრით თავსდება იურიდიული პასუხისმგებლობის ჩარჩოებში და სცილდება მას.

დაუკვირდით: თვით ქვეყნის პრეზიდენტის საქმიანობაც კი (საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან) კონტროლს ექვემდებარება და **არ არსებობს ინსტანცია ან თანამდებობის პირი, რომელსაც უფლება ჰქონდეს გააკონტროლოს ან თუნდაც ეჭვქვეშ დააყენოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. მხოლოდ უზენაესის და საკუთარი ხალხის წინაშეა მოსამართლე ანგარიშვალდებული.** ამიტომ დებენ ფიცს ღვთისა და ერის წინაშე ქვეყნის უმაღლესი მსაჯულები, რომ თავიანთი **„მოვალეობის ასრულებისას დაემორჩილებიან მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, არავის და არაფერს სხვას, გარდა კონსტიტუციისა“**. მოსამართლეთა მხრიდან ფიცის დადების ეს ერთი შეხედვით ფორმალური პროცედურა, უზარმაზარი პასუხისმგებლობის თავის თავზე აღების ერთგვარი რიტუალია და არავითარ შემთხვევაში მათი კეთილსინდისიერი მოღვაწეობის იურიდიული გარანტი. არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს კონსტიტუციისადმი ერთგულების უზრუნველმყოფი იურიდიული მექანიზმი. შეუძლებელია იურიდიული მექანიზმით „ერთგულების“ უზრუნველყოფა, მით უმეტეს, ფიცის დადებინებით. იქნება თუ არა მოსამართლე კონსტიტუციის ერთგული, ეს მისი პროფესიული, მოქალაქეობრივი და ეროვნული ღირსების საქმეა. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს შეგნებული არ ექნებათ კონსტიტუციის უზენაესობის აუცილებლობა ქვეყანაში და, ამასთანავე, თავიანთი ზნეობრივი პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხის, წარსულისა და მომავლის წინაშე, რა თქმა უნდა, საკონსტიტუციო სასამართლო თავის მისიას ვერ შეასრულებს. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ყოველდღიურ საქმიანობაზეა დამოკიდებული, თუ რა ზომით იქნება უზრუნველყოფილი კონსტიტუციის უზენაესობა და წესრიგი ქვეყანაში. კონსტიტუციური სასამართლოს მოსამართლეებს ევროპაში მოქმედ, ცოცხალ კონსტიტუციად მიიჩნევენ.

მოსამართლეთა კეთილსინდისიერი და პატიოსანი მოღვაწეობის უმთავრესი გარანტი მათი დამოუკიდებლობაა. დამოუკიდებელი მოსამართლე მეტად არის მიდრეკილი პატიოსნად ილვაწოს, მართებული გადაწყვეტილება მიიღოს, არჩევანი ჭეშმარიტი ღირებულებების სასარგებლოდ გააკეთოს. ამიტომ, მათი დამოუკიდებლობა მთელი საზოგადოების უწმინდესი საზრუნავია.

— **ახლახან კონსტიტუციური კონტროლის საკითხებზე უზენაეს სასამართლოში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თქვენ იქ გამოხვედით მოხსენებით...**

— დიახ, მოხსენება მართლაც წავიკითხე. კონფერენციაც და ჩემი მოხსენებაც „კონსტიტუციური იურისდიქცია: უცხოური გამოცდილება და ქართული პერსპექტივა მიზნად ისახავდა სასამართლო კონტროლის არსისა და მნიშვნელობის გააზრებას, მისი დაფუძნების ისტორიულ, პოლიტიკურ და სამართლებრივ წანამძღვრებზე მსჯელობას. განვიხილეთ კონსტიტუციური იურისდიქციის მსოფლიოში დამკვიდრებული მოდელები, სასამართლო კონტროლის განხორციელების ზოგადი პრობლემატიკა და შევეცადეთ წარმოგვეჩინა საქართველოში კონსტიტუციური იურისდიქციის დამკვიდრებისა და მოქმედების თავისებურებანი, მოსალოდნელი სირთულეები არსებული სამართლებრივი სისტემისა თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

კონფერენციის მოწვევის იდეა ბატონ მინდია უგრეხელიძეს ეკუთვნოდა.

ასეთი შეხვედრები და აზრთა ურთიერთგაზიარება კვლავაც გაგრძელდება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მესახება და, იქნებ პირველხარისხოვანიც კი იყოს, ფართო საზოგადოების გათვითცნობიერება ზემოთ აღნიშნულ სამართლებრივ საკითხებში, რადგან საზოგადოების მაღალი სამართლებრივი კულტურის გარეშე შეუძლებელია თავისუფლება და კონსტიტუციონალიზმი, ისინი მხოლოდ სამართლებრივი ცნებები როდია! თავისუფლება და კონსტიტუციონალიზმი მსოფლმხედველობაა, სასიცოცხლო აუცილებლობა და ცხოვრების წესი.

ამის გათვალისწინებით, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს შეუძლიათ გადამწყვეტი როლი შეასრულონ მოსახლეობისათვის კონსტიტუციონალიზმის, კონსტიტუციური მმართველობის წესისა თუ ძირითადი პოსტულატებისადმი შეგნებული დამოკიდებულების დამკვიდრების თვალსაზრისით. ადამიანებმა მარტო ის კი არ უნდა იცოდნენ, თუ რა უფლებები აქვთ, არამედ ისიც, თუ როგორ და სად დაიმკვიდრონ ისინი; უნდა იცოდნენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თვით სახელმწიფოსაგან ადამიანის უფლებების დაცვის მისია აკისრია და მას უნდა მიმართონ, თუკი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ესა თუ ის ნორმატიული აქტი აუქმებს ან ზღუდავს კონსტიტუციით დადგენილ მათ უფლებებს.

— **რა თქმა უნდა, ამჯერად შეუძლებელია ყოველმხრივ გავაშუქოთ სასამართლო კონტროლის მნიშვნელობა. მაგრამ, მაინც, როგორ ემსახურება საკონსტიტუციო სასამართლო ადამიანის უფლებების დაცვას?**

— ამერიკელი მეცნიერი ჯ. ჰარტი წერდა: „როგორც ყველა გზა რომში მიდის, ისე ამერიკული მმართველობის ყველა საკითხი ხელისუფლებათა გამიჯვნამდე დაიყვანება“.

საკონსტიტუციო სასამართლოს შემოღების მიზეზთა ჯაჭვში ხელისუფლებათა გამიჯვნა, ცენტრალური რგოლია.

სასამართლო კონტროლი, რომელსაც ევროპულ ქვეყნებში საკონსტიტუციო სასამართლოები ახორციელებს, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკაში კი ჩვეულებრივი, საერთო იურისდიქციის სასამართლოები, ჩამოყალიბდა როგორც ხელისუფლების განშტოებათა შორის კონტროლისა და წონასწორობის მექანიზმის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. სასამართლო კონტროლი აუცილებელი გახდა: ნეიტრალურ სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, ხომ არ უგულებელყოფდნენ ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო განშტოებანი კონსტიტუციით მათთვის დაწესებულ უფლებამოსილებათა ფარგლებს.

თავის მხრივ, კონტროლისა და გაწონასწორების მექანიზმი იმიტომ გახდა საჭირო, რომ არ მომხდარიყო ხელისუფლების უზურპაცია.

ხელისუფლებათა გამიჯვნა იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ ხელისუფლება მყარი ყოფილიყო (სამ ფეხზე მდგარი ხელისუფლება უფრო მყარია, ვიდრე ერთ ფეხზე მდგარი), და, რაც მთავარია, არ ყოფილიყო შეუზღუდავი.

ხელისუფლების კონსტიტუციით შეზღუდვა კი იმიტომაც იყო აუცილებელი, რომ მას ბოროტად არ გამოეყენებინა უფლებამოსილებანი და მხოლოდ ხელისუფლების მიზნებით ეხელმძღვანელა.

— **რომელ მიზნებზეა ლაპარაკი?**

— ადამიანის უფლებების დაცვა და ზრუნვა, საერთო კეთილდღეობისათვის, მოგეხსენებათ, ხალხია ხელისუფლების წყარო, მან შექმნა ხელისუფლება იმისათვის, რომ იზრუნოს თანაბარი ინდივიდური უფლებების თანაბარი დაცვისა და საერთო კეთილდღეობისათვის.

ჯაჭვის პირველივე რგოლი (ხელისუფლება) ადამიანის უფლებათა დასაცავად შეიქმნა. ყოველი მომდევნო რგოლი ამ უფლებათა დაცვის მეტ გარანტიას ქმნიდა. სასამართლო კონტროლი, როგორც ჯაჭვის ბოლო რგოლი, ასევე ემსახურება ერთადერთ გენერალურ მიზანს, — ადამიანის უფლებების დაცვას, მის დაცვას თვით სახელმწიფო ხელისუფლებისაგან.

— **ორიოდ სიტყვით, როგორ ხორციელდება ადამიანის უფლებათა დაცვა?**

— გიპასუხებთ: ათვლის წერტილად მიჩნეულია კონსტიტუცია, რომელშიც დაფიქსირებულია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებანი, აგრეთვე, მათგან ლოგიკურად გამომდინარე ხელისუფლების განშტოებათა უფლებამოსილების შინაარსი და საზღვრები (ლოგიკურად გამომდინარე-მეთქი, იმიტომ აღვნიშნე, რომ ხელისუფლების განშტოებათა უფლებამოსილების შინაარსსა და ფარგლებს მნიშვნელოვანწილად ის განსაზღვრავს, თუ ადამიანის რა უფლებები არის კონსტიტუციით დადგენილი, ხელისუფლება ხომ სწორედ ამ უფლებების დასაცავად არის მოწოდებული). თუ სახელმწიფო ხელისუფლების ესა თუ ის აქტი, — პარლამენტის კანონი იქნება ეს, პრეზიდენტის ბრძანებულება თუ სხვა, — ხელყოფს კონსტიტუციურ უფლებებს, კონსტიტუციით ხელისუფლების განშტოებების დაწესებულ უფლებამოსილებათა შინაარსსა და ფარგლებს, კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე საკითხის განხილვის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლო მას არაკონსტიტუციურად გამოაცხადებს. ეს, კანონის თანახმად, ნიშნავს ამ აქტის იურიდიულად ძალადაკარგულად ცნობას.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება მოქალაქესაც აქვს. თუ საქმე უშუალოდ შეეხება ადამიანის უფლებების საკითხთან მიმართებით მიღებულ ნორმატიულ აქტს, რა თქმა უნდა, მისი გაუქმების მიზნით მიმართვისათვის კონსტიტუციური სასამართლო მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

— **თქვენ აღნიშნეთ, რომ კონსტიტუციურ სასამართლოს უფლება ენიჭება გააუქმოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების აქტები. ხომ არ აყენებს ეს სასამართლოს სხვა ხელისუფლებაზე მაღლა?**

— კანონზომიერი კითხვაა. კიდევ უფრო გავამწვავებდი ამ საკითხს: კონსტიტუციური სასამართლოს ფორმირებაში დანიშვნის ელემენტი სჭარბობს, უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება კი — არჩევითია. ამგვარად, ლეგიტიმაციის უფრო დაბალი ხარისხით შექმნილ ხელისუფლებას შეუძლია გააუქმოს ლეგიტიმაციით უფრო მაღალი ხელისუფლების აქტი. ბუნებრივად იბადება კითხვა: ხომ არ ეწინააღმდეგება ეს დემოკრატიული ხელისუფლების იდეას?

არა თუ არ ეწინააღმდეგება, პირიქით, ჯანსაღი ხელისუფლების შენარჩუნების განმსაზღვრელი ფაქტორია. ის, ვინც ადგენს ნორმას, ის, ვინც უფარდებს მას, და ის, ვინც აფასებს ორივე ამ პროცესის სამართლიანობას, არ შეიძლება იყოს ერთიდაიგივე პირი. ეს წარმოდგება ბუნებითი სამართლიანობის ფუძემდებლური იდეიდან, რომლის მიხედვით, „არავინ შეიძლება მოსამართლეობდეს საკუთარ საქმეში“.

ცხადია, სასამართლო კონტროლის იდეა ადვილად ვერ ეგუება საკანონმდებლო ხელისუფლების უზენაესობის რწმენას, რომელიც ძალიან ძლიერი იყო ევროპასა და ამერიკაშიც, მაგრამ, თანდათანობით სამართლებრივ აზროვნებაში იმძლავრა შეხედულებამ სასამართლო კონტროლის აუცილებლობის შესახებ.

აშშ-ის კონსტიტუციის ხელმოწერის შემდეგ გამოქვეყნებულ წერილთა სერიაში „ფედერალისტმა“ ჰამილტონმა არა მარტო გამოთქვა ეს აზრი, არამედ დაასაბუთა კიდეც. მან თქვა, რომ სწორედ სასამართლომ უნდა გააკონტროლოს სენატი, რადგან სასამართლო ყველაზე ნაკლებად საშიში ხელისუფლებაა. მას არ გააჩნია „ხმლის ან ქისის ძალა“; ამიტომ ის უზურპაციას ვერ მოახდენს. სამაგიეროდ, საგრძნობ ბარიერს შეუქმნის კანონმდებელთა შესაძლო დესპოტიას, ამასთან პარლამენტში ყოველთვის არ იქმნება ისეთი პირობები, რომ საღმა აზრმა გაიმარჯვოს. „...იქ უთანხმოების გადამღებ სენს შეუძლია მოწამლოს სამართლიანობის შადრევნები...“

ამასთან, მხოლოდ სასამართლო კონტროლით შეიძლება კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა. კონსტიტუციის არსებობა თავისთავად არ ნიშნავს კონსტიტუციის დაცულობას. სასამართლო კონტროლი უზრუნველყოფს ხელისუფლების ნამდვილი მიზნებისადმი ხელისუფლების დაქვემდებარებას (ცხადია, კლომილების შემთხვევაში) და ამ გზით ჯანსაღი ხელისუფლების შენარჩუნებას. სწორედ ამიტომ სასამართლო კონტროლს სამართლებრივი სახელმწიფოს, კონსტიტუციური მმართველობის აუცილებელ კომპონენტად მიიჩნევენ.

კიდევ ერთი ასპექტია მხედველობაში მისაღები. საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს ხელისუფლების განშტოებებსა თუ ცალკეულ ორგანოებს შორის წარმოშობილ პოლიტიკურ წინააღმდეგობებს, გამოხატულს სამართლებრივ დაპირისპირებაში. ის ეხება მხოლოდ საკ სამართლებრივ გარსს. ამ მხარეებს მეტი შემგუე აქვთ სასამართლოს გადაწ ლებისადმი. სწორედ ამის ამბობენ, რომ ეს გახლავთ კონსტიტუციო სასამარ წვლილი საზოგადოების მშვ ბის უზრუნველყოფაში, პოლი კურ და სამართლებრივ მდგრ ბაში.

— **საკონსტიტუციო სას თლოს შექმნა ხომ არ გულ მობს მისდამი უზენაესი ს მართლოს გარკვეულ იერარ დაქვემდებარებას, თუნდაც ლობრივ, თუნდაც ცალკეულ კითხებთან მიმართებაში?**

— არამც და არამც. საქ თველოს კონსტიტუციის თა მად, საკონსტიტუციო და უ ნაესი სასამართლოები, მართლო ხელისუფლების ბოლოო ინსტანციებია: ველი სასამართლო კონ ლის, მეორე კი მართლმსაჯ ბის განმახორციელებელ ლებამოსილებანი მათ მკაფიოდაა გამიჯნული, საკონსტიტუციო სასამარ ამოქმედებამ შეიძლება ამ ზოგიერთი სირთულეც წარმ ვას. ამ ვარაუდის საფუძ ის, რომ კონსტიტუციისა საკონსტიტუციო სასამარ კანონის ზოგიერთი ნორმ ტექსტი სხვადასხვაგვარი ინ რპრეტაციის შესაძლებლობას ლევა. ეს ითქმის იმ ნორმებ რომლებიც საკონსტიტუციო სამართლოს განსჯად საკით შეეხება. საკონსტიტუციო სა მართლო, ალბათ, მოახდენს ინტერპრეტაციას და დაამკვ რებს ამა თუ იმ მიდგომას, ხედულებას, გეზს. უკვე გამო ვეთა სხვა სირთულეებიც ბათ, მხარეთა შეჯიბრებითობ პრინციპი, როგორც სამართლ რმოების განხორციელების ფ რმა, არ არის უნივერსალური ნსტიტუციური სასამართლოს გ სჯადი ნებისმიერი საკითხის ვის. როგორც ჩანს, სასამარ ლო პრაქტიკა თვითონ ჩამოაყ ლიბებს შესატყვის ფორმებს.

საუბრის დასასრულს ევა გოცირიძემ განაცხადა:

— წარმატებას ვუსურვებთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს; გვინდა ვირწმუნოთ, რომ ის არამცდაარამც გადაიქცევა ფორმალურ სახელისუფლებო ინსტიტუტად, როგორ მოხდა აზიისა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც სასამარ დო კონტროლის იდეა, ისევე როგორც მისი განხორციელებ ფორმები, ბრმად იყო გადმოლებული და ისეთ მწირ ნიადაგში ნერგილი, რომ ბუნებრივი ატროფია განიცადა.

ამრიგად, თვით საუკეთესო კონსტიტუციაც კი მხოლოდ ბიჯია კონსტიტუციონალიზმის გზაზე. თავისუფლება არ არ მთავრობისაგან ნაბოძები ნებართვა. თვითონ ხალხია შემოქმ თავისუფლების უწინარესი, ყველაზე საიმედო და ნაღდი დი.

ესაუბრა **რუსუდან ლორთქიფანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესა

არ არსებობს პოპულარული მთავრობა პოპულარული ინფორმაციის გარეშე

12-14 ივლისს გუდაურში ჩატარდა კონფერენცია ინფორმაციის თავისუფლებისა და მასმედიის შესახებ

ომი კერი გუდაურში ჩვენთან ერთად მოდის. სიმპათიური ამერიკელი ქალია, სპორტული და სანდომიანი. მთელი მსოფლიო მოუვლია, ხან სად ვცხოვრობდი და ხან სადო. საქართველო ძალიან მოსწონს. იგი ამერიკის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელია საქართველოში. გაკვირვებით უყურებს, როგორ ივსება ჩვენი ბარგით იკარუსი. ფიქრობს, ალბათ — ეს ხალხი სამი დღით მიდის და ამდენი ბარგი რად უნდათო. მე მგონი, ასე ფიქრობს, თორემ იქნებ სულაც არ უკვირს. რამდენი წელიწადია საქართველოში ცხოვრობს და კარგად გაგვიცნობდა.

ომი კერი აფხაზეთზე მესაუბრება. მალე სოხუმში ვაპირებთ ჩასვლასო, იქაური განათლების სისტემა გვაინტერესებსო. ვგრძნობ, როგორ მეწურება გული. უცნაურ შეკითხვას ვაძლევ, სოხუმს თუ დაათვალიერებთ-მეთქი. კიო. მერე ჩემთვის ვფიქრობ, ალბათ, ბარათაშვილზეც ივლის, იქ, ჩემს უბანში, ჩემს ეზოში. რა იქნება ვთხოვო, მეც წამიყვანოს? არა, ამას ვერ ვეტყვი, სულ ხუთი წუთია გავიცანი. უხერხულია. გუდაურში სამი დღე ვიქნებით, და, იქნებ მერე ვუთხრა. თუმცა რა საჭიროა, უარს მეტყვის. ან ასეთი ჩასვლაც რად მინდა, ტურისტივით. არ არის გამორიცხული მიცნონ და დამატყვევონ. ვინ დამატყვევებს?! ჩემს ფიქრებზე მეცინება.

თელი ჯონსიც ამერიკელია. ძალიან მაღალი და ქერაა. ასე, ოცდაათ წლამდე ასაკის. ქართული უსწავლია. „გამარჯობათ", გამარჯობათ", — მხიარულად გვიკრავს თავს და ავტობუსში ადის. ისეთი ხალისიანია, მის დანახვაზე დარდი გადაგეყრება გულიდან.

დანიელ კუნინიც ახალგაზრდაა. ისიც ლაპარაკობს ქართულად. განსაკუთრებით მოსწონს, როცა ამბობს „კაი, რა"... ამას ხშირად იმეორებს.

ლუსიენ ნელზი — ექსპერტი ამერიკიდან, ხანში შესული, ძალიან ლინჯი კაცი, ადრე სენატორი ყოფილა. ხათუნა ჩარკვიანს (პარლამენტის პრესცენტრი) სულ სერიოზულზე სერიოზულ თემებზე ესაუბრება. ახლა მგონი სახელმწიფო უშიშროების არქივზე საუბრობენ. ხათუნა ამერიკელებს არ ჩამოუვარდება ინგლისურის ცოდნაში.

ანდრაშ ვინკე უნგრელია.

ჰელენ დარბიშერი — ინგლისელი.

მოკლედ, ყველანი გუდაურში მივდივართ.

ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია, საერთაშორისო საქმეთა ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა და დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ასოციაციასთან ერთად აწყობს კონფერენციას ინფორმაციის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი მასმედიის საკითხებზე.

კონფერენციაზე მოწვეული არიან დიდი ჯგუფი პარლამენტის წევრებისა, რომლებიც მუშაობენ კანონმდებლობაზე ინფორმაციის თავისუფლების, სახელმწიფო საიდუმლოების და პრესის საკითხებზე. ერთი სიტყვით, განიხილება სამთავრობო ინფორმაციის მისაწვდომობის, საინფორმაციო პოლიტიკის ჩამოყალიბების, არსებული კანონმდებლობის ნაკლოვანებებისა და ახალი კანონმდებლობის შემუშავების საკითხები. უცხოელი ექსპერტები კი მოგვახსენებენ საერთაშორისო გამოცდილებაზე ამ სფეროებში.

მზე, მთები, აუზი და ჩვენ

მზეს და მთებს უფრო ზღვა მოუხდებოდა. თუმცა, აღარ მინდა ახლა ნოსტალგიური ფიქრები.

დღეს შაბათია, დილის 10 საათი. კონფერენციის პირველი დღე. საუზმის შემდეგ ბევრმა მოასწრო ისევ აუზში ჩასვლა. საკონფერენციო დარბაზი ნელ-ნელა ივსება.

ევროპელი ექსპერტები საუბრობენ ინფორმაციის თავისუფალი მოპოვების მნიშვნელობაზე განვითარებულ და განვითარებად დემოკრატიებში, იმ საკანონმდებლო ბაზის შემუშავების საჭიროებაზე, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციის გაცვლას.

ინფორმაცია განსჯისათვის: ტერმინი „ინფორმაციის თავისუფლება", ათასგვარი მნიშვნელობით იხმარება. გაერთიანებული ერების ასამბლეამ თავის პირველ სესიაზე 1946 წელს, ერთხმად მიიღო რეზოლუცია ინფორმაციის თავისუფლების შესახებ. მასში ნათქვამი იყო: „ინფორმაციის თავისუფლება ადამიანის უმნიშვნელოვანესი უფლებაა და ყველა იმ თავისუფლებათა ქვაკუთხედია, რომლებსაც გაერთიანებული ერები ემსახურება". დადგენილებაში ინფორმაციის თავისუფლება ახსნილია როგორც „ინფორმაციის მოძიების, გაზიარებისა და გამოქვეყნების უფლება ყველგან და ყოველთვის, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე". ეს უფლება მასმედიის მუშაობის შეუზღუდავ თავისებურებად ითვლებოდა. 1947 წელს ინფორმაციისა და პრესის თავისუფლების ქვეკომისიამ — გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა კომისიის ქვეკომიტეტმა — უფრო ვრცელი დეფინიცია წარმოადგინა. მის ანგარიშში, რომელსაც ეწოდებოდა „იმ უფლებათა, ვალდებულებათა და ამოცანათა ფორმულირებები, რომლებიც ინფორმაციის თავისუფლების კონცეფციაში უნდა ჩაირთოს" ვკითხულობთ: „ინფორმაციის თავისუფლება პოზიციისა და აზროვნების თავისუფლებას გულისხმობს, აგრეთვე, მოიცავს ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გადაცემის, მასზე საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმის შეუზღუდავ უფლებას. უწინარეს ყოვლისა, ეს საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებს შეეხება, მაგრამ ვრცელდება ყველა სხვა ადამიანზეც, რომელსაც უფლება აქვს საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში იმოქმედოს. ეს უფლება გულისხმობს ინფორმაციის წყაროთა ხელმისაწვდომობას და მათი მოპოვების მიზნით გადაადგილების თავისუფლებას, აგრეთვე, უსაფრთხოების გარანტიებს მოპოვებული ინფორმაციის პატიოსნად გამოყენების შემთხვევაში".

1959 წელს, გაერთიანებული ერების ასამბლეამ ინფორმაციის თავისუფლების კონვენციის კანონპროექტის 1 პუნქტი მიიღო, ამ პუნქტის თანახმად ყველა ადამიანს უფლება აქვს ისარგებლოს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროთი, თავისუფლად მოიძიოს, მოიპოვოს და გადასცეს ის და გაუზიაროს სხვებს თავისი თვალსაზრისი მთავრობის მხრიდან ჩარევისა და შეზღუდვების გარეშე. მთლიანად კონვენციის კანონპროექტი არ მიუღიათ, მაგრამ ამის მიუხედავად, საკუთარი თვალსაზრისის ქონისა და მისი გამოხატვის უფლება, რომელიც ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გაზიარების და თავისუფალი აზრის გამოთქმის შეუზღუდავ უფლებას გულისხმობს, 1966 წელს, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო შეთანხმებაში დაამტკიცეს. ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-10 თავს, უპირველეს ყოვლისა, აზრისა და ინფორმაციის თავისუფლება დაედო საფუძვლად.

კონფერენციის პირველი დღე საკმაოდ გადატვირთული აღმოჩნდა, ამერიკელმა და ევროპელმა ექსპერტებმა ისაუბრეს, თუ როგორ ხდება მათ ქვეყნებში საინფორმაციო პოლიტიკის და მისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის შემუშავება ისე, რომ დაცული იყოს სახელმწიფოს ინტერესები და არ დაზარალდეს თავისუფალი მედია.

გაიმართა მოხსენებები და დისკუსია საინფორმაციო პოლიტიკაზე საქართველოში. საქართველოს პარლამენტის, მასმედიის და ახალგაზრდა იურისტთა წარმომადგენლებმა გააკეთეს მოხსენებები ქვეყანაში ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების სპეციფიკაზე.

მომხსენებლები: ზვიად ქორიძე, გაზეთ „7 დღის" მთავარი რედაქტორი („საზოგადოებამ უნდა იცოდეს, მისი მთავრობა რას აკეთებს. პრესა უნდა გახდეს ხელისუფლების მაკონტროლებელი").

დავით უსუფაშვილი: ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე („გვაქვს კანონი და ნორმები, რომელიც არ მუშაობს. პრესის თავისუფლების იურიდიული მექანიზმები საქართველოში შექმნილია და უნდა გამოვიყენოთ.").

გიორგი ნაჭყებია: სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინსპექციის ხელმძღვანელი („სანამ არსებობს სახელმწიფო, მას ყოველთვის ექნება საიდუმლო").

მიხეილ სააკაშვილი: პარლამენტის საკონსულტაციო და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე („დღეს საქართველოში მოვიდა პოლიტიკოსთა თაობა, რომელსაც თავისუფალი პრესის არ ეშინია").

შემდეგ გაიმართა დისკუსია მრგვალ მაგიდასთან ინფორმაციის მისაწვდომობისა და საიდუმლოების დაცვის ბალანსის შესახებ.

მცირე რამ ისტორიიდან: ხალხის უფლებას მიუწვდებოდეს ხელი ოფიციალურ დოკუმენტებზე, საფუძველი ჩაეყარა შვედეთში, ე. წ. თავისუფლების ერის (1719-1772) უკანასკნელ დეკადაში, შვედური განათლების ეპოქაში. 1765 წელს მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება პოლიტიკურ ძალაუფლებაში იმ ოპოზიციური პარტიის სასარგებლოდ, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლებს ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის გასაიდუმლოების გამო ედავებოდა. შვედეთის ისტორიისათვის ამ უმნიშვნელოვანეს პერიოდში მოხდა ძირეული პოლიტიკური გარდატეხა, კონსტიტუციაში თავისებურად ახალი მომენტები შევიდა. ამან საზღვარი დაუდო მთავრობის საქმიანობის გამჟღავნებაზე არსებულ ცენზურას, მოიტანა პრესის თავისუფლების გარანტია, ხოლო შვედეთის მოქალაქეებს მიანიჭა ზოგიერთი ტიპის დოკუმენტაციის გაცნობისა და დასტამბვის უფლება. საზოგადოების ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება, ისევე როგორც პრესის თავისუფლება, შვედეთში დღემდე ადამიანის ბუნებრივ ძირეულ უფლებად ითვლება და დაცულია არსებული კანონმდებლობის მიერ.

დისკუსიამ მრგვალ მაგიდასთან ცხოველი კამათი გამოიწვია. მონაწილეები სამ ჯგუფად დაიყვნენ. თითოეულში იყო ერთი უცხოელი ექსპერტი მოდერატორის როლში. საუბარი შეეხო საკითხებს, რომლებიც წამოიჭრება ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის შემუშავებისას.

ამით დასრულდა კონფერენციის პირველი დღე.

კვირას (კონფერენციის ბოლო დღე) განიხილებოდა საკითხები ჟურნალისტებსა და კანონმდებლებს შორის მჭიდრო ურთიერთობის საჭიროებაზე და ჟურნალისტთა ასოციაციის წვლილზე კანონმდებელთა საქმიანობაში.

ახალ საკანონმდებლო ინიციატივებზე საქართველოში, რომლებიც ინფორმაციის თავისუფლებასა და მასმედიას ეხება, ისაუბრეს პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომიტეტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ რამაზ საყვარელიძემ, პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის აპარატის უფროსმა სპეციალისტმა ვასილ ფხაკაძემ, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა მანანა ბოკუჩავამ.

საინტერესო იყო უცხოელი ექსპერტების განმარტება ცილისწამებისა და პასუხისმგებლობის პრობლემებზე, ცილისწამების კონცეფციაზე და პრეცედენტებზე თავიანთ ქვეყნებში.

ბოლოს კი იყო შეჯამება და დასკვნები. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა პრეზიდენტის პრეს-სამსახურის უფროსი ვახტანგ აბაშიძე.

ამრიგად, დღესდღეობით, როგორც კონფერენციაზეც გამოიკვეთა, საზოგადოების უფლება ხელი მიუწვდებოდეს ოფიციალურ დოკუმენტებზე, სულ უფრო ფართოვდება საკანონმდებლო სისტემათა დახვეწის ხარჯზე. თუმცა, სამუშაო ამ მიმართულებით მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში (და მათ შორის ჩვენთან) ჯერ არ დასრულებულა.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ხალხის უფლება ფლობდეს და ხელი მიუწვდებოდეს ოფიციალურ ინფორმაციაზე, უნდა განიხილებოდეს, როგორც თითოეული პიროვნების უფლება. სხვა თუ არაფერი, როგორც იტყვიან, არ არსებობს პოპულარული მთავრობა პოპულარული ინფორმაციის გარეშე.

• • •

გუდაურიდან ისე წამოვედი ომი კერისთვის არ მითხოვია წამეყვანე სოხუმში.

მზია გელენავა,
გუდაური — თბილისი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობა მხარს უჭერს საქართველო-სამხრეთ ოსეთის დიალოგის განგრძობას

ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობა იწონებს საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის მხარეთა კონსტრუქციული დიალოგის განგრძობას, რომლის წარმომადგენლები უკანასკნელი სამი წლის მანძილზე შეიარაღებული დაპირისპირების შემდეგ პირველად შეხვდნენ ერთმანეთს თბილისში, ცხინვალსა და ვლადიკავკაზში მოლაპარაკების მაგიდასთან და იმსჯელეს სამხრეთ ოსეთის მომავალ პოლიტიკურ-სამართლებრივ სტატუსზე. ეს განაცხადა ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტის სახელმწიფო მრჩეველმა გიორგი ჯიგკაევმა, რომელიც თავისი რესპუბლიკის დელეგაციას უხელმძღვანელებს კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის მორიგ მეექვსე სხდომაზე.

გიორგი ჯიგკაევმა თქვა. რომ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა მზადყოფნა უახლოეს დღეებში შეხვდეს სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ლუდვიგ ჩიბიროვს.,

იგორ როდიონოვი ჯარის ავტორიტეტს უფრთხილდება

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა გენერალ-პოლკოვნიკმა იგორ როდიონოვმა შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელ შემადგენლობას გააცნო ამოცანები, რომლებიც რუსეთის პრეზიდენტმა დაუსახა სამხედრო უწყებას. შეხვედრისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და „რუსეთის არმიის ავტორიტეტის განმტკიცების" საკითხებს.

თანსუ ჩილერი — სწორი გზის პარტიის ლიდერი

თურქეთის „რკინის ლედი" თანსუ ჩილერი კვლავ აირჩიეს მემარჯვენე ცენტრისტული სწორი გზის პარტიის გენერალურ თავმჯდომარედ. მან მოიპოვა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და დაამტკიცა, რომ პარტიის ერთადერთი ლიდერია.

ამასთანავე, ანალიტიკოსთა აზრით, ჩილერმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა პარტიის პოტენციალს, რომელიც მემკვიდრეობით ერგო თურქეთის ახლანდელი პრეზიდენტის სულეიმან დემირელისაგან. 1993 წელს, ს. დემირელის სახელმწიფოს მეთაურად არჩევისას, სწორი გზის პარტიას ამომრჩეველთა 27 პროცენტი უჭერდა მხარს, დღეს კი ეს ციფრი 19-მდე შემცირდა.

ნიგერის უზენაესმა სასამართლომ იბრაჰიმ ბარე მაინასარა პრეზიდენტად გამოაცხადა

ნიგერის რესპუბლიკის უმაღლესმა იურიდიულმა ინსტანციამ ნამდვილად ცნო სახელმწიფოს მეთაურის არჩევნების შედეგები, რომელიც 7-8 ივლისს მიმდინარეობდა. ამ არჩევნებში გენერალმა მაინასარამ ხმების 52,2 პროცენტი დააგროვა. ოპონენტებმა ეჭვქვეშ დააყენეს კენჭისყრის შედეგები და სამხედროებს ბრალად დასდეს მათი გაყალბება, მთელ რიგ ქალაქებში დაიწყო მღელვარება, რომელიც არმიამ ჩაახშო.

კორუფცია ბუნდესვერშიც ყოფილა!

სულ ორი თვის წინათ დააპატიმრეს კობლენცში კორუფციის ბრალდებით მთავრობის რწმუნებული არმიის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში. ამჯერად დაპატიმრებულია ფედერალური უწყების 63 წლის მოხელე, რომელიც პასუხს აგებდა ბუნდესვერის საბრძოლო ფორმის შეძენისათვის. იგი 4 წლის განმავლობაში რეგულარულად აძლევდა ფორმის შეკვეთებს ერთსა და იგივე ფირმას, რომელსაც ამ გზით 90 მილიონი მარკა აშოვნინა. ამის სანაცვლოდ, პროკურატურის მონაცემებით, მოხელეს მადლობის ნიშნად აჩუქეს მანქანა, გაუშვეს სამოგზაუროდ თურქეთში. აგრეთვე აძლევდნენ ფულსა და სხვა საჩუქრებს, რომელთა ღირებულება 40 ათას მარკას შეადგენს.

პეკინში, მობინადრეებს დააცლევინეს ასზე მეტი ბინა, რომლებიც კორუფციაში მხილებულმა ვიცე-მერმა დაარიგა

პეკინის მთავრობამ „ნაციონალიზაციაჰყო" 116 ბინა, რომლებიც შარშან უკანონოდ დაარიგა ჩინეთის დედაქალაქის ვიცე-მერმა ვან ბაუსენმა.

გასული წლის გაზაფხულზე ამ მაღალი თანამდებობის მოხელემ საფეთქელში ტყვია იხალა და ჩადენილი ფინანსური მაქინაციების ბრალდებით გამოძიებას სიკვდილი ამჯობინა. თვითმკვლელობამ დიდი პოლიტიკური სკანდალი გამოიწვია.

საცხოვრებელი ფართობის ხელახალი გადანაწილების შესახებ დაბეჭდილ მოკლე ცნობაში ნათქვამია, რომ „ბინების ნაწილი დაურიგდათ სანიმუშო მუშებს, დემოკრატიული პარტიების წევრებსა და კულტურის მოღვაწეებს, რომლებიც ვიწროდ ცხოვრობდნენ". მაგრამ იმათზე, თუ ვინ ცხოვრობდა „ნაციონალიზებულ" 116 ბინაში, არაფერს წერენ. თუმცა ცნობილია, რომ მათ შორის იყვნენ დედაქალაქის თანამდებობის პირები.

წლის ბოლომდე პეკინში უნდა გაიმართოს მუნიციპალური ზედაფენის მთელი რიგი მოხელეთა სასამართლო პროცესები, მაგრამ გარემოებანი „მხოლოდ განაჩენის გამოტანის შემდეგ გახდება ცნობილი". სასამართლოს წინაშე წარსდგება კორუფციაში ეჭვმიტანილ 25 პირთაგან თვრამეტი, რომელთა საქმე ცალკეა გამოყოფილი.

უცხოპლანეტელები რუმინეთში

რუმინეთის გალაცის მაზრის სოფელი ჩერტეშტი ალბათ ღირსეულ ადგილს დაიკავებს ცივილიზაციებს შორის კონტაქტების ისტორიაში. სწორედ აქ მოხდა ათიოდე დღის წინ მორიგი „მესამე ხარისხის შეხვედრა".

შუაღამისას სერჟანტ მარიამ მანკუს და მის თანამშრომელს მარიჩელ რუსუს, რომლებიც შემოვლაზე იყვნენ, უჩვეულო გუგუნი შემოესმათ. ცოტა ხნის შემდეგ კი გზატკეცილის თავზე დაინახეს ცისფერი ნათება. ამოუცნობი მფრინავი ობიექტი დედამიწიდან დაახლოებით ნახევარ მეტრზე გაჩერდა. ეს იყო 2,5 მეტრი სიმაღლის უკარფანჯრო მახვილწვერიანი „მფრინავი თეფში", რომლის მთელ პერიმეტრზე ჩირაღდნები ციმციმებდა. ასფალტზე მფრინავ ობიექტს არავითარი კვალი არ დაუტოვებია. სამაგიეროდ გზისპირა ალუბლის ხეებს კენწეროები დაეწვათ.

„თითქოს ქარმა დაუბერაო, მოულოდნელად აცივდა, — თქვა მ. მანკუმ. — მერე კი დავინახე დაახლოებით 1 მეტრი სიმაღლის უცნაური არსება, რომელსაც უკან გადაწეული მრგვალი თავი და დიდი პარტყუნა ყურები ჰქონდა. ხოლო თავზე შევამჩნიე სოკოსმაგვარი წამონაზარდები. ხელები წვრილი ჰქონდა, დაახლოებით ორი თითის სისქე. ხოლო ქერცლოვანი ვერცხლისფერი სკაფანდრი ჩირაღდნების შუქზე ნათებას გამოსცემდა. ყოველივე ეს რამდენიმე წამს გრძელდებოდა, შემდეგ ობიექტი გაუჩინარდა. მერე გავიგე, რომ მეზობელ სოფელში ამოვარდნილა ყველა ელექტრომცველი, გადამწვარა ორი მაცივარი და გამქრალა გამოსახულება ტელევიზორის ეკრანებზე".

მისმა თანამგზავრმა მ. რუსუმ კი ერთბაშად რამდენიმე უცხოპლანეტელი ნახა. „ხომალდის ირგვლივ დადიოდა და თითქოს რაღაცას ბუტბუტებდა სამი პატარა კაცუნა, — თქვა მან. — მათ თეთრი სახეები ჰქონდათ, მაგრამ მე ვერ დავუნახე პირი, თვალები და ცხვირი. როდესაც ჩვენ დავუძახეთ, ისინი უმალ ხომალდში შევიდნენ და მეზობელი სოფლების გიდიჯენისა და პიკიდის მიმართულებით გაფრინდნენ, სადაც დაუნახავთ ტრაქტორით მომავალ მუშებს.

მსოფლიო ბანკი დედამიწის მოსახლეობის ზრდის ტემპის შესახებ

2050 წლისათვის დედამიწის მოსახლეობა ახლანდელი 5,7 მილიარდიდან 9,8 მილიარდამდე გაიზრდება. ასეთ პროგნოზს შეიცავს მსოფლიო ბანკის მოხსენება პლანეტის მოსახლეობის ზრდის ტემპის შესახებ. ნაკვლევში აღნიშნულია, რომ აზია-აფრიკის და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნების მცხოვრებთა რაოდენობა თითქმის 10-ჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე განვითარებული ქვეყნებისა.

თუ ასეთი ტენდენცია კვლავაც გაგრძელდა, მაშინ ნახევარი საუკუნის შემდეგ აზიაში იცხოვრებს 5,7 მილიარდი, აფრიკაში 2,1 მილიარდი, სამხრეთ ამერიკაში 840 მილიონი. ამავე დროს ჩრდილოეთ ამერიკაში მოსახლეობის რიცხვი 374 მილიონს შეადგენს. ხოლო რაც შეეხება ევროპას, მისი მოსახლეობა მომავალი წლის მანძილზე დღევანდელი 728 მილიონიდან 721-მდე დაიკლებს.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

გამოძიება ბრალს სდებს

აფეთქება, რომლის ხმაც მსოფლიოს გადასწვდა

ერთი სისხლის სამართლის საქმის ანატომია

6. „დიდი თურქობა"

როცა ზუგდიდი იძარცვებოდა, რა თქმა უნდა, არც ახლომახლო სოფლებს ადგა კარგი დღე.

1993 წლის 16 ნოემბერს სოფელ დარჩელში მაშველთა კორპუსის წევრებმა მოსახლეობიდან გატაცებული ნივთებით ორი (ასევე გატაცებული) ავტომანქანა დატვირთეს და ზუგდიდს გაუტიეს.

ახალქახათისა და დარჩელის საზღვარზე მათ ძიებით დაუდგენელი პირები დაუხვდნენ და სროლა აუტეხეს.

ო. ჯამარაული და ზ. ადუაშვილი ადგილზე მოკლეს.

ტ. წიწილაშვილი, ჯ. კურტანიძე, ნ. მიქელაძე. გ. ფილიშვილი და რ. წიქარიშვილი დაჭრეს.

მანქანებს ცეცხლი მოედო და ნაძარცვთან ერთად დაიწვა.

თავდასხმის ადგილზე მისულმა მხედრიონელმა კ. ჯინჭარაძემ დაჭრილი ტ. წიწილაშვილი ზუგდიდს წაიყვანა და კომენდატურის შენობაში მყოფ ზ. პაიჭაძეს, მის მოადგილეს ვ. ქრისტესიაშვილსა და შტაბის უფროსს დ. გუგეშაშვილს დარჩელთან მომხდარი ამბავი აცნობა.

შტაბში ეს თავდასხმა ადგილობრივი მოსახლეობის ნამოქმედარად მიიჩნიეს და შურისძიება განიზრახეს.

თუნდაც მართლა ორი-სამი გამწარებული იქაურის ნამოქმედარი ყოფილიყო, ორ სოფელს უნდა ეზღო მათი ბრალი? რა, მტრის ქვეყანაში იყვნენ?

მაგრამ ისინი უყოყმანოდ ხელმძღვანელობდნენ ჯ. იოსელიანის 1993 წლის ნოემბრის დასაწყისში მიცემული მითითებით — წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში მოსახლეობა უსასტიკესად გაუსწორეთ ანგარიშიო.

გაუსწორეს კიდეც.

სადილდახლოს შედგა გეგმა: დასცემოდნენ ახალქახათსა და დარჩელს. მოსახლეობის ქონება გაეტაცათ, სახლები კი გადაეწვათ.

დამსჯელი ექსპედიცია 80-100 კაცით დაკომპლექტდა.

კბილებამდე შეიარაღდნენ და ჯავშანტექნიკაც იახლეს. წავიდნენ მსუბუქი ავტომანქანებით, აგრეთვე წამოსაღებად „იკარუსი" და „კამაზი" გაიყოლეს.

მისვლისას 5-10-კაციან ჯგუფებად განაწილდნენ და ორივე სოფელს ერთდროულად შეუტიეს სროლითა და ღრიანცელით.

თუმცა, ვის უტევდნენ, ვინ იყო წინააღმდეგობის გამწევი? საფრთხე იგრძნეს თუ არა, მოსახლეობის დიდი ნაწილი გაიხიზნა და მახლობელ ტყესა და ჩაის პლანტაციებს შეაფარა თავი.

„დიდი თურქობა" სამ საათს გრძელდებოდა.

მძვინვარებდა „ქართველი ჟანა დარკი" — პოლკოვნიკი დიდო გუგეშაშვილი.

დაწვეს, დაანგრიეს და გაანადგურეს საცხოვრებელი სახლები და სხვა შენობა-ნაგებობანი, საოჯახო ნივთები, ციტრუსოვანი და ხეხილი, დახოცეს საქონელი და შინაური ფრინველი. რაც მოეწონათ — მოიტაცეს.

ხანძარს აჩენდნენ ჯავშანტრანსპორტიორის ჭურვებით, ჩაისა და სხვა ადვილადაალებადი ნივთიერებების ცეცხლის წაკიდებით.

ახალქახათში გადაბუგეს ჯემალ, გორბენი, შალვა და ვენერი აბსანძეების, დემურ კილასონიას, ბინო კირკვალიას, ვალერი კუკავას, მარია ჭაჭუას საცხოვრებელი სახლები, სამი ავტომანქანა და თაობათა ნაგროვები ძვირფასი საოჯახო ნივთები, რომელთა გატაცებაც ვეღარ შეძლეს.

დამსჯელი ოპერაცია უფრო სასტიკად წარიმართა დარჩელში.

დაიწვა მისიკის ზინობია, გურამ, სერგო და [illegible] აბსანძეების, ბაჩი და აკაკი ჭანტურიების, იური და კონსტანტინე ზუზუების, შალვა ბიგვავას, გენო, გურამ, მუშუხი და ჰამლეტ ვართაგავების, პაციკო, გოგი, მურმან, ჯულიეტ სიჭინავების სახლები და ნაკვდავი ქონება.

პირწმინდად გაძარცვეს მზიური აბსანძე, ლუდა და ვალერიან ჯიქიები, რევაზ სორდია, ფანდიკო და გენო მარკოზიები, ბორჩო ბიგვავა, მიხეილ გაგუა, ვლადიმერ და გოგლა ჭეჟიები, ოთიკო ქობალია, ნაპო საჯაია, გენო სიჭინავა, გულივერ ჩარგაზია, რენო აქირბაია...

სოფელში დახოცეს 37 ძროხა, 12 კამეჩი, 3 ხარი, რამდენიმე ათეული ღორი და გოჭი, უამრავი ქათამ-ინდაური.

მუშუხი ვართაგავას სახლიც დაუწვეს და 4 ძროხა, 2 კამეჩი და 7 ღორიც მოუკლეს, გურამ ვართაგავას — 4 ძროხა, 2 კამეჩი, 2 ღორი და 5 ინდაური, მურმან სიჭინავას — 2 ძროხა, 1 კამეჩი და 2 ღორი, გოგი სიჭინავას — 4 ძროხა, 2 ღორი, ორმოცზე მეტი ფრთა ფრინველი, გენო სიჭინავასა და გულივერ ჩარგაზიასთვის სახლები არ დაუწვავთ, მაგრამ ჯერ ძირ-ძირობამდე გაფცქვნეს და შემდეგ პირველს 3 ძროხა, 2 ხარი და 2 ღორი მოუკლეს, მეორეს კი — 4 კამეჩი და 2 ძროხა...

ცოდვის ტრიალი იყო!

ამრიგად, 1993 წლის 6 ნოემბრიდან 16 ნოემბრის ჩათვლით, ცეცხლსასროლი იარაღით და ჯავშანტექნიკით აღჭურვილმა მაშველთა კორპუსის წევრთაგან შემდგარმა ბანდიტურმა ჯგუფებმა ადამიანთა სიცოცხლისათვის საშიში ძალადობით, ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ცეცხლის წაკიდებითა და სხვა ბარბაროსული მეთოდებით გაიტაცეს, დააზიანეს და გაანადგურეს ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სოფლების დარჩელის, ანაკლიის, ახალქახათის მცხოვრებთა და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული 83 მოქალაქის 2 მილიონზე მეტი ლარი საერთო ღირებულების ქონება, გაიტაცეს 3 ათას ლარად ღირებული სახელმწიფო და 6 ათას ლარად ღირებული საზოგადოებრივი ფასეულობანი.

გამტაცებლებმა ნაძარცვი ნაწილ-ნაწილ გაიტანეს ზუგდიდის რაიონიდან.

1993 წლის 19 ნოემბერს, როცა რაიონის ტერიტორია დატოვეს და თან მოჰქონდათ ნაძარცვ-ნაყაჩაღარის დარჩენილი ნაწილი, მათთან ერთად ჯაბა იოსელიანიც იმყოფებოდა.

წინ მიუძღოდა მათ.

ხობის შესასვლელთან, სოფელ თეკლათის საგუშაგოზე მდგარმა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებმა კოლონა გააჩერეს და მანქანების გაჩხრეკა დაიწყეს.

ჯაბა იოსელიანმა, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან არსებული საგანგებო მდგომარეობის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარემ, მარჯვედ გამოიყენა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება: რუსი სამხედროები დაარწმუნა, რომ მასთან ერთად მყოფ პირებს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული არაფერი გადაჰქონდათ და ხელი აღებინა კოლონის გაჩხრეკაზე.

ასე გააპარეს ბანდიტებმა ზუგდიდელი მოქალაქეების ნაოფლარი.

სამშვიდობოს დაგულებული ნაძარცვის ერთი ნაწილი გაიყვეს, მეორე ნაწილი კი გამოძიებისათვის დაუდგენელი გზით აქციეს ფულად და ისიც გაინაწილეს.

აუცილებელი დაზუსტება: როდესაც გამოძიება ასახელებს „მაშველთა კორპუსის ბანდიტურ ჯგუფს" ან „ბანდას", მხედველობაში აქვს არა მთლიანად მაშველთა კორპუსი მისი ყველა წევრით, არამედ ამ ორგანიზაციის ბაზაზე შექმნილი დანაშაულებრივი ჯგუფები, რომლებშიც მხედრიონელთა ერთი ნაწილი იყო გაერთიანებული. აბსოლუტურად ყველა არ იყო ბოროტმოქმედი.

7. გვამები ავზებში

1993-1994 წლებში ბორჯომის „მხედრიონის ბაზაზე მძლავრი შეიარაღებული ბანდა ჩამოყალიბდა.

მისი შექმნის სათავეებთან იდგნენ ადგილობრივი მკვიდრნი: შემდეგ საქართველოს მაშველთა კორპუსის თავმჯდომარე გიორგი (გიგა) გელაშვილი, რამაზ კურტანიძე და გიორგი იობაშვილი.

ბანდაში გაერთიანდნენ კბილებამდე თოფ-იარაღით ასხმული გიორგი იობაშვილი, გოჩა თელიაშვილი, ჯუმბერ საყვარელიძე, გოჩა გელაშვილი, თამაზ კურტანიძე, მიხეილ სამსონაშვილი, აწ გარდაცვლილი პაატა თელიაშვილი და სხვ.

უმალ დაიწყო „ბრძოლა არსებობისათვის", ანუ გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის.

ეს არ იყო მთლად უმტკივნეულო საქმე.

მთავარი მოქიშპენი ბორჯომის რაიონის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო შენაერთის „თეთრი არწივის" ზოგიერთი ოფიცერი: ივერი მაღრაძე, ედუარდ აკოფოვი და სხვები იყვნენ.

დავა სწრაფად გადაიზარდა მტრობაში.

ერთ ქარქაშში ორი ხანჯალი ვერ ჩაეტეოდა.

მოსახდენი უნდა მომხდარიყო.

ჯუნგლის კანონი სასტიკი და შეუვალია.

1993 წლის ნოემბრის დასაწყისში ერთხმად გადაწყდა: ივერი მაღრაძე უნდა მომკვდარიყო.

განზრახულის ასრულება პირველად 11 ნოემბერს სცადეს. დაბა წაღვერის ტერიტორიაზე ჩაუსაფრდნენ.

მაგრამ იმ დღეს, არავინ იცის, გულმა უგრძნო თუ სხვა რამ მიზეზით, მსხვერპლმა იქ არ ჩაიარა.

მეორე დღეს კვლავ ჩასხდნენ იმავე ადგილზე.

აი, გამოჩნდა კიდეც იმ მარკისა და ფერის მანქანა, ი. მაღრაძეს რომ ჰყავდა.

მოახლოვდა და, ბევრი არ უფიქრიათ, ტყვია დააყარეს.

მაგრამ...

მაგრამ მანქანა პოლიციელ დავით ბუზრიკიძისა იყო, რომელსაც შვილები — 6 წლის თამარი და 2 წლის გიორგი მიჰყავდა.

გიორგი მძიმედ დაიჭრა, თამარი — მსუბუქად.

ისედაც მძიმე ცოდვები ბავშვების სისხლით კიდევ უფრო დაიმძიმეს.

როცა გადარეული მამა დაინახეს და შეცდომა შენიშნეს, თავდამსხმელებმა ტყეს მისცეს თავი.

შეცდომამ გაახელა მკვლელობის ჟინი.

ოღონდ, გეგმა შეცვალეს, უფრო ნაღდი რამ მოიფიქრეს.

20 ნოემბერს ივერი მაღრაძე და ედუარდ აკოფოვი კონცერნ „ბორჯომის ხეობის" ოფისში მიიწვიეს „საქმის გასარჩევად". ოღონდ ერთი გაუთვალისწინებელი რამ აქაც მოხდა: ვახტანგ ცუხიშვილის, ნინო კანტიძისა და ზაირა დარბაიშვილის თანხლებით მოვიდნენ.

ჩანს, ცუდს არაფერს ელოდნენ.

ეს ართულებდა საქმეს, მაგრამ გეგმა აღარ შეცვალეს.

ჯერ აქეთურ-იქეთურზე ილაპარაკეს. ღიმილ-ღიმილში უცებ იარაღები იშიშვლეს და სტუმრებს ტყვია დაუშინეს.

ხუთივე მოკლეს.

ახლა მოკლულების თავიდან მოცილება იყო საჭირო.

კვალის დასაფარავად გვამები გააშიშვლეს და, თამაზ კურტანიძის მითითებისამებრ, „უაზით" გადაიტანეს სოფელ დაბას დასაწყისში მდებარე „საქმშენტრანსის" № 10 ავტოსაწარმოს ტერიტორიაზე.

იქ ავტოგასამართი სადგურის საწვავის ავზებში ჩაუშვეს და ზემოდან მიწა მიაყარეს.

სხვა კვალიც იყო და მისგანაც გაიცალეს ხელი.

ედუარდ აკოფოვის კუთვნილი ავტომანქანა „აუდი", რომლითაც ის ხუთეული მოვიდა, სოფელ ოსიაურის სამრეწველო მაღაზიასთან გადამალეს;

მოკლულთა ტანსაცმელი და პირადი ნივთები მეორე დღეს ტყეში სპეციალურად გათხრილ ორმოში ჩაფლეს;

„ბორჯომის ხეობის" ოფისში სისხლი აწმინდეს, დაცლილი მასრები აკრიფეს, კედელზე დაჩნეული ნატყვიარები ორჯერ გადალესეს, (მეორედ — 1995 წლის აპრილში).

ასე მოიცილეს მოქიშპენი.

ამ ჟლეტის ერთ-ერთ მონაწილეს გიორგი იობაშვილს სხვა ცოდვაც აძევს:

1994 წლის 20 სექტემბერს მან გიგა გელაშვილის ბრძანებით ბორჯომ-ბაკურიანის საავტომობილო გზის მე-7 კილომეტრზე, ტყეში ჩაფლა ჯიმი მერაბიშვილის გვამი.

ჯ. მერაბიშვილი გიგა გელაშვილმა წინა დღეს თბილისში, პირდაპირ ქუჩიდან გაიტაცა უშიშროების სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმის „ომეგას" წევრების დახმარებით და მოკლა. გვამი კი გასაუჩინარებლად ჩაიტანა ბორჯომში.

გ. იობაშვილი მოუცილებლად ატარებდა უკანონოდ შეძენილ ხელყუმბარას და ცეცხლსასროლ იარაღს; რომელიც ოფისში მოწყობილი მკვლელობის შემდეგ დამალა და ნაწილ-ნაწილ გადაყარა.

„მხედრიონის" ბაზაზე შექმნილი ამ შეიარაღებული ბანდის გამორჩეული წევრი იყო თამაზ კურტანიძე.

იგი წლების მანძილზე მუშაობდა ბორჯომის № 2 საიჯარო ჩამომსხმელი ქარხნის დირექტორად, იყო სააქციო საზოგადოება „თორის" დირექტორი და კონცერნ „ბორჯომის ხეობის" პრეზიდენტი.

რაკილა „მხედრიონი" მხარში ედგა, რომელმაც რაიონში დაუსჯელობისა და ხელშეუხებლობის დანაშაულებრივი ვითარება დაამკვიდრა, თ. კურტანიძე, ფაქტობრივად, ერთპიროვნულად განაგებდა მინერალური წყლის წარმოებასა და რეალიზაციას, ბოროტად იყენებდა სამსახურებრივ მდგომარეობას და დაუზოგავად იტაცებდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ქონებას.

მეტიც შეძლო.

ბორჯომის № 2 საიჯარო ჩამომსხმელი ქარხნის დირექტორის თანამდებობაზე მისი მუშაობის პერიოდში იქ დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „თორი".

ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორი თვითონ გახლდათ.

1992 წლის 12 მაისის № 92 ბრძანებით № 2 ქარხნის ბალანსზე არსებული 12,4 მილიონ მანეთად ღირებული ძირითადი საშუალებები სააქციო საზოგადოება „თორის" გადაეცა.

1993 წლის პირველ კვარტალში ეს ძირითადი საშუალებები ბალანსზე ისე აიღეს, ჩირად არ ჩაუგდიათ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 1992 წლის 30 სექტემბრის ინსტრუქციის მოთხოვნა:

თამაზ კურტანიძემ განზრახ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცების მიზნით, არ მოახდინა აფასება, რითაც, ფაქტობრივად, ძირითადი საშუალებების ღირებულება 359 მილიონი მანეთით შემცირდა.

იმ დროისათვის ეს 866 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენდა.

ამრიგად, გავლენათა სფეროები განაწილდა.

დანაშაულებრივი ჯგუფი ბორჯომის რაიონს დაეპატრონა.

მაგრამ არ შეიძლებოდა ეს განუკითხაობა დიდხანს გაგრძელებულიყო, ბოროტებას დიდხანს ეზეიმა.

ბევრი მღვრიე კვალში იყო ჩამდგარი...

ალეკო ასლანიშვილი.
(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სრ" № 139, 140, 141, 144.

ხანძარი

სასტუმრო „კოლხეთში“ 7 წუთში ჩააქრეს

საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს პრესცენტრში აცნობეს, რომ 22 ივლისს ხანძარი გაუჩნდა სასტუმრო „კოლხეთს“.

ხანძრის გამომწვევი მიზეზი იყო ელექტროგაყვანილობის არასწორი მონტაჟი. კერძოდ, 301 ოთახში მცხოვრებ პირს — ცხინვალიდან ადგილნაცვალ ილია ყოფერიძეს მუდმივად ჰქონდა ჩართული ელექტროქურა, რომელიც ხის ჩარჩოზე იყო დამაგრებული.

— ნამდვილად გმირობის ტოლფასია მეხანძრეების ქმედება, — თქვა ქალაქის № 7 სახანძროს უფროსმა ლერი აფსაძემ, — რომ არა მათი პროფესიონალიზმი, გამორიცხული არ იყო გამეორებულიყო სასტუმრო „აფხაზეთის“ ტრაგედია“. შეტყობინება მივიღეთ 07 საათსა და 51 წუთზე, ხანძრის ლოკალიზება კი ზუსტად 7 წუთში მოხდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მანამდე სასტუმროში შექმნილი საგანგებო ხანძარსაწინააღმდეგო ვითარების შესახებ ინფორმირებული იყვნენ სათანადო ინსტანციები, მაგრამ...

სასტუმროსთან მიტმასნილია სხვადასხვა სავაჭრო ობიექტები, რომლებიც იკვებებიან სასტუმროს ელექტროქსელიდან, ის კი, თავის მხრივ, არ უპასუხებს ხანძარსაწინააღმდეგო წესების მოთხოვნებს. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ყველა სავაჭრო ობიექტს გადაეჭრა ელექტროსადენები.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ქალაქის № 7 სახანძრო რაზმმა დააჯარიმა სასტუმროს მენეჯერი გარი მაჭავარიანი.

გაანადგურეს 1300 ძირი კანაფი

თეთრიწყაროს რაიონის პოლიციისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა სოფლების — ორბეთის, თონეთისა და ალგეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გაანადგურეს 1300 ძირი ველურად ამოსული კანაფი.

გულიკო მარკოზაშვილი.

ფელეტონი

ერთი ხვეულის ავადმყოფობა

მჯერა რომ არავის გინახავთ გოშია, რომელიც სპილოს ყეფით აშინებს. სპილოსთან ერთად არ გინახავთ, თორემ გოშიებით სავსეა ქალაქის ქუჩები.

ისიც იშვიათი სანახავია, კაცი კედელს შუბლს ურტყამდეს გასანგრევად, ურტყამდეს და ურტყამდეს, თორემ სქელშუბლებს რა გამოლევს, განსაკუთრებით — პოლიტიკურ სარბიელზე.

ცირკივით ამფითეატრი ხომ გახსოვთ ძველი პარლამენტის?

ერთი დეპუტატი (ერთი?) დგებოდა, იტყოდა სიტყვას, დაჯდებოდა; დგებოდა სიტყვას ამბობდა და ცდილობდა დამსწრე საზოგადოების, ტელემაყურებელთა თუ რადიომსმენელთა ყურადღების მიქცევას — შუბლის ხეთქებით.

ჰაბიტუსიც რომ ხელს უწყობდა?

რუსეთის თემას ატრიალებდა, ერთსა და იგივეს, ერთსა და იგივეს, ერთი და იგივე სიტყვებითა და აკვიატებული დაჟინებით ურტყამდა და ურტყამდა შუბლს, თანაც სწორედ მაშინ, როდესაც ამის გაკეთება საჭირო არ იყო.

მოიგო რამე?

კი:

შუბლი უფრო და უფრო გაიმაგრა შიდა რეზერვების მაქსიმალური გამოყენებით, მაგრამ იმ რუსეთის ხომ ეგონა, რომ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ჭკვიანი და სერიოზული ხალხი გვყავდა?

ეგონა და კიდეც სერიოზულად აღიქვამდა ასეთ „ჩელობიტიეს“, ოღონდ საწინააღმდეგო მნიშვნელობით — შუბლის ხეთქებას.

ის მატარებელი წავიდა კარგა ხანია, მიმართულებით — იქით.

ჩარჩნენ დაგვიანებული მგზავრები, რომლებმაც შუბლის ხეთქება, ჩანს, პროფესიად გაიხადეს: ისევ ის მარტივი მოძრაობა, იგივე მარტივი „მებრძოლი“ აზრების აკომპანიმენტით და (აუ, რა დრო გასულა!) ქუჩის მიტინგების ლექსიკით, რომელიც ახლა პერსევერატორების (ასენიზატორებში არ აგერიოთ) მეტს არავის აინტერესებს.

ეკსგიბიციონიზმი რას ნიშნავს, იცით?

არც მე ვიცი.

სამაგიეროდ ვიცი იმ გაზეთის სახელწოდება, რომლის შუბლის შეტევისაგან დახეთქილა კედლები ქალაქში.

ვიცი და არ ვიტყვი, რადგან ამაზე კარგ რეკლამას ვერც ინატრებს.

რუსეთი არის მისი განსაკუთრებული მისწრაფების საგანი და უშრეტი თემა. პრეზიდენტის არჩევნებს ხელიდან როგორ გაუშვებდა?!

ამას ეძღვნება სწორედ იმ გაზეთის ივლისის ერთ-ერთი ნომრის „მოწინავე წერილის“ მთავარი და ურყევი აზრი: თქვენ რაც გინდათ, თქვით, მაგრამ არ არსებობს ორი რუსეთი — დემოკრატიული და იმპერიულ-აგრესიული!

მანიაკალური აკვიატებაა, რომელსაც ინტენსიური მკურნალობა სჭირდება.

მაგრამ ვისაც მკურნალობა სჭირდება, ამბობენ, ყველა გარეთ დადის.

ადრე თუ მიტინგებით ერთობოდა და ქუჩის სახელმწიფოს აშენებდა ნაკარნახევ მოთხოვნათა მილებით, ახლა პრესაში იკლავს ჟინს (ამ გაზეთზე მოგახსენებთ), ახლაც ვილაც კარნახობს. მადლობა ღმერთს, წერა-კითხვა ჩვენთან ყველამ იცის, ან ჰგონია, რომ იცის.

ატრიალებს ახლა რუსეთის არჩევნების თემას, ვითომ მისი საზრუნავი და გადასაწყვეტი იყოს, ათეულ მილიონიანი რუსეთის ელექტორატის გადასაწყვეტი საქმე.

თქვენ გგონიათ, მართლა რუსეთი აინტერესებს? არც იფიქროთ. ეს ისეთი „პლატფორმაა“, საიდანაც კარგად „აჰყრი ტლინკებს“, საკუთარი გამბედაობის დემონსტრირების მიზნით.

თუმცა, რაც ამ დროს გამოჩნდება, იმას გამბედაობა არ ჰქვია.

ამასწინათ ერთი გაზეთის ერთი გაგრძელებული პუბლიკაციის ავტორმა განაცხადა: — შევარდნაძემ მორატორიუმი გამოაცხადოს ექსპრეზიდენტის ავად ხსენებაზე.

ჯერ ერთი, შევარდნაძეს აქვს გამოცხადებული „მორატორიუმი“ და საერთოდ არ ახსენებს, მკვდარი — მკვდარია.

მეორეც, შევარდნაძე არავითარ მითითებებს (მით უფრო მორატორიუმის დონეზე) არ იძლევა. ერთადერთი რასაც მოითხოვს — ილაპარაკეთო სიმართლე. და ეს გასულ პარასკევს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე კიდევ ერთხელ დააფიქსირა.

მესამეც, ვინ გამოაცხადებს მორატორიუმს შევარდნაძის ლანძღვა-გინებაზე? ის არმოხსენიებული გაზეთი და მასთან რამდენიმე კოლეგ არც აპირებენ ამის გაკეთებას.

და მოსაზრებელი ერთფეროვნებით მოედინება ნაკადი, როგორც ქალაქის წყალსადენში შერეული ფეკალური სითხე, ნერვიულ-პარალიტური დაავადებით ინფექცირების საშიში „წყარო“, რომლისგან თავდაცვის საშუალება ის ფსიქოიმუნიტეტია, ახლო წარსულის მიტინგების პოპულისტური ლექსიკის მიმართ რომ გამოიმუშავა მკითხველმა.

შანტაჟის ლექსიკა პოპულისტური ნეობოლშევიზმის, რომლის რეანიმაციას ცდილობს ის გაზეთი „კაკანებენ ჟურნალისტები“.

„დილის გაზეთის“ დავესესხე ამ გამოთქმას, ზუსტად მიგნებულს: „თურმე გაზეთი დღეს გაზეთის ფუნქციას ვერ შეასრულებს, თუ არ დავხუნძლეთ მოუთოკავი აზრებით, შეუმოწმებელი ფაქტებით) უპასუხისმგებლო განცხადებებით, ყვედაფრით, რაც სენსაციის ეშხით „მიმზიდველად“ გამოიყურება... როცა პროფესიონალები დუმან, ჟურნალისტები კაკანებენ“. (ირინე ჯვარშეიშვილი).

ან, როცა პროფესიონალი პოლიტოლოგების პუბლიკაციებს არ კითხულობენ, შეგნებულად.

ან კითხულობენ და მაინც თავისაზე დგანან, რადგან...

რადგან მაშინ უნდა აღიაროს, რომ მათი „პოზიცია“ „მხოლოდ „ერთი ხვეულის ავადმყოფობაა“, ავადმყოფობის რეციდივი.

სამწუხაროდ.

მართო ორი რუსეთი რომ იყოს, რა გვიჭირს... იქ იმდენი ფარული დინებაა, ფარული თუ აშკარა, თავად უჭირთ გარკვევა.

პრეზიდენტად არჩევისთანავე ბორის ელცინმა მოუწოდა ყველას, დაძლიონ გამარჯვებულებად და დამარცხებულებად, წითლებად და თეთრებად დაყოფის სინდრომი, რომელიც ასე ძლიერი იყო საარჩევნო კამპანიის დროს.

ყველანი ერთი ფერის — მუშაობის ფერის ვართო, — თქვა ჩერნომირდინმა.

მართალია, ბაბურინმა ელცინის მმართველობა კვლავ საშინელებად მიაჩნია, მაგრამ კომუნისტთა სხვა ლიდერებმა მემარცხენე-ცენტრისტული იდეა, ბლოკის სოციალ-დემოკრატიულისკენ ტრანსფორმაციას რომ ითვალისწინებს, პრინციპულად აღიარეს.

ზიუგანოვის გამარჯვება, მიაჩნიათ ანალიტიკოსებს, შიშის გამარჯვება იქნებოდა სინდისზე, ელცინის გამარჯვება სინდისის და იმედის გამარჯვებაა.

რუსეთი დღეს არის საკუთარ თავში დაპირისპირებული ზესახელმწიფო, სადაც დემოკრატია, ძნელ და უაღრესად რთულ სავალ გზას შედგომია.

თქვენ სხვა გზას ირჩევთ?

ჩვენს მკითხველებს მივმართავ, იმ გაზეთთან არ მესაქმება.

• • •

გოშია გარანტირებული იყო, რომ სპილო ყურადღებას არ მიაქცევდა მის არაორიგინალურ გამოხდომას.

ინსტინქტი უტყუარად კარნახობდა, რომ რაც უფრო დიდია ძალა, მით უფრო მეტია სიკეთე მისი.

და ყეფდა.

მაგრამ არც ივანე კრილოვის დროს, არც ახლა ამის გამო ქუჩაში მიტინგი, ან სხვა რამ პოლიტიკური აქცია არავის გაუმართავს.

ალთა გალთიძე.

გახსენება

შესანიშნავი მოქალაქე, მეცნიერი, ჟურნალისტი



ამ დღეებში სამოცდახუთი წელი შეუსრულდებოდა ცნობილ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტსა და ჟურნალისტს იგორ კრავცოვს.

განსაკუთრებული ადამიანი იყო იგორ კრავცოვი. როცა მას იხსენებ და აანალიზებ მისი ცხოვრების დეტალებს, გაოცებს, საიდან ეტეოდა ერთი კაცის არსებაში ამდენი სიკეთე, კეთილშობილება, ადამიანურობა, სხვისი ტანჯვისა თუ უბედურების გაზიარებისა და გათავისების უნარი, მაღალი მეცნიერული ერუდიცია, უტყუარი ჟურნალისტური ალღო, პედაგოგის თანდაყოლილი თვისებები და დიდი პროფესიონალიზმი.

იგორ კრავცოვი ბავშვობიდანვე გამორჩეული იყო სწავლაშიც, ქცევაშიც, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. მისმა მაღალმა ნიჭმა გაიბრწყინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დატოვეს ეკონომიკის კათედრაზე. მისი რამდენიმე ნაშრომი — დამოუკიდებელი და თანაავტორებთან შექმნილი — დღესაც ეკონომიკის მეცნიერთა სახელმძღვანელო და სამაგიდო წიგნია, გამოირჩევა ორიგინალობითა და წამოჭრილი საკითხების სიღრმისეული გადაწყვეტით. დასაფასებელია იგორ კრავცოვის ღვაწლი უნივერსიტეტში ეკონომიკის სპეციალისტების აღზრდის საქმეში. ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისი ლექციები, მისი ჩაფიქრებული მსჯელობა, ურთულესი საკითხების მარტივად და გასაგებად გადმოცემის უნარი, ლექტორის თანაბრად რომ აბამდა მსმენელსაც დასმული პრობლემის განხილვაში, ვერასოდეს დაივიწყებს მათ.

იგორ კრავცოვის მრავალმხრივი ნიჭი და ფართო მეცნიერული დიაპაზონი განსაკუთრებით გამოვლინდა ჟურნალ „ეკონომისტში“, სადაც იგი გადაიყვანეს რედაქტორად. ეს ერთადერთი ეკონომიკური მიმართულების პერიოდული გამოცემა მაშინ დიდ კრიზისს განიცდიდა. ეს კრიზისი თითქმის მთელი ეკონომიკური საზოგადოებრიობის მომცველი იყო, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებოდა მეცნიერების რამდენიმე დაჯგუფება თუ მიმართულება.

იგორ კრავცოვის ჟურნალში მოსვლის შემდეგ აშკარად შენელდა (თუ არ აღმოიფხვრა) არასასურველი დაპირისპირებანი. სახე იცვალა ჟურნალმაც, შეიძინა გარკვეული, ლოგიკას და ცხოვრებას დაფუძნებული მიმართულება, საგრძნობლად ამაღლდა პუბლიკაციების მეცნიერულ-პრაქტიკული, ლიტერატურული დონე და პრობლემატურობა. თანაც ისე უხმაუროდ, მშვიდად, თანდათანობით და მეთოდურად, რომ ჟურნალთან დაახლოებულ პირთა გაოცებას იწვევდა.

ასეთი იყო თვითონ იგორიც ცხოვრებაში — თითქოს შეუმჩნეველი, მაგრამ ძლიერი, საქმისათვის გულანთებული და სხვისთვის საკუთარი გულის გამნაწილებელი. სწორედ ასე ნაწილ-ნაწილ გაცემულმა გულმა უმტყუნა კიდეც. გარდაიცვალა მაშინ, როცა იდგა თავის საბრძოლო პოსტზე, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში მნიშვნელოვანი სარედაქციო საქმის მოსაგვარებლად მისული.

იგორ კრავცოვი იყო მამულის სიყვარულით ანთებული, მისი კეთილდღეობისათვის თავდადებული, ქვეყნის, ერისა და საქმის უსაზღვროდ ერთგული. სწორედ ასეთი მამულიშვილები ქმნიან ერისა და ქვეყნის სახელს, მის ღირსებას, მის სახეს, იმ საძირკველს, რომელსაც ეყრდნობა ქართველი ერის ხასიათი და სიცოცხლისუნარიანობა, მისაბაძი ნიმუში მომავალი თაობებისათვის.

ვლადიმერ პატეიშვილი,
ვახტანგ ვეშხვაძე,
ვაჟა მიქაბერიძე,
ზურაბ ლომიძე.

გთავაზობთ
საწერ, საბეჭდ და ქსეროქსის
ქაღალდს
უნაღდო ანგარიშსწორებით,
ადგილზე მიწოდებით.
☎ 38-91-64; 39-84-05

ხსოვნა

რაისა მოწერელია-მირცხულავა

კარგი ადამიანის დაკარგვა არა მხოლოდ მისი კოლექტივის, არამედ მთელი საზოგადოებრიობის დანაკარგია. ქალბატონმა რაისამ სამ ათეულ წელზე მეტი იმსახურა ჟურნალ „ეკონომისტში“ და ახლა, როცა უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ, განსაკუთრებით ვგრძნობთ ამ დანაკარგის დიდ სიმძიმეს.

მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე — 80 წელიწადი, სიკეთისა და სიყვარულის თესვაში გალია. ასე ილვაწა, როგორც კომკავშირულ და პარტიულ მაღალ თანამდებობებზე, ისე ჟურნალისტურ სარბიელზე.

მისი პუბლიცისტური და თემატური წერილები ყოველთვის გამოირჩეოდა ნიჭიერებით, აქტუალობითა და ცხოვრებისეული სიბრძნით, მეცნიერული დასაბუთებით.

ქალბატონ რაისას არ მოჰკლებია პროფესიული აღიარება და პატივი: მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება, დაჯილდოებული გახლდათ მედლებით, სიგელებით, მაგრამ მისი ყველაზე დიდი ჯილდო კოლეგების, მეგობრების, მკითხველის საყოველთაო თაყვანისცემა იყო.

ვაჟმოხდილი, დაფასებული წავიდა ამ ქვეყნიდან ჩვენი ძვირფასი, ქალბატონი რაისა, ყველას მოყვარული, ყველას მზრუნველი და მოამაგე.

სანთლად დანთებოდეს ის ცრემლი, რომელსაც მას ვატანთ.

ჟურნალ „ეკონომისტის“ რედაქციის თანამშრომლები.

გასწორება

ჩვენი გაზეთის 16 ივლისის ნომერში მეორე გვერდზე გამოქვეყნებულ კანონში „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ დაშვებულია კორექტორული შეცდომა.

მუხლი 8 უნდა იკითხებოდეს: „დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრისათვის ფულადი გასამრჯელოსა და სხვა მატერიალური შეღავათების შემცირება მისი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში“.

ინციდენტი

მდინარე ფსოუზე

აფხაზეთის სულ უფრო მეტი მცხოვრები ცდილობს არალეგალურად გადალახოს საზღვარი მდინარე ფსოუზე, გვერდი აუაროს რუს მესაზღვრეთა საგუშაგოებს. ,ზოგჯერ ამას უბედური შემთხვევები მოსდევს. სეპარატისტთა მთავრობის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა ასტამურ თარბამ აფხაზი ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ ამ დღეებში მდინარე ფსოუზე გაუთვალისწინებელ ადგილას — რუსეთის საკონტროლო-გამტარი პუნქტიდან სამ კილომეტრზე საზღვრის გადაკვეთისას მესაზღვრემ დაჭრა აფხაზეთის მცხოვრები, 23 წლის გარი ლეიბა. აფხაზური რადიო იტყობინებოდა, რომ რუსმა მესაზღვრეებმა დაჭრილი გარი ლეიბა ადლერის რაიონის დაბა ხოსტის საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც გვიან ღამით გარდაიცვალა.

სეპარატისტთა მთავრობის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელს ასტამურ თარბას მიაჩნია, რომ საზღვრის დარღვევის მიზეზია აფხაზეთიდან რუსეთის ტერიტორიაზე 16 წელზე მეტი ხნის მამაკაცთა გადასვლის აკრძალვა, რომელიც რუსეთის მხარემ 1994 წლის დეკემბერში დააწესა, მაგრამ არც თარბა, არც აფხაზური რადიო არაფერს ამბობენ იმის შესახებ, რომ ამ აკრძალვის შემოღებამდე აფხაზეთიდან რუსეთში ბრუნდებოდნენ ჩრდილოეთკავკასიელი ბოევიკები, შემოჰქონდათ იარაღი და ნარკოტიკები.

თენგიზ პაქკორია.

სააქციო-კომერციულ ბანკ „ივერთბანკი“-ს აქციონერთა საყურადღებოდ!

ამა წლის 31 ივლისს 15 სთ-ზე ქ.თბილისში ვ.ფშაველას 45-ში, „საქსოფლმშენი“-ს შენობის დარბაზში ჩატარდება აქციონერთა კრება.

დღის წესრიგი:

1. 1995 საფინანსო წლის შედეგების განხილვა და სამომავლო პერსპექტიული გეგმის დასახვა.
2. მიმდინარე საკითხების განხილვა-დამტკიცება.

გთხოვთ მობრძანდეთ:

„ივერთბანკი“-ს გამგეობა

სს "ჯი და ჯი"
"SAMSUNG ELECTRONICS Co.,Ltd" -ს ოფიციალური დილერი
კომპანია " VIST"-ის ოფიციალური წარმომადგენელი

გთავაზობთ

კომპიუტერებს

კონფიგურაცია	ფასი
PENTIUM-60 *8EDO RAM /850 IDE /1.44 /1M/PCI/ SVGA SAMSUNG 3NE-0.14 LR, Keyboard ,Mouse 3 button*	1355 ლარი
PENTIUM-60 *8EDO RAM /850 IDE /1.44 /1M/PCI/ SVGA SAMSUNG 3NE-0.14 LR /CD-ROM 4X SAMSUNG Keyboard ,Mouse 3 button*	1455 ლარი
PENTIUM-100 *16EDO RAM /1000 IDE /1.44 /1M/PCI/ SVGA SAMSUNG 3NE-0.14 LR/ CD-ROM 4X SAMSUNG Keyboard ,Mouse 3 button*	2050 ლარი
PENTIUM-150 *16EDO RAM /1000 IDE /1.44 /1M/PCI/ SVGA SAMSUNG 3NE-0.15 LR/ CD-ROM 4X SAMSUNG Keyboard ,Mouse 3 button*	2688 ლარი

ანგარიშსწორების ფორმა ნებისმიერი, გარანტია 6 თვე

ჩვენი მისამართია: ლესელიძის ქ. №4, ☎ 93-38-34, 93-38-04 ფაქსი: 93-38-04

ბინები, აგარაკები



იყიდება ბალანჩივაძის ქ. (ხილიანზე) 4 ოთახიანი არასტანდარტული ბინა. საუკეთესო ადგილზე. მანქანის დასაყენებელი ადგილით. ფასი რეალურია. ტელ: 23-51-81, 36-74-55.

ვაქირავებ 2-ოთახიან ბინას ალმაშენებლის პროსპექტზე ოფისისათვის. საწყისი ფასი 300 დოლარი ერთ წლის თანხის წინასწარი გადახდით, ან ვყიდი 18.000 დოლარად. ბინა ყოველმხრივ კეთილმოწყობილია, ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 96-34-31, 95-09-86.

იყიდება ხუთოთახიანი ბინა საბურთალოს ცენტრში, იოსებიძის ქუჩაზე 3+1+დამთავრებული მინაშენი, მესამე სართულზე, სარემონტო, სარდაფითა და ტელეფონით, სამზარეულო 15 კვ.მ. საერთო ფართი 140 კვ. მ. ჭერი 2 მ. 75 სმ. ფასი 45.000 დოლარი ან 57.000 ლარი.

დარეკეთ ტელ: 36-34-77 ან 98-87-26, იკითხეთ თემო.

ვყიდი წყნეთში კიროვის ქუჩაზე ერთოთახიან (22 კვ. მ.) იზოლირებულ ბინას შემინული ლოჯიით (12 კვ. მ.), სამზარეულოთი, აბაზანა-ტუალეტით, აივნით II სართულზე, ფასი 18.000 ლარი, ტელ. 22-43-28, თემური.

ვყიდი სახლს სოფელ ბურიანში (მცხეთასთან), 2000 კვ. მ. ხეხილის ბაღით, სასმელი წყალი, ელექტროენერგია მუდმივად არის. 160 კვ. მ. საცხოვრებელი ფართით, ფასი — შეთანხმებით, ტელ. 68-00-56, რომანი ან ნელი.

იყიდება ავლაბრის ტერიტორიაზე (საინგილოს ქუჩა, ელიას დასაწყისი) ერთოთახიანი იზოლირებული ბინა, ძველ თბილისურ ეზოში. აქვს ორი სარდაფი, საცხოვრებელი ოთახი 20 კვ. მ., ლოჯია 12 კვ. მ., სამზარეულო 9 კვ. მ. სააბაზანო. კარ-ფანჯარა შეცვლილია, აქვს რკინის გისოსები. რეალური მყიდველისათვის — რეალური ფასი. საკონტაქტო ტელეფონი 71-38-79, მაია.

იყიდება ოთხოთახიანი, ლვოვის პროექტის ბინა. მისამართი: თბილისი გლდანის მე-7 მიკრო რაიონი, 26-ე კორპუსი, ბინა 46. ტელ. 68-21-18 ან 93-36-34. საწყისი ფასი 6500 დოლარის შესაბამისი ლარი.

სასწრაფოდ იყიდება პრივატიზებული, კარგად გარემონტებული ერთოთახიანი ბინა, რომელიც მდებარეობს ნუცუბიძის ქუჩის №215-ში, 8 სართულიანი სახლის მე-8 სართულზე. ბინას აქვს ტელეფონი, სარდაფი, ღია აივანი. არის მანსარდის დაშენების საშუალება. ტელ. 29-18-57.

ბახტრიონის ქუჩის დასაწყისში სასწრაფოდ იყიდება ასი კვადრატული მეტრის საერთო ფართობის გასარემონტებელი ბინა ცხრა სართულიანი სახლის მე-5 სართულზე. ბინას აქვს ტელეფონი. ფასი 19 ათასი დოლარის შესაბამისი თანხა ლარებში.

ტელეფონი 29-18-57.

იყიდება სახლი ეზოთი მარტვილის ცენტრში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-47-96.

იყიდება თუხარელის პროექტის ოთხოთახიანი ბინა ნუცუბიძის მეორე მიკრორაიონის ბოლოში, მე-10 სართული. ბინას აქვს სარდაფი და მანქანის დასაყენებელი ადგილი. ფასი 17 ათასი დოლარი. ტელეფონი 30-12-34 ან 31-23-23.

ვყიდი ერთოთახიან ბინას გამსახურდიას გამზირზე, მე-2 კვარტ. მე-7 კორპ. მე-8 სართ. ჭერის სიმაღლე 2 მეტრი 75 სანტიმეტრია. სამზარეულო აივანზეა გატანილი, შესასვლელში ჩაშენებულია კარადა. ბინა საჭიროებს მხოლოდ კოსმეტიკურ რემონტს. არის მანქანის ფარეხის ადგილი. ბინას აქვს მიშენების პერსპექტივა. ფასი 12.000 დოლარი. ტელ. 38-35-82.

თელეთში ვყიდი 1500 კვ. მეტრ მიწის ნაკვეთს. ფასი 500 ლარი. ტელეფონი 37-66-78.

ვაქირავებ თემქაზე მეტროსთან ახლოს ერთოთახიან იზოლირებულ ბინას ავეჯით.
ცნობებისათვის დარეკეთ 93-28-13.

იყიდება კარგად გარემონტებული, არასტანდარტული სამოთახიანი ბინა ნუცუბიძის II მიკრორაიონში 16 სართულიანი სახლის მე-12 სართულზე, სარდაფით, ტელეფონით. ტელ. 31-81-85.

სიურპრიზი მკითხველს!
გაზეთი
„საქართველოს რესპუბლიკა“
აქვეყნებს ფიზიკური პირების
უფასო
განცხადებებს
თქვენი ინტერესების გათვალისწინებით.
მოგვმართეთ,
დაგვირეკეთ
და მეორე დღეს თქვენი სურვილი
ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, გაქირავების
შესახებ — ყოველდღიური და
მრავალტირაჟიანი გაზეთის
ფურცლებზე გაცხადდება.
გამოიყენეთ ჩვენი შესაძლებლობანი და
თქვენ მოგებული დარჩებით!
მობრძანდით:
კოსტავას ქ. № 14, მეოთხე სართული
დაგვირეკეთ: 99-73-24.

ავტომანქანები



იყიდება თერთმეტადგილიანი მიკროავტობუსი (3-03, 1988 წლის გამოშვება) ფასი 4.000 ლარი.
ტელ: 23-50-05

ვყიდი ამწესა და თვითმცლელ სატვირთო ავტომანქანას, ორივე სამუშაო მდგომარეობაშია. ფასი — შეთანხმებით. ტელ: 61-35-45

იყიდება ექსპლუატაციაში მყოფი ტექნიკურად გამართული, გაზ-51 მარკის სატვირთო ავტომანქანა. გთხოვთ დარეკოთ ტელ. 22-46-20.
17.00 — 22. 00-მდე.

ვყიდი ავტომანქანა „ვაზ-06“, 011 ძრავით, გამოშვებულია 1986 წელს. გავლილი აქვს 75.000 კმ. თეთრი ფერის, კარგად შენახული. ფასი 3.500 ლარი. დარეკეთ 99-03-73.
9.00-დან 18.00-მდე.

სხვადასხვა

იყიდება კამერა-მაცივარი „მინსკი“. ტევადობა 5 ტონა. 1991 წლის გამოშვება. თითქმის უხმარი. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 23-51-81, 36-74-55.

ვყიდი ოქტავის სისტემის „აკორდეონს“. ფასი შეთანხმებით. მისამართი: თბილისი, ჩაქვის ქ.№7. ტელ: 66-05-06, ავთანდილ ჯაბაშვილი.

იყიდება ფერადი ტელევიზორი „ფოტონი“ (61 ტც — 311 — დიპ) საზღვარგარეთული კინესკოპით ნორმალურ მდგომარეობაში. ფასი 150 ლარი. ტელ:23-50-05.

იყიდება: მომინანქრებული ფურცლოვანი ფოლადი, 0,6 მილიმეტრი სისქის ზომით 1X2, 125 ცალი. ფასი 1.250 ლარი. შეღებვას არ საჭიროებს;

ელექტროტალი ახალი, ერთტონიანი, ფასი 250 ლარი.

სატვირთო ლიფტის ელექტროძრავიანი ჯალამბარი, 650 ლარი.

ახალი ბენზოგენერატორი, 100-კილოვატიანი, ახლადგარემონტებული ამერიკული ძრავით. საათში წვავს 12 ლიტრ ბენზინს. ფასი 4.750 ლარი.

ახალი კონდიციონერი BK — 2300 2 ცალი. თითოს ფასი 225 ლარი;

მაღალი წარმადობის ლიმონათის ჩამოსასხმელი ხაზი კომპლექსი. ფასი 3.000 ლარი. შესაძლებელია გადარიცხვა ან ბარტერი სამშენებლო-სარემონტო სამუაოებზე.
ტელ: 34-72-36.



იყიდება კოკა-კოლას მაგიდა 4 სკამითა და ქოლგით. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 95-92-57, ზაზა.

იყიდება მეორე კლასის 20 ტონა არმატურა № 18; 950 ლიტრიანი მისაბმელი ბურახის კასრები; სხვადასხვა ზომის რიგის წარმოების ორმაგი შემინვის ფანჯრები და კარები; ორი სანტიმეტრი სისქის ავეჯის დიქტი — 1,5X1,5 მეტრი, სულ 25 ცალი; საველე თერმოსი 24 ჯამით; 50-ლიტრიანი თერმოსი; 8 მეტრი სიგრძის რკინა-ბეტონის ბოძები გარე განათებისათვის; 5-ტონიანი ირანული კამერა-მაცივარი; მაცივარი „ცინარი“, ირანული წარმოების საყინულე.
ფასები შეთანხმებით. ტელეფონი: 98-56-10 — 11-დან 16 საათამდე;
23-38-34 — 20 საათიდან.

იყიდება 500 კგ. ქაღალდი. სიგანე 84 სმ. გამოიყენება პლაკატისათვის. კონვერტებისათვის, ბროშურებისათვის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 39-47-96.



იყიდება უნგრული წარმოების მაგიდა ექვსი სკამით, ორი სავარძლით, სერვანტითა და ჟურნალის მაგიდით. ფასი 1.200 ლარი.

იყიდება აგრეთვე მარსელის კრამიტი 1.600 ცალი. ფასი 30 თეთრი (1 ცალი), ტელ. 22-62-06.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

მორიგე რედაქტორი [illegible]

გამომცემელი - შპს „პრესა“ რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 68434. ტელ.: 99-73-24. სარედაქციო კოლეგია.